www.24hours.ge

# 24 საათი

ყოველდღიური

© გაზეთი 24 საათი — პარასკევი, 2 მაისი, 2003 წელი. №118 (330) — ფასი 50 თეთრი

### პოლიტიკა

**არასამთავრობოებს გრანტების ბედი აშფოთებთ**

ფინანსთა სამინისტროს მიერ შემუშავებული გრანტებისა და ჰუმანიტარული დახმარებით მიღებული საქონლის აღრიცხვისა და სახელმწიფო ბიუჯეტში ასახვის ახალი წესი არასამთავრობოების შეშფოთების საფუძველი ხდება.

A3

### ეკონომიკა

**კონტროლის პალატამ ფინანსთა სამინისტროს დარღვევები აღმოუჩინა**

გუშინ პარლამენტის საფინანსო-საბიუჯეტო და გადასახადებისა და შემოსავლების კომიტეტებმა ერთობლივად განიხილეს კონტროლის პალატის ხმაურიანი დასკვნა 2002 წლის ბიუჯეტის შესახებ მთავრობის მიერ წარმოდგენილი ანგარიშის თაობაზე. "24 საათი" უკვე წერდა, რომ კონტროლის პალატამ მთავრობის ანგარიში მკაცრად გააკრიტიკა და დააფიქსირა 116-მილიონლარიანი გარღვევა, რასაც დაჟინებით უარყოფდა სამთავრობო ეკონომიკური ბლოკი.

A4

### უცხოეთი

**ამერიკული სამხედრო ბაზები შავი ზღვისაკენ მოიწევენ**

დროა, ამერიკული სამხედრო ბაზები დასავლეთ ევროპიდან აიბარგონ და კონტინენტის სამხრეთ-აღმოსავლეთ ნაწილში გადავიდნენ, – განაცხადა აშშ სენატის ევროპის საქმეთა ქვეკომიტეტის თავმჯდომარემ ჯორჯ ალენმა.

A5

### საზოგადოება

**ქუთაისურ „კომუნას" გუდრონით ებრძვიან**

*ამ ბოლო დროს სტუდენტური მოძრაობა ქუთაისში ისე გააქტიურდა, რომ ჯერ, თბილისის ქუჩების მსგავსად ქუთაისიც "კმარას" წარწერებით დაამშვენა, გუშინ კი რადიო "ძველი ქალაქის" მხარდასაჭერად მასობრივი აქცია მოაწყო.*

A6

### სამართალი

**მომზადდა კანონპროექტი რომის სტატუტთან საქართველოს მიერთებისთვის**

იუსტიციის სამინისტრომ რატიფიცირებისთვის მოამზადა "სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოსთან საქართველოს თანამშრომლობის შესახებ კანონის" პროექტი. გარდა ამისა, საქართველოს მოქმედ კანონმდებლობაშიც გარკვეული ცვლილებები შევა.

A7

### ამინდი

| | |
|---|---|
| თბილისი | 23 |
| ქუთაისი | 26 |
| ბათუმი | 20 |
| სოხუმი | 22 |
| ფოთი | 22 |
| თელავი | 21 |
| ზუგდიდი | 25 |
| გორი | 21 |
| ახმეტა | 22 |
| ჭიათურა | 24 |

### უცხოური ვალუტის ოფიციალური კურსი ლართან მიმართებაში

| | |
|---|---|
| აშშ დოლარი | 2.1400 |
| ევრო | 2.3396 |
| გირვანქა სტერლინგი | 3.4154 |
| რუბლი | 0.0697 |

# რა ვაკეთოთ?



ლევან ხერხეულიძის ფოტო

*ირაკლი მინდელი, ვახტანგ ხმალაძე, გიგი წერეთელი, ვასილ მაღლაფერიძე.*

*ეს ფილოსოფიური შეკითხვა ჩვენმა პარლამენტარებმა ოდნავ გადაასხვაფერეს და საარჩევნო კოდექსს მიუსადაგეს. "ახლა რა ვაკეთოთ?" – ისმის მათი ოხვრა ყოველი ღია თუ დახურული შეკრების შემდგომ, როცა ყველა წინასწარ მომზადებული პოლიტიკური განცხადება უკვე გაკეთებულია და მოწინააღმდეგე ბანაკების წარმომადგენელთა ცხარე კამათი – დროებით დასრულებული. მართლაც, რა შიძლება მოიმოქმედოს იმ პარლამენტმა, რომელსაც საარჩევნო კანონმდებლობის დახვეწას სთხოვენ, ხოლო მის წევრთა უმრავლესობას საარჩევნო კოდექსის შეცვლის არც ძალა და ალბათ, არც სურვილი აქვს?*

თამარ მჭედლიშვილი

საერთაშორისო თანამეგობრობა საქართველოს ხელისუფლებას მომავალი საპარლამენტო არჩევნების სრულიად განსაკუთრებულ როლს თითქმის ყოველ დღე ახსენებს. თუმცა ისიც ცხადია, რომ მომავალი არჩევნების მნიშვნელობა ჩვენს პოლიტელიტაზე უკეთ არავინ უწყის. ოღონდ განსხვავება ის არის, რომ ჩვენდა სამწუხაროდ, უცხოელები მომავალ არჩევნებს ქვეყნის მომავალს უკავშირებენ, პოლიტიკოსები კი – საკუთარ ბედს და ბუნებრივია, ჯიბეს.

გაგრძელება A3 გვერდზე

## საერთაშორისო თანამეგობრობა შევარდნაძისგან დემოკრატიულ არჩევნებს მოითხოვს

სოფო კვინტრაძე

**"საპარლამენტო არჩევნები დემოკრატიულად და გამჭვირვალედ უნდა ჩატარდეს, რაზეც უდიდესი პასუხისმგებლობა პრეზიდენტ შევარდნაძეს ეკისრება,"** – ასეთია საერთაშორისო თანამეგობრობის მესიჯი საქართველოს პრეზიდენტისადმი, რომელიც მას დიდი ბრიტანეთის საგანგებო და სრულუფლებიანმა ელჩმა დებორა ბარნს ჯონსმა გადასცა.

გუშინ ედუარდ შევარდნაძეს სახელმწიფო კანცელარიაში საქართველოში აკრედიტებული დიპლომატიური კორპუსისა და საერთაშორისო ორგანიზაციების წარმომადგენლები ეწვივნენ. საერთაშორისო თანამეგობრობამ სპეციალური სამუშაო ჯგუფი შექმნა, რომელშიც ელჩები და დონორი ორგანიზაციების წევრები შედიან. ჯგუფის მიზანია, მაქსიმალურად შეუწყოს ხელი საქართველოში საპარლამენტო არჩევნების დემოკრატიულად ჩატარებას.

უცხოელი დიპლომატები მიიჩნევენ, რომ საქართველოს მთავრობამ გადამჭრელი ზომები უნდა მიიღოს, რათა შემოდგომაზე დაგეგმილი საპარლამენტო არჩევნები დემოკრატიულად ჩატარდეს. დებორა ჯონსის თქმით, ამისათვის საჭიროა სამი აუცილებელი პირობის უზრუნველყოფა: ამომრჩეველთა ზუსტი სიების დადგენა, ყველა დონის საარჩევნო კომისიის ფუნქციონირება და საქართველოს მოქალაქეებისთვის თავისუფალი არჩევანის გაკეთების საშუალება.

აშშ-ს ელჩის რიჩარდ მაილსის განცხადებით, ნებისმიერ ქვეყანაში მთავრობას არჩევნების დროს ერთგვარი უპირატესობა გააჩნია, თუმცა ეს არ ნიშნავს, რომ ხელისუფლებამ ამით ბოროტად უნდა ისარგებლოს.

გაგრძელება A3 გვერდზე

## ძლიერი მიწისძვრა თურქეთში



გუშინ დილით თურქეთში ძლიერი მიწისძვრა მოხდა. მიწისძვრის შედეგად, სხვადასხვა მონაცემებით, სულ მცირე, 150-მდე ადამიანი (მათ შორის ბავშვები) დაიღუპა. მიწისძვრის ეპიცენტრი ანკარიდან აღმოსავლეთით 690 კილომეტრში, ქალაქ ბინგოლის მახლობლად მდებარეობდა. აქ მიწისქვეშა ბიძგების ძალამ რიხტერის შკალით 6,4 ბალი შეადგინა.

ბინგოლში უამრავი შენობა დაინგრა, მათ შორის - სკოლის საერთო საცხოვრებელი.

საერთო საცხოვრებელთან მიახლოებისას მაშველებმა ბავშვების ხმა გაიგონეს. **"იქ დაახლოებით 150 პატარაა...ღმერთმა დაგვიფაროს საშინელებისაგან",** - განაცხადა პრემიერ-მინისტრმა რეჯებ ტაიპ ერდოგანმა.

**"ჩვენ იმედი გვაქვს, რომ სამაშველო სამუშაოები კარგად დასრულდება...სატელეფონო საუბრებიდან ვხვდები, რომ ჩვენი კოლეგები სიტუაციას აკონტროლებენ",** - დასძინა მან.

მიწისძვრის ეპიცენტრში მყოფი "როიტერის" კორესპონდენტის თქმით, მან საკუთარი თვალით ნახა, როგორ დაინგრა 10 შენობა, ხოლო მეჩეთის ერთ-ერთი მინარეთი ჩამოინგრა.

ნანგრევებიდან გამოყვანილ ბავშვებს სასწრაფოდ აღმოუჩინეს სამედიცინო და ფსიქოლოგიური დახმარება. იქვე მდგომი ხალხი თითოეული გადარჩენილი მოსწავლის გამოყვანას ყიჟინით ეგებებოდა.

საერთო საცხოვრებლის დამლაგებლის თქმით, მიწისძვრის დაწყებისთანავე შენობიდან გაქცევა 35-მა ბავშვმა მოასწრო.

ერდოგანს თავის გამოსვლაში დაღუპულთა ზუსტი რიცხვი არ დაუსახელებია. თურქული საინფორმაციო სააგენტოს "ანატოლიის" ინფორმაციით, ჯერჯერობით დადასტურებულია მხოლოდ 40 ადამიანის დაღუპვა ბინგოლსა და მიმდებარე სოფლებში. ასეულობით ადამიანი დაშავდა.

ანკარაში განსახლების მინისტრმა ზეკი ერგეზენმა აღნიშნა, რომ დაუდასტურებელი ინფორმაციით, 150 კაცი დაიღუპა. ვითარება "ძალზე სერიოზულია", - აღნიშნა მან.

გაგრძელება A2 გვერდზე

## პავლიაშვილი პრეზიდენტს ატყუებს

გიორგი კალანდაძე

*"საქართველოს ელექტროკავშირში" ნორვეგიულ-ბრიტანული ტანდემის - "ტელენორი-სელფორდის" ექსპერტების მიერ მომზადებულ ბიზნეს-გეგმას იწუნებენ. კომპანიაში ეს დოკუმენტი 28 მარტს განიხილეს. ზუსტად ოთხი დღით ადრე კი ქონების მართვის მინისტრმა სოლომონ პავლიაშვილმა პრეზიდენტ შევარდნაძეს წერილი გაუგზავნა, რომლის მიხედვითაც "ბიზნეს-გეგმა განხილული იქნა, როგორც "საქართველოს ელექტროკავშირში", ასევე სახელმწიფო ქონების მართვისა და ტრანსპორტისა და კომუნიკაციების სამინისტროებში და მაღალი შეფასება დაიმსახურა." მერაბ ადეიშვილის სამინისტროში აცხადებენ, რომ "ელექტროკავშირის" ბიზნეს-გეგმა თვალით არ უნახავთ. გამოდის, რომ პავლიაშვილმა პრეზიდენტს ცრუ ინფორმაცია მიაწოდა.*

"24 საათი" უკვე წერდა პრეზიდენტ შევარდნაძის რეზოლუციაზე, რომელიც მან სოლომონ პავლიაშვილის წერილს დაადო. პრეზიდენტმა ეკონომიკის, ტრანსპორტისა და კომუნიკაციებისა და ქონების მართვის მინისტრებს, აგრეთვე კავშირგაბმულობის მარეგულირებელი კომისიის თავმჯდომარეს "ელექტროკავშირის" გასხვისების საკითხის შესწავლა დაავალა. პავლიაშვილისგან განსხვავებით, რომელსაც ეს საკითხი საჭიროზე მეტად აქვს შესწავლილი, კავშირგაბმულობის კომისიის თავმჯდომარემ "ელექტროკავშირის" განვითარების ბიზნეს-გეგმის შესახებ სხვადასხვა დაინტერესებული უწყებებიდან ურთიერთგამომრიცხავი ინფორმაცია მიიღო. თანაც, ყველა პასუხი უარყოფდა იმ ინფორმაციას,

გაგრძელება A3 გვერდზე

## „ეი-ი-ეს თელასის„ პრობლემებმა "ლეიბორისტებსაც" კი გული მოულბო

*დღეს "ეი-ი-ეს თელასი" მთავრობასთან შემდგომი თანამშრომლობის დეტალების დასაზუსტებლად და სადავო საკითხების მოგვარების მიზნით მოლაპარაკებებს იწყებს. არაოფიციალური ინფორმაციით, დღეს "ეი-ი-ეს თელასის" გენერალური დირექტორი იგნასიო ირიბარენი ფინანსთა მინისტრს მირიან გოგიაშვილს შეხვდება. მსჯელობის ერთ-ერთი საკითხი საგზაო ფონდისა და საგადასახადო დეპარტამენტის მიერ "ეი-ი-ეს თელასის" ანგარიშების დაყადაღება იქნება. სადისტრიბუციო კომპანია დაყადაღებას უსამართლობად მიიჩნევს.*

სოფიკო ოხანაშვილი

29 აპრილს საგზაო ფონდმა 1,7 მილიონი ლარის მოთხოვნის საფუძველზე "ეი-ი-ეს თელასის" ანგარიშები დააყადაღა. "ეი-ი-ეს თელასის" მომხმარებელთა უფლებების დაცვის დეპარტამენტის ხელმძღვანელის ვალერი ფანცულაიას განმარტებით, კომპანიისთვის მიუღებელია სახელმწიფოს მხრიდან განხორციელებული ქმედებები, რადგან სადისტრიბუციო კომპანიისადმი სახელმწიფოს დავალიანება 19 მილიონ ლარს შეადგენს.

გაგრძელება A4 გვერდზე

## სამართალდამცველები მექრთამე ჩინოვნიკებთან დაპირისპირებას ვერ ბედავენ

*საქართველოს პრეზიდენტმა კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლა, ჯერ კიდევ 1998 წელს დაიწყო. მის შემდეგ 4 წელზე მეტი გავიდა. მაგრამ კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლა დღემდე მხოლოდ დეკლარაციულ ხასიათს ატარებს.*

ბექა სისაური
ქუთაისიდან

კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლის ერთ-ერთი ძირითადი ორგანო შინაგან საქმეთა სამინისტროს ეგრეთ წოდებული მეექვსე განყოფილებაა, რომელსაც სახელიც შესაბამისი აქვს: "კორუფციასთან და ეკონომიკურ დანაშაულთან ბრძოლის სამსახური." "24 საათი" აღნიშნული ორგანიზაციის იმერეთის განყოფილების მუშაობით დაინტერესდა. იქიდან მოწოდებული ოფიციალური ინფორმაციის საფუძველზე შევიტყვეთ, რომ გასულ წელს იმერეთში, თურმე, 11 მექრთამეობის ფაქტი გამოუვლენიათ. ქვეყანაში არსებული კორუფციის ფონზე აღნიშნული ციფრი მეტად დაბალია, თუმცა გამოვლენილი მექრთამეობის ფაქტების ასეთი "მაღალი" მაჩვენებლისთვის პოლიციის შესაბამისმა სამსახურმა მადლობა

გაგრძელება A4 გვერდზე

A2 ინფორმაცია | A3 პოლიტიკა | A4 ეკონომიკა | A5 უცხოეთი | A6 საზოგადოება | A7 სამართალი | A8 ეკოსკოპი

B2 კულტურა | B3 ანკეტა | B4 სპორტი | B5 სპორტი | B6 განცხადებები | B7 კვირის TV-პროგრამა | B8 სხვადასხვა

# ძლიერი მიწისძვრა თურქეთში

პირველი გვერდიდან

მიწისძვრის მოხდენისთანავე ქუჩაში სამხედროები გამოვიდნენ და ხალხს აფრთხილებდნენ, რომ დანგრეულ შენობებს არ მიკარებოდნენ.

გუშინ ჯარისკაცები და სამაშველო სამსახურების თანამშრომლები აღელვებული მშობლების შეჩერებას ცდილობდნენ, რომლებიც ნანგრევებში შესვლას ლამობდნენ.

ბანგოლში ძლიერი მიწისძვრა 1971 წელსაც მოხდა, როდესაც, დაახლოებით, 900 კაცი დაიღუპა.

მიწისძვრები თურქეთში საკმაოდ ხშირად ხდება. ქვეყნის სამხრეთ-დასავლეთში 1999 წელს ორი დიდი მიწისძვრა მოხდა. ამის შედეგად 20 000 კაცი დაიღუპა.

მოსახლეობის 2000 წლის აღწერის თანახმად, ბინგოლი, ძირითადად, ქურთებით არის დასახლებული. ქალაქის მოსახლეობა დაახლოებით 254 000 ადამიანია.

საქართველოში თურქეთის კონსულის მოვალეობის შემსრულებელმა იაკუზ ქულმა „24 საათთან" საუბარში აღნიშნა, რომ თურქეთიდან ოფიციალური ცნობა დაღუპულთა საერთო რაოდენობის შესახებ, ჯერჯერობით, თბილისში არ მოსულა.

საქართველოს გეოფიზიკის ინსტიტუტის დირექტორის მოადგილემ ზურაბ ჯავახიშვილმა „24 საათს" განუცხადა, რომ მიწისძვრა ქართულმა სეისმურმა სადგურებმაც დააფიქსირეს, თუმცა მისი ეპიცენტრი საქართველოდან საკმაოდ დიდი მანძილით, დაახლოებით, 500 კილომეტრით არის დაშორებული. ამიტომ, თავად ბიძგები ჩვენთან არ იგრძნობოდა.




მანვე განაცხადა, რომ შესაძლოა, ეპიცენტრში მიწისძვრა 6,4 ბალზე მეტიც კი ყოფილიყო.

ბატონ ზურაბს აღნიშნული მიწისძვრის ერაყის ომთან დაკავშირება არასწორად მიაჩნია (როგორც ცნობილია, რუსი სეისმოლოგები ირწმუნებოდნენ, რომ ამერიკის მიერ წარმოებულ დაბომბვებს მიმდებარე ტერიტორიაზე მიწისძვრების გამოწვევა შეუძლია). ზურაბ ჯავახიშვილის განცხადებით, მიწისზედა დაბომბვები, რომელიც აშშ-მ აწარმოა, იმ ძალისა არ იყო, რომ მსგავსი მიწისძვრის მიზეზად ქცეულიყო. მანვე აღნიშნა, რომ ეს ტერიტორია ისედაც სეისმურად აქტიური რეგიონია.

# სამეტაპიანი პატივისცემის დღე

თეა ხოფერია

*მშრომელთა "საერთაშორისო დღესასწაულს" პროფესიული კავშირების გაერთიანება საკმაოდ პომპეზურად შეხვდა. შრომის დღისადმი მიძღვნილი ზეიმი სამი ეტაპისგან შედგებოდა. რესპუბლიკის მოედანზე შეკრებილი პროფკავშირელები პლაკატებითა და წითელი მიხაკებით, რუსთაველის ქუჩით, დედაენის ძეგლისაკენ ჩაუყვნენ, სადაც მათ ბავშვთა ანსამბლ "კელაპტარის" მიერ შესრულებული "აჭარული განდაგანით" შეეგებნენ. ზეიმი კი პროფკავშირების სასახლეში დასრულდა მცირედი ვახშმით.*

"ხელფასები და პენსია საარსებო მინიმუმის დონეზე", "ხელფასები ფასების შესაბამისად", "ძალაუფლება მშრომელებს და არა ქურდებს და ოლიგარქებს", "პატივი ეცით მშრომელთა უფლებებს" - ეს და სხვა მოთხოვნები წაუყენეს მიტინგზე შეკრებილებმა ხელისუფლებას.

მანამ, სანამ პროფკავშირელები დედაენის ძეგლთან ჩავიდოდნენ, რუსთაველის პროსპექტზე მსვლელობისას, ჟურნალისტებს ქვეყნაში არსებულ პრობლემებზე ესაუბრებოდნენ.

**"ხელფასები გადაგვიხადონ. აღარ ვჩივით, თუნდაც ეტაპობრივად. გვინდა ასევე იყოს ელემენტარული: მუდმივი შუქი, გაზი, პენსიები, უმუშევარი ხალხი დასაქმდეს, კანონმა იკანონოს..."** - აცხადებდა საქართველოს ადგილობრივი და კომუნალური მეურნეობის პროფკავშირების თავმჯდომარის მოადგილე ნელი კოპალეიშვილი.



*დემონსტრაციის მარტო ეს მონაწილე არ ფიქრობს ასე.*

**"ჩვენ სამი ძირითადი მოთხოვნა გვაქვს: ხელფასებისა და პენსიების მომატება და დროულად გადახდა, ასევე უმუშევართა დასაქმება ყველა დარგში,"** - განმარტავს საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის პროფკავშირების თავმჯდომარე გია კერესელიძე.

**"ყველა ხელისუფლების დროს სოციალურად ყველაზე დაუცველი ფენა ვართ ჩვენ - პედაგოგები. უმთავრესი მოთხოვნა ამ მთავრობის შეცვლაა, მათ ხომ ჩვენი უფლებების დაცვა ვერ ან არ შეძლეს. მოვიდეს ისეთი მთავრობა, რომელიც სოციალურ ფენას გადმოხედავს,"** - ამ განცხადებით, 173-ე ბაგა-ბაღის მასწავლებელი პედაგოგთა მძიმე ვითარების სურათის დახატვას შეეცადა.

რაც შეეხება საკუთრივ პროფესიული კავშირების გაერთიანების თავმჯდომარეს ირაკლი ტუღუშს, ის მსვლელობას ბავშვებთან ერთად წინ მიუძღვოდა და თან ასეთ განცხადებებს აკეთებდა:

**"ხელფასების ეტაპობრივი ზრდა და დავალიანების დაფარვა, რეალური ბრძოლა კორუფციის წინააღმდეგ, მშრომელი ხალხის პატივისცემა - ესაა ჩვენი ძირითადი მოთხოვნები, რის დაფიქსირებასაც დღეს ვაპირებთ."**

სხვათაშორის, სწორედ სიტყვა "პატივისცემა" დომინირებდა პროფკავშირის ხელმძღვანელობის გამოსვლებისას. ირაკლი ტუღუშის მოადგილის - ლონდა სიხარულიძის განაცხადებით, 2003 წლის 1 მაისის შრომის დღისათვის მიძღვნილ ზეიმს საერთაშორისო პროფკავშირების ორგანიზაციამ, პირობითად, პატივისცემის დღე უწოდა.

# საქართველო ერაყის წინააღმდეგ საერთაშორისო სანქციების გაუქმების მომხრეა

ერაყის ომისშემდგომი მოწყობის საკითხებთან დაკავშირებით გუშინ გაიმართა გაერო-ს უშიშროების საბჭოს სხდომა, სადაც სიტყვით გამოვიდა საქართველოს მუდმივი წარმომადგენელი გაერო-ში რევაზ ადამია.

მისი განცხადებით, ერაყის პოსტკონფლიქტურ მოწყობაში გაერო-ს მონაწილეობა აუცილებელია, რადგან იგი არის ერთადერთი საერთაშორისო ორგანიზაცია, რომელსაც შესაბამისი მექანიზმები და გამოცდილება აქვს.

ადამიას აზრით, აუცილებელია გაუქმდეს საერთაშორისო სანქციები, რომლებიც მოქმედებდნენ ერაყის მიმართ სადამ ჰუსეინის მმართველობის პერიოდში. **მედია-ნიუსი**

# რა ხდება საქართველოში? - კითხულობს სერგეი მირონოვი

რუსეთის ფედერაციის საბჭოს თავმჯდომარე სერგეი მირონოვი „აშშ-საქართველოს სამხედრო თანამშრომლობის შესახებ" ხელშეკრულებას „უპრეცედენტოს" უწოდებს და ქართულ მხარეს რუსი სამხედროებისთვის შეღავათების დაწესებას სთავაზობს.

**„ამგვარი ხელშეკრულების გაფორმების უფლება ყველა სუვერენულ სახელმწიფოს აქვს, მაგრამ რუსეთის მღელვარება ბუნებრივია, რადგან საქართველო-აშშ-ს ხელშეკრულება ამერიკელ სამხედროებს რუსეთის მოსაზღვრე ტერიტორიაზე უპრეცედენტო შეღავათებით სარგებლობის უფლებას ანიჭებს,"** - განაცხადა მირონოვმა გუშინ ვლადიკავკაზში ჩრდილოეთ ოსეთის პარლამენტარებთან შეხვედრის შემდეგ გამართულ პრესკონფერენციაზე.

მან შესთავაზა ქართულ მხარეს, ამგვარი შეღავათიანი პირობები საქართველოში რუს სამხედრო მოსამსახურეებსაც შეუქმნას. **„ჩვენ პატივს ვცემთ საქართველოს სუვერენიტეტს, მაგრამ უფლებას ვიტოვებთ, ვკითხოთ ჩვენს პარტნიორს დსთ-ს ფარგლებში, რა ხდება საქართველოში?"** - დასძინა მან. **ინტერ-პრესი**

# „დრო მოვა და..."

## გორელ კომუნისტთა საპირველმაისო ოცნება

ვასილ გულეური
*გორიდან*

საპირველმაისო მიტინგზე, რომელიც გორში, სტალინის სახლ-მუზეუმის წინ გაიმართა, უმუშევარ მშრომელთა მცირე ნაწილმა მოიყარა თავი. **„რატომ მოგიწყენიათ? ჩრდილში არ დარჩეთ, გამოდით მზეზე, თორემ იფიქრებენ, რომ ცოტანი ვართ,"** - კი მოუწოდებდა გორელ კომუნისტთა ლიდერი ალეკო ლურსმანაშვილი პენსიონერებს, მაგრამ სიმცირე მზეზე უფრო ადვილი შესამჩნევი იყო. მიტინგი ხელმძღვანელ პირთა მხრიდან საყვედურებით დაიწყო. **„ხუთი ათასი ხელმოწერა გვაქვს. დღეს მოვიტანეთ ოფიციალური ხელშეკრულებები, რომელთა გაფორმების შემდეგ ახალი პენსიები უნდა დაინიშნოს. ტელევიზიით განცხადება გავაკეთეთ, მაგრამ სად არიან დანარჩენები? ისინი არაფრის ღირსნი არ არიან"** - საყვედური გამოთქვა ერთ-ერთმა. **„არც ერთ პოლიტიკურ პარტიას არ ძალუძს გორსა და გორის რაიონში ასეთი ღონისძიების ჩატარება. აქ ვინც არის, ერთგული ადამიანები არიან, ეს დიდი შენაძენია,"** - იხტიბარს არ იტეხდა ლურსმანაშვილი.


*ნოსტალგია*

გამომსვლელებმა მშრომელთა საერთაშორისო დღის მნიშვნელობაზე და დღევანდელ პრობლემებზე ისაუბრეს. ბევრი მათგანი სინანულით იხსენებდა ერთ დროს საკავშირო მნიშვნელობის, დღეს კი გაპარტახებულ გორის ბამბეულის კომბინატს, სადაც გორელთა დიდი ნაწილი იყო დასაქმებული. **„ასე მგონია, ჩემი სახლი დაინგრა, შვილო, ეგ რომ განადგურდა,"** - შემომჩივლა ერთმა პენსიონერმა ქალბატონმა. **„ეჰ, არც ამათია დასაჯერი. ესენი აღადგენენ იმ ფაბრიკა-ქარხნებს?"** - უიმედოდ იყო მეორე.

ალეკო ლურსმანაშვილმა თავისი გამოსვლა ქართველ ფეხბურთელთა გამარჯვების აღნიშვნით და მილოცვით დაიწყო. თუმცა, ისიც აღნიშნა, რომ **„არ შეიძლება სპორტის პოლიტიზება და მადლობას იმსახურებენ როგორც ქართველები, ისე რუსები."** იგი არჩევნების თემასაც შეეხო და განაცხადა, რომ სააკაშვილიც, ჟვანიაც, ბურჯანაძეც და სხვებიც „პრეზიდენტის ნავში სხედან." მაგრამ არც ის დავიწყებია, მადლობა ეთქვა პრეზიდენტისთვის იმის გამო, რომ იგი გიორგაძეს ხელშეუხებლობას დაჰპირდა. **„თუ სიკეთეს დავინახავთ, უნდა ვთქვათ. თუ ვეთანხმებით, ხელი უნდა შევუწყოთ პრეზიდენტს."**

შემდეგ მან დამსწრეებს მოუწოდა, რომ 9 მაისი განსაკუთრებულად აღნიშნონ, რადგან ფაშიზმი კაცობრიობის მტრად არის მიჩნეული და მის დამარცხებაში სტალინის და კომუნისტების ღვაწლი შეუფასებელია. ბოლოს კი იმედი გამოთქვა, რომ მშრომელთა საერთაშორისო დღეს სხვა დროს უფრო ღირსეულად აღნიშნავენ - **„მოვა დრო, ჩვენ კიდევ გავივლით წელგამართულები და ვიტყვით: გაუმარჯოს პირველ მაისს!"**

## მოკლედ

**თბილისი.** თბილისის საკრებულოს თავმჯდომარე მიხეილ სააკაშვილი დედაქალაქში 11 ხელოვნური საფარით დაფარული საფეხბურთო მოედნის აშენებას და მათთვის გუშინდელი მატჩის მონაწილე ქართველი ფეხბურთელების სახელების დარქმევის ინიციატივით გამოდის. **მედია-ნიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** თბილისის საკრებულოს ფრაქცია „გაერთიანებული კონსერვატორების" თავმჯდომარე გიორგი ტაბიძე მიიჩნევს, რომ დროებით კომისიებსა და მუდმივმოქმედ კომისიებს შორის ფუნქციების გადაფარვა ხდება და, ფაქტობრივად, ისინი თავის ფუნქციებს ვერ ასრულებენ. **მედია-ნიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** საფინანსო და ქონებრივი მდგომარეობის ამსახველი დეკლარაციების წარუდგენლობის გამო, 81 სახელმწიფო მოხელეს სასამართლო პროცესი და 150-ლარიანი ჯარიმა ელის. ურჩ დეკლარანტთა შორის აღმოჩნდნენ პარლამენტის წევრები ვახტანგ რჩეულიშვილი, ზაქარია შერაზადაშვილი და ანტიკორუფციული ბიუროს წევრი გივი თარგამაძე. ამათ გარდა, დეკლარაციები არ წარუდგენიათ უშიშროების სამინისტროს ოც და შინაგან საქმეთა სამინისტროს თორმეტ თანამშრომელს. **მედია-ნიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** საჩხერის მე-16 სამთო-მსროლელი ბატალიონი „წვრთნისა და აღჭურვის" პროგრამით მიმდინარე წვრთნებს კრწანისის სასწავლო პოლიგონზე 10 მაისისთვის დაასრულებს. თავდაცვის სამინისტროს ინფორმაციით, ამის შემდეგ პროგრამაში ჩაერთვება რიგით მესამე, ამჯერად მე-11 მექანიზებული ბრიგადის სატანკო ბატალიონი. **მედია-ნიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** 10 მაისს თბილისში, რესპუბლიკის მოედანზე „წვრთნისა და აღჭურვის პროგრამის" ფარგლებში მომზადებული საჩხერის მე-16 სამთომსროლელი ბატალიონის გამოშვების საზეიმო ცერემონიალი გაიმართება. **ინტერ-პრესი**

■ ■ ■

**თბილისი.** "ახალმა მემარჯვენეებმა" თითქმის მთლიანად დაასრულეს საქართველოს რეგიონების მოსახლეობის ანკეტირების პროცესი, რომელიც ზუსტი საარჩევნო სიების დადგენის მიზნით, 15 იანვრიდან დაიწყეს. **პრაიმ-ნიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** თავდაცვის მინისტრი დავით თევზაძე 18-22 მაისს, სამუშაო ვიზიტით გერმანიას ეწვევა, რის შემდეგაც გერმანელ კოლეგასთან პიტერ შტრაკთან ერთად, კოსოვოში გაემგზავრება, სადაც ქართველ სამშვიდობოთა ინსპექტირებას განახორციელებს. **პრაიმ-ნიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენის დღეს - 26 მაისს გრანდიოზული სამხედრო აღლუმის ჩატარება, მძიმე ტექნიკისა და ავიაციის გამოყენებით აუცილებელია, რადგან ამას მორალურ-პოლიტიკური მნიშვნელობა აქვს, - მიიჩნევს საქართველოს პარლამენტის თავდაცვისა და უშიშროების კომიტეტის თავმჯდომარე ირაკლი ბათიაშვილი. **ინტერ-პრესი**

# აფხაზეთს რუსები ყიდულობენ

## საქართველოს ხელისუფლება მაყურებლის როლშია

სოფო ბუკია

**"ჩვენთვის აფხაზეთი სიცოცხლის ნაწილია და ჩვენი გვინდა, იგი მთელი თავისი მრავალფეროვნებით გაჩვენოთ,"** – ამ სიტყვებით იხსნება აფხაზური ტურისტული ფირმის "რუსალ-ტურის" ინტერნეტ-საიტი. შემდეგ მოკლედ გაგაცნობენ აფხაზეთის მრავალსაუკუნოვან ისტორიას (საქართველოსთან ომზე ერთი სიტყვაც არ წერია, ტურისტული საიტები ამ თემას კატეგორიულად გაურბიან), გეოგრაფიას და ამაყად დაგპატიჟებენ აფხაზეთის ლაჟვარდოვან სანაპიროზე შვებულების გასატარებლად. ფასებიც და პირობებიც იქვეა მითითებული. მაგალითად, დასვენება ბიჭვინთის ყველაზე პრესტიჟულ პანსიონატში - "სამშიტოვაია როშა", რომლის ასაშენებლად საბჭოთა სუკმა თავის დროზე 45 მილიონი დოლარი ჩადო, დღეში სულ რაღაც 18-30 დოლარი ღირს. ამ ფასში შედის სამჯერადი კვება, ჩოგბურთის კორტი და საცურაო აუზი. "სამშიტოვაია როშა" ყველაზე ძვირი პანსიონატია.

გაგრაში, დასასვენებელ სახლ "სოლნეჩნისა" და "ნარტში" ნომრის აღება 9-12 დოლარი ღირს, ასევე სამჯერადი კვებით. სოხუმში, "ევკალიპტოვაია როშაში" 10-15 დოლარად დაისვენებთ. ტურისტული სააგენტოები მსურველებს სტალინის აგარაკებზეც ეპატიჟებიან, ორივე აგარაკი - რიწის ტბაზეც და "რეჩკა ხოლოდნაიაზეც" - მწყობრშია.

მსგავსი ტურისტული საიტი რამდენიმეა, საკუთარ კლიენტებს ისინი მშვიდ და უშფოთველ დასვენებასა და კარგ დროსტარებას ჰპირდებიან.

აფხაზეთის ტურიზმის მინისტრს ასტამურ არძინბას თუ ვენდობით, შარშან აფხაზეთის ლაჟვარდოვანი სანაპირო ასი ათასზე მეტ დამსვენებელს მოუნახულებია. წლეულს უფრო მეტს ელოდებიან. **"სრული დატვირთვით ვემზადებით ახალი სეზონისთვის, უკვე მიღებული გვაქვს დამსვენებელთა უამრავი განაცხადი. რა თქმა უნდა, ძირითადად, რუსეთიდან ჩამოდიან, თუმცა შარშან უცხოელებიც იყვნენ, ნელ-ნელა ტურბიზნესი კიდევ უფრო დაიხვეწება,"** – იმედი გამოთქვა ასტამურ არძინბამ "24 საათთან" საუბარში. მან აღნიშნა, რომ ომის შემდგომ, ყველა პანსიონატსა თუ დასასვენებელ სახლს რემონტი დასჭირდა, რაც უცხოელმა ინვესტორებმა დიდსულოვნად იკისრეს.

აფხაზეთის დასასვენებელი სახლების დიდი ნაწილი რუსი "მისიონერების" ხელშია. ნაწილს არძინბას ოჯახის წევრები აკონტროლებენ. "სამშიტოვაია როშა", რომელიც ომის შემდგომ თურქებმა გაარემონტეს, ამჯერად იჯარით აქვს აღებული შპს "ანაკოფიას". გავრცელებული ინფორმაციით, ბიჭვინთის ამ მარგალიტს არძინბას უმცროსი ძმა დმიტრი არძინბა მართავს. გაგრის "ნარტი" ვლადისლავ არძინბას ქალიშვილს მადინასა და სიძეს ალხაზ არგუნს ეკუთვნით. სანატორიუმებს "განთიადი" და "უკრაინა", რომლებიც საბჭოთა პერიოდში უკრაინის კუთვნილებას წარმოადგენდნენ, აფხაზებმა სახელები გამოუცვალეს და რუსებს გადასცეს.

როგორც აფხაზეთის უზენაესი საბჭოს თავმჯდომარე თამაზ ნადარეიშვილი აცხადებს, აფხაზურ ტურისტულ ბიზნესს მთლიანად რუსი მაღალჩინოსნები განაგებენ. განსაკუთრებით აქტიურია ამ სფეროში რუსეთის გენერალიტეტი, საკუთარი ინტერესები აქვთ სახელმწიფო დუმისა და რუსეთის მთავრობის ცალკეულ წარმომადგენლებსაც. საქართველოს ყოფილი ქონების მართვის სამინისტროს ყოფილი მინისტრის თითის ქნევა იმის თაობაზე, რომ აფხაზეთში უძრავი ქონების შეძენა სახიფათოა, რადგან აფხაზეთში საქართველოს იურისდიქციის აღდგენის შემთხვევაში ყველა გარიგება უძრავი ქონების გაყიდვის შესახებ ბათილად იქნება ცნობილი, თითქმის არაფერს და არავის ეხება. პავლიაშვილის განცხადებას ხელი არ შეუშლია ერთი ძალიან ცნობილი რუსი გენერლისთვის, რომელმაც, როგორც ამბობენ, МВО-ს და ПВО-ს ცნობილი სანატორიუმები შეისყიდა, ხოლო რუსეთის მთავრობის ერთ-ერთ ყოფილ წევრს ხელი არ უკანკალებდა, როცა სოხუმის ღვინის ქარხანას ყიდულობდა. ასე რომ, ყიდვა-გაყიდვა აფხაზეთის ტერიტორიაზე არ შეჩერებულა. ნადარეიშვილის უწყების ქონების მართვის დეპარტამენტის უფროსი არჩილ ჭითავა გვამშვიდებს, რომ უძრავი ქონების სერიოზული მყიდველები აფხაზეთში არ არიან. მისი თქმით, რუსეთი ბანკებსა და კონკრეტულ სტრუქტურებს პოლიტიკურ დაკვეთებს აძლევს, აიძულებს, გარკვეული ქონება შეიძინონ, რათა შეიქმნას სურათი, თითქოს აფხაზეთში ყველაფერი რიგზეა და იქიდან ფულიანი ხალხი არ გარბის. ჭითავა დარწმუნებულია, რომ საკუთარი ნებით აფხაზეთში ფულს არც ერთი ჭკუათმყოფელი არ აბანდებს. თუმცა, რა განსხვავებაა ძალითა და ნებით ნაყიდ უძრავ ქონებას შორის, ჭითავას არ დაუკონკრეტებია.

ასეა თუ ისე, მრავალრიცხოვან აფხაზურ საიტებზე მსურველებს გულმოდგინედ სთავაზობენ, შეიძინონ ნებისმიერი უძრავი ქონება, დაწყებული ბინებიდან და სახლებიდან, მალაზიებითა და სარდაფებით დამთავრებული. მაგალითად, ბინას სოხუმში ორ-სამ ათას დოლარად იყიდით. ორი ათასი დოლარი ღირს ზღვისპირა სახლი გაგრასა და ბიჭვინთაში. ამბობენ, აფხაზეთში შეიძლება წაიკითხოთ სახლებზე გამოკრული წარწერა "დაკავებულია", იქვე მიწერილია "დამკავებლის" სახელი და გვარი, რაც, თურმე, ხშირად რუსულია.

როგორც აფხაზეთის ტურიზმის მინისტრი ამბობს, უძრავ ქონებას ხალხი აქტიურად ყიდულობს. ზღვისპირა სახლები განსაკუთრებით რუსეთიდან ჩამოსულ სტუმრებს ხიბლავთ. როგორც ჩანს, მათ არც პავლიაშვილის განცხადების ეშინიათ და არც ნადარეიშვილის ჰააგასა და ბრიუსელში ვიზიტების. თუმცა, ჩვეულებრივ მოქალაქეებზე რა გვეთქმის, როცა რუსი ჩინოვნიკები ჯერ საქართველოს ტერიტორიულ მთლიანობაზე განცხადებებს აკეთებენ, შემდეგ კი აფხაზეთში პანსიონატებსა და აგარაკებს იძენენ.

**"აფხაზეთში გაყიდულ და ნაყიდ თითოელ გოჯ მიწაზე გვაქვს ინფორმაცია. თუმცა, იმის დამტკიცება, რომ ესა და ეს სანატორიუმი რომელიღაც რუსი ჩინოვნიკის კუთვნილებაა, არ შეგვიძლია, რადგან საკუთარი სახელით ჩინოვნიკები არაფერს ყიდულობენ. დაწყებული ჩერნომირდინიდან, რომელსაც სერიოზული ინტერესები აქვს აფხაზეთში, ასევე ბერეზოვსკი, გენერალიტეტის წარმომადგენლები – კოლესნიკოვი, შინდაროვი, სოროკი და ა.შ. უსასრულოდ შეიძლება ჩამოვთვალოთ იმ ადამიანთა გვარები, რომელთაც ბიზნეს და პოლიტიკური ინტერესები აქვთ აფხაზეთში. ბუნებრივია, აფხაზეთის კონფლიქტის საკითხში ეს ხალხი აფხაზების მხარეს დაიჭერს, რადგან, სხვა თუ არაფერი, მათ იქ ბევრი ფული აქვთ ჩადებული,"** – აცხადებს თამაზ ნადარეიშვილი.

აფხაზეთის უზენაესი საბჭოს თავმჯდომარე მიიჩნევს, რომ საქართველოს ხელისუფლებამ ყველა ღონე უნდა იხმაროს აფხაზეთში მიმავალ დამსვენებელთა შესაჩერებლად.

**"შარშან იქ ასი ათასი კაცი ისვენებდა, წელს კიდევ მეტი მივა. აფხაზებს თანდათან გაუქრებათ შიში, იფიქრებენ, რომ საქართველო აფხაზეთის დაკარგვას შეეგუა. ტურიზმის გზით მიღებულ თანხებს ისინი, ძირითადად, საკუთარი არმიის გაძლიერებას მოახმარენ, ამიტომ აუცილებელია, რაღაც ვიღონოთ,"** – ამბობს ნადარეიშვილი, რომელიც ამჟამად ჰააგაშია და ჰააგის ტრიბუნალისთვის არძინბას გადაცემას ცდილობს.

გამომცემელი რუსთავი 2 პრინტი. მთავარი რედაქტორი მამუკა ფაჩუაშვილი. პაატა ვეშაპიძე (მმართველი რედაქტორი), ვახტანგ ნადირაძე (გამომშვები რედაქტორი), ირაკლი ლეჟავა (პასუხისმგებელი რედაქტორი). დამატებები: დედაქალაქი - დავით მაღრაძე, ლიტერატურა - მალხაზ ხარბედია, სამყარო - ქეთევან სადღობელაშვილი, სამართალი - ნიკოლოზ რურუა, სტილი - ბიძინა მაყაშვილი, მედიცინა - ზაზა ფაჩუაშვილი, ბიზნესი - გიორგი კალანდაძე, საბავშვო - ვალერი ჯინჭარაძე. ფოტო: ლევან ყიფიანი (რედაქტორი), ბესო გულაშვილი (მენეჯერი). დიზაინი: გიორგი კოკილაშვილი, გიორგი ხმალაძე. კომპიუტერული ცენტრი: თამაზ ჩხაიძე (მენეჯერი), მაია ყიასაშვილი, ლელა წიქარიშვილი, ბექა ბალარჯიშვილი, დავით გეგეჭკორი, დიმიტრი შალუტაშვილი, ირაკლი ბილაშვილი, ალექსანდრე შათირიშვილი, თენგიზ ქირია, პაატა ქორიძე. სტილი: ნანა ჯოხარიძე, ნინო სვანიძე, თამარ კვაჭანტირაძე, ჯუანშერ ტიკარაძე, ძიძია ძნელაძე, ლია თოფურია. რეკლამა - ზურა ჯაოშვილი.

# საერთაშორისო თანამეგობრობა შევარდნაძისგან დემოკრატიულ არჩევნებს მოითხოვს

პირველი გვერდიდან

რიჩარდ მაილსი ოპტიმისტურადაა განწყობილი და სჯერა, რომ არჩევნები მართლაც დემოკრატიულად ჩატარდება.

დიპლომატები ერთხმად ადასტურებენ, რომ არჩევნების ჩასატარებლად საერთაშორისო თანამეგობრობა საქართველოს მატერიალურ და ტექნიკურ დახმარებას გაუწევს. თუმცა, ელჩები ვერ აკონკრეტებენ, რა რაოდენობის თანხებს გამოყოფენ მათი მთავრობები. საფრანგეთის ელჩის მირეი მიუსოს თქმით, მისი ქვეყანა არჩევნებზე აუცილებლად გამოგზავნის დამკვირვებლებს.

სამუშაო ჯგუფი მაისის თვეში აქტიურ თანამშრომლობას გეგმავს როგორც საქართველოს მთავრობასთან, ასევე სამოქალაქო საზოგადოების წარმომადგენლებთან.

ჟურნალისტებთან საუბრისას, რიჩარდ მაილსი შეეხო საქართველოს შესაძლო მონაწილეობას ერაყის აღმშენებლობაში. ამასთან დაკავშირებით, აშშ-ს ელჩი უკვე შეხვდა შინაგან საქმეთა მინისტრს კობა ნარჩემაშვილს. მაილსი აცხადებს, რომ საქართველოს შეუძლია, ერაყში სამხედროები ან ძალოვანი სტრუქტურების წარმომადგენლები გააგზავნოს, რომლებიც იქ პოლიციის ფუნქციებს შეასრულებენ. აშშ-ს ელჩი, ასევე, შესაძლებლად მიიჩნევს ერაყში ქართული სამშენებლო კომპანიების ჩასვლასაც.



საერთაშორისო თანამეგობრობა საშემოდგომო თადარიგს გაზაფხულზე იჭერს.

პრეზიდენტთან გამართული შეხვედრის შემდეგ რიჩარდ მაილსი უშიშროების საბჭოს მდივანს თედო ჯაფარიძეს შეხვდა. შეხვედრაზე ისაუბრეს აშშ-ს სახელმწიფო მდივნის კოლინ პაუელის საქართველოში შესაძლო ვიზიტის თაობაზე. როგორც თედო ჯაფარიძე აცხადებს, ვაშინგტონი უახლოეს დღეებში მიიღებს საბოლოო გადაწყვეტილებას პაუელის საქართველოში ჩამოსვლის შესახებ. სავარაუდოდ, აშშ-ს სახელმწიფო მდივანი მაისის შუა რიცხვებში რამდენიმე საათით ეწვევა თბილისს.

# ნატო-მ საქართველოს სპეციალური მოსამზადებელი პერიოდი დაუწესა

ვერიკო თევზაძე

*5 მაისისთვის თბილისში ნატო-ს სამხედრო ექსპერტთა ვიზიტია დაგეგმილი. ექსპერტები ტრადიციულ, ყოველწლიურ მონიტორინგს ჩაატარებენ. მათი მიზანია, გაარკვიონ, რამდენად ასრულებს საქართველო ნატო-ში გასაწევრიანებლად აღებულ ვალდებულებებს.*

მონიტორინგი ტარდება 1999 წლიდან მოყოლებული, მას შემდეგ, რაც საქართველომ ოფიციალურად დააფიქსირა, რომ მას ძალუძს ე. წ. "პარტნიორების მიზნების" შესრულება. საქართველოს მიერ ნაკისრი ვალდებულებები 29 პუნქტისგან შედგება და სხვადასხვა სფეროში გასატარებელ საკითხთა ნუსხას მოიცავს. ხუთ ზოგად პუნქტს ემატება კონკრეტული ვალდებულებები, რომელთა მიხედვითაც რეფორმა სახმელეთო, საზღვაო და საჰაერო ძალებში, ასევე ეროვნულ გვარდიაში უნდა გატარდეს.

საქართველოს თავდაცვის მინისტრის მოადგილის გელა ბეჟუაშვილის განმარტებით, ხსენებული 29 პუნქტიდან არც ერთი არ არის შეუსრულებადი. ვიზიტის დღეებში თავდაცვის სამინისტრო ნატო-ს ექსპერტებს სპეციალურ ანგარიშს წარუდგენს. სამინისტროს კომპლექსურ ანალიზში მოცემული იქნება ცვლილებათა დინამიკა - თუ რა ნაბიჯები გადადგა საქართველომ შარშანდელთან შედარებით, რა პრობლემები აწუხებს ჩვენს ქვეყანას და, შესაბამისად, რა დახმარებას საჭიროებს ამა თუ იმ ვალდებულების შესასრულებლად.

გელა ბეჟუაშვილი: **"პრობლემები მეტ-ნაკლებად ყველა პუნქტში გვაქვს. განსაკუთრებით გვიჭირს სტანდარტიზაციის, კატალოგიზაციის საკითხების მოგვარება, ენის შესწავლა. ეს ის საკითხებია, რომელიც დროს საჭიროებს. გარკვეული პერიოდის შემდეგ სიძნელეთა გადალახვას მოვახერხებთ. მაგალითად, სამხედრო აკადემიაში ხორციელდება პროექტი, ოთხი წლის შემდეგ ნატო-ს სტანდარტებით მომზადებული ოფიცრები გვეყოლება."**

პრობლემები ტექნიკურ საკითხებშიც შეინიშნება. საქართველოს არ გააჩნია შესაბამისი საშუალებები ბიოლოგიური და ქიმიური იარაღის წინააღმდეგ. თუმცა, ეს პრობლემა ადვილად მოგვარდება, ვინაიდან პარტნიორი ქვეყნები ტექნიკური საკითხების მოსაგვარებლად ყველანაირ ვალდებულებას თავიანთ თავზე იღებენ. **"ჩვენ გვაქვს გარანტია იმისა, რომ ამ მხრივ დაგვეხმარება აშშ, გერმანია, ან თურქეთი,"** – აცხადებს ბატონი ბეჟუაშვილი.

ქართული მხარე ხაზგასმით აღნიშნავს, რომ უცხოელი პარტნიორების დახმარების გარეშე ნაკისრ ვალდებულებათა შესრულება გაჭირდებოდა. ნიმუშად ერთ მაგალითს მოვიყვანთ. 2004 წლის ბოლოსთვის საქართველომ უნდა შექმნას სამშვიდობო ბატალიონი. რომ არა გერმანიის დახმარება, ჩვენს ქვეყანას ამ პირობის შესრულება გაუჭირდებოდა. საქართველოს თავდაცვის სამინისტრომ გერმანიასთან გააფორმა სპეციალური ხელშეკრულება, რომლის თანახმადაც, კოსოვოში, გერმანულ ბრიგადაში ქართველი ასეული მიიღებს მონაწილეობას. ექვსი თვის შემდეგ, როტაციის პრინციპით, მას ახალი ასეული ჩაენაცვლება. 2004 წლის ბოლოსთვის საქართველოს უკვე ეყოლება ბატალიონი, რომელიც შეასრულებს სამშვიდობო მისიას როგორც ქვეყნის შიგნით, ასევე მის ფარგლებს გარეთ.

ნატო-ს ექსპერტები შესაბამის დასკვნას ჩრდილოატლანტიკური ალიანსის ხელმძღვანელობას წარუდგენენ. მაისის ბოლოს ამ დასკვნას ბრიუსელში, ნატო-ს მთავარ შტაბბინაში განიხილავენ.

დაახლოებით, ამავე პერიოდში ნატო-მ საქართველოს უნდა წარუდგინოს ე. წ. პარტნიორობის ინდივიდუალური სამოქმედო გეგმა. აღნიშნული ფორმატი პრაღის სამიტის შემდეგ ჩამოყალიბდა, იგი ნატო-მ სპეციალურად საქართველოსთვის შეიმუშავა. ინდივიდულური სამოქმედო გეგმა ნატო-ს მიერ საქართველოსთვის ინსტიტუციურ დახმარებას ისახავს მიზნად.

ინდივიდუალური სამოქმედო გეგმა ერთგვარი მოსამზადებელი პერიოდია. ბალტიისპირეთის ქვეყნებს მოსამზადებელი პერიოდი არ გაუვლიათ, მათ პირდაპირ მთავარი გეგმით (ნატო-ში გაწევრიანების გეგმით) დაიწყეს და გაუჭირდათ კიდეც. ნატო-მ გაითვალისწინა წარსულის გამოცდილება და საქართველოს საშუალება მისცა, რათა ბარიერი ნაკლებად მტკივნეულად გადალახოს.

სპეციალურად საქართველოსთვის შემუშავებულ პარტნიორობის ინდივიდუალურ სამოქმედო გეგმაში მითითებული იქნება კონკრეტული ვადები. საქართველომ ყველაფერი ისე უნდა გააკეთოს, რომ წელიწადნახევარში, მაქსიმუმ, ორ წელიწადში ნატო-ში გაწევრიანების სამოქმედო გეგმაში ჩართვა შეძლოს.

# რა ვაკეთოთ?

პირველი გვერდიდან

ზაფხულის არდადეგებამდე ოთხი სასესიო კვირა რჩება. ამ პერიოდში კი პარლამენტმა საარჩევნო კანონმდებლობის შეცვლა უნდა მოახერხოს. თამამად შეიძლება ითქვას, რომ დეპუტატებს ამაზე სერიოზული ამოცანა არ აქვთ. ამის მიუხედავად, საქმე წინ არ მიდის და რაც დრო გადის, უფრო და უფრო რეალურია იმის საშიშროება, რომ მომავალ არჩევნებს იმავე საარჩევნო ადმინისტრაციებით და ისეთივე მოუწესრიგებელი და გაყალბებული საარჩევნო სიებით შევხვდებით, როგორც ეს საკრებულოების არჩევნების დროს იყო.

იმის მიუხედავად, რომ ე.წ. "შემთანხმებელი ჯგუფი" ამ ბოლო დროს თითქმის ყოველ დღე იკრიბება და მის მუშაობაში თავად პარლამენტის თავმჯდომარეც იღებს მონაწილეობას, შედეგი არა და არ ჩანს. არადა, პარლამენტარებს ცენტრალური საარჩევნო კომისიის დაკომპლექტების წესზე საფუძვლიანი მსჯელობა ჯერაც არ დაუწყიათ და ჯერჯერობით მხოლოდ იმ პუნქტების შეჯერებას ცდილობენ, რომელიც ამომრჩეველთა რეგისტრაციას, მათ მარკირებასა და საარჩევნო სიების შედგენას ეხება.

რამდენიმე დღის წინ სასტუმრო "მარიოტში", დახურულ კარს მიღმა გამართულ შეხვედრაზე ფრაქციათა წარმომადგენლებმა, ამ ბოლო საკითხებთან დაკავშირებით, თითქოსდა მიაღწიეს პრინციპულ შეთანხმებას. თუმცა, როგორც იტყვიან, ამის იქით საქმე არ წასულა. ყოველ შემთხვევაში, ასე მიაჩნია "სოციალისტ" ზაქარია ქუცნაშვილს, რომელმაც შემთანხმებელი ჯგუფის გუშინდელ სხდომაზე პარლამენტის თავმჯდომარეს პირდაპირ განუცხადა: **"არ ვიცი, ვინ რა ინფორმაციას გაწვდით, მაგრამ შეგიძლიათ, მერწმუნოთ, რომ ამ შეთანხმების იქით საქმე არ წასულა და არანაირი სამუშაო არ მიმდინარეობსო".**

ამასობაში, არა მხოლოდ საარჩევნო კოდექსის გაკეთილშობილებაზე მომუშავე ჯგუფის განწყობა, არამედ მისი შემადგენლობაც თითქმის ყოველ დღე იცვლება. გუშინ, მაგალითად, ამ ჯგუფის მუშაობაში მონაწილეობა არ მიუღიათ სახელისუფლებო ფრაქციათა "მედროშეებს" ვიტალი ხაზარაძესა და ირაკლი გოგავას.

თავად შეკრება კი საკმაოდ ულიმღამოდ წარიმართა და მთლიანად პროცედურულ საკითხებს მიეძღვნა. ვინ უნდა შეაჯეროს წინადადებები, როგორი პრინციპით უნდა მოხდეს ამ წინადადებების პლენარულ სხდომაზე განხილვა - ნაწილ-ნაწილ თუ ერთად? ამ საკითხების გარკვევას დეპუტატები თითქმის ორი საათის მანძილზე ცდილობდნენ.

საკმაოდ დიდი დრო დაეთმო "სოციალისტ" ირაკლი მინდელის წინადადების განხილვას, რომლის თანახმად, პარლამენტმა საარჩევნო კოდექსი რამდენიმე ნაწილად უნდა დაყოს და ეტაპობრივად უყაროს კენჭი კანონპროექტის იმ მუხლებს, რომლის თაობაზეც შეთანხმება მიღწეული იქნება.

**"თავიდან მივიღოთ კოდექსის ის ნაწილი, რომელიც საარჩევნო სიების რეგისტრაციას ეხება, ადმინისტრაციის საკითხი კი ბოლოსთვის მოვიტოვოთ",** - განაცხადა მინდელმა.

"მრეწველ" ვახტანგ ხმალაძისთვის კი ეს ინიციატივა მიუღებელი აღმოჩნდა, რადგან **"უპირველეს საზრუნავს ადმინისტრაციული საკითხების გადაწყვეტა უნდა წარმოადგენდეს".** მინდელს არც პარლამენტის თავმჯდომარე დაეთანხმა. მისი თქმით, **"საარჩევნო კოდექსის ნაწილებად დამტკიცება დროში გაიწელება და, შესაძლოა, ახალი კოდექსის მიღების პროცედურამ აზრი დაკარგოს".** პარლამენტის თავმჯდომარე მიიჩნევს, რომ **"უმჯობესი იქნება, თუ პარლამენტში მომავალ კვირას საარჩევნო კოდექსის მთლიანად შეჯერებული ვარიანტის გამოტანა მოხერხდება".**

გუშინდელი კამათი დღეს გაგრძელდება. თუმცა საეჭვოა, საზოგადოებამ კოდექსთან დაკავშირებით რაიმე ახალი ინფორმაცია მიიღოს. ამის მიუხედავად, დეპუტატები მაინც აცხადებენ, რომ მომავალ კვირას საკითხს პლენარულ სხდომაზე გაიტანენ.

უნდა ითქვას, რომ ასეთი ხმამაღალი განცხადებების მიუხედავად, დეპუტატთა უმრავლესობას მაინც ეჭვი ეპარება, რომ ეს გეგმა განხორციელდება. **"რომ ვერ მოვასწროთ, მერე რა გავაკეთოთ?"** – ეკითხებოდნენ ერთმანეთს სხდომის დასრულების შემდგომ ჩაფიქრებული დეპუტატები.

და ბოლოს, გუშინდელ სხდომას ამერიკის ეროვნულ-დემოკრატიული ინსტიტუტის წარმომადგენელი მარკ მალენიც დაესწრო, რომელმაც მოგვიანებით ჟურნალისტებს განუცხადა: **"NDI-სთვის პრიორიტეტული ის პარტიები იქნება, რომელთა წარმომადგენლები, ახალ საარჩევნო კოდექსთან დაკავშირებით კონსენსუსის მისაღწევად, პოზიციების დათმობას შეძლებენ."**

# პავლიაშვილი პრეზიდენტს ატყუებს

პირველი გვერდიდან

რომელიც სოლომონ პავლიაშვილმა პრეზიდენტ შევარდნაძეს მიაწოდა.

პირველი შეუსაბამობა, თუ მეტი არა, ბიზნეს-გეგმის განხილვის თარიღს შეეხება. პავლიაშვილის ცნობით, როგორც "ელექტროკავშირში", ასევე ტრანსპორტისა და კომუნიკაციების სამინისტროში განხილვა 24 მარტამდე, ანუ პრეზიდენტისთვის წერილის გაგზავნამდე ჩატარდა და მან დიდი მოწონება დაიმსახურა. 18 აპრილს ტრანსპორტისა და კომუნიკაციების მინისტრის მოადგილე დარეჯანია კავშირგაბმულობის კომისიას აცნობებს, რომ **"სააქციო საზოგადოება "საქართველოს ელექტროკავშირის" განვითარების ბიზნეს-გეგმა და მენეჯმენტის თაობაზე ხელშეკრულების პროექტი სამინისტროში არ შემოსულა."** კომისია 16 აპრილს წერილს იღებს "ელექტროკავშირის" დირექტორის ლია ჭელიძისაგან, რომლის მიხედვითაც **"ტელენორის" მიერ მომზადებული ბიზნეს-გეგმა "ელექტროკავშირმა" მიიღო მხოლოდ 28 მარტს. აღნიშნულის გამო, ინფორმაცია 24 მარტამდე ბიზნეს-გეგმის "ელექტროკავშირში" განხილვის, მით უმეტეს, ჩვენი საზოგადოების მხრივ მასზე მაღალი შეფასების მიცემის შესახებ არ შეესაბამება სინამდვილეს."** თუმცა ეს არ არის ერთადერთი შეუსაბამობა.

პავლიაშვილის წერილის მიხედვით, "ტელენორი" იღებს ვალდებულებას, რომ სამი წლის მანძილზე **"მნიშვნელოვნად გააუმჯობესებს "ელექტროკავშირის" ფინანსურ და ტექნიკურ მდგომარეობას... "ელექტროკავშირში" მოხდება მნიშვნელოვანი ტრანსფორმაცია და ფაქტიურად მივიღებთ თანამედროვე საერთაშორისო სტანდარტების დონის კავშირგაბმულობის ოპერატორს. ამ საინტერესო და მიმზიდველი პროექტის განხორციელება დაკავშირებული იქნება გარკვეულ ფინანსურ რესურსებთან, რომელიც "ელექტროკავშირმა" უნდა გამოძებნოს, რათა მოხდეს თანამედროვე ძვირადღირებული ტექნოლოგიების შეძენა და მაღალკვალიფიციური მენეჯერების ანაზღაურება."**



სოლომონ პავლიაშვილი

"ელექტროკავშირის" დირექტორთა საბჭოს სხდომამ "ტელენორის" ბიზნეს-გეგმა უარყოფითად შეაფასა. ლია ჭელიძის განცხადებით, **"ინვესტორი სამი წლის განმავლობაში მხოლოდ კონსულტაციებისთვის ცხრა მილიონ დოლარს მოითხოვს, რომ არაფერი ვთქვათ მოზიდული ინვესტიციებისათვის გადასახდელ საფასურზე და სხვა უამრავ ზედნადებ ხარჯებზე, რომელიც უდავოდ წარმოიქმნება "ელექტროკავშირის" უცხოელების მიერ მართვის პროცესში."**

„24 საათის" ინფორმაციით, ქართულმა მხარემ ნორვეგიელ მენეჯერებს ნორმალური საცხოვრებელი პირობები უნდა შეუქმნას. ასევე გათვალისწინებულია მათი ოჯახების წელიწადში ორჯერ საქართველოში ჩამოსვლისა და თავად მენეჯერების ექვსჯერ ნორვეგიაში გამგზავრების ხარჯები. კომპანიაში ბიზნეს-გეგმას "ელექტროკავშირისთვის" განვლილ ეტაპად მიიჩნევენ, რომლის **"სამოქმედო პროგრამად აღიარება საფუძველსაა მოკლებული."**

კიდევ ერთი შეუსაბამობა ქონების მართვის მინისტრის წერილიდან. **„საწყის ეტაპზე საჭირო იქნება გარე წყაროებიდან დროებით დამატებითი რესურსების მოზიდვა, ანუ საუბარია ფინანსური ინვესტორის მოძიებაზე. ამ შემთხვევაში, „ტელენორმა" კვლავ შემოგვთავაზა თავისი პარტნიორი „სელფორდი", რომელიც გამოთქვამს მზადყოფნას მისცეს „ელექტროკავშირს" შეღავათიანი კრედიტი. ამასთან, ერთადერთ პირობას, რომელსაც ინვესტორი უყენებს ქართულ მხარეს აღნიშნული დაფინანსების განსახორციელებლად, მდგომარეობს იმაში, რომ გარკვეული პერიოდის შემდეგ „საქართველოს ელექტროკავშირის" აქციათა საკონტროლო პაკეტის პრივატიზების მიზნით მოხდეს ღია, გამჭვირვალე, საერთაშორისო ტენდერის გამოცხადება, რომელშიც კომპანია „სელფორდს" უფლება ექნება მიიღოს მონაწილეობა,"** – წერს პავლიაშვილი. როგორც ჩანს, პრეზიდენტმა შევარდნაძემ ქონების მართვის მინისტრის სიმართლისა ბოლომდე არ ირწმუნა და მის წერილში მოცემული ცნობების გადამოწმება სხვა თანამდებობის პირებსაც დაავალა. თუმცა, როგორც გაირკვა, ეს არც ისე ადვილი აღმოჩნდა. ამის ნათელი მაგალითია წერილი, რომელიც კავშირგაბმულობის მარეგულირებელმა კომისიამ ეკონომიკის სამინისტროში გააგზავნა. წერილის მიხედვით, **"არგუმენტირებული დასკვნისა და მოსაზრებების წარმოდგენა მხოლოდ შესაბამისი მასალების გაცნობისა და განხილვის შემდეგაა შესაძლებელი."** რამდენადაც „ელექტროკავშირის" „ტელენორისეული" ბიზნეს-გეგმა და კომპანიის მართვის კონტრაქტის პროექტი სხვა სახელმწიფო უწყებებშიც არ უნახავთ, სავარაუდოა, რომ პრეზიდენტის დავალების შესრულება ისინიც ვერ შეძლებენ.

# არასამთავრობოებს გრანტების ბედი აშფოთებთ

*ფინანსთა სამინისტროს მიერ შემუშავებული გრანტებისა და ჰუმანიტარული დახმარებით მიღებული საქონლის აღრიცხვისა და სახელმწიფო ბიუჯეტში ასახვის ახალი წესი არასამთავრობოების შეშფოთების საფუძველი ხდება.*

თამარ ხორბალაძე

წესში, რომელიც იუსტიციის სამინისტრომ უკვე გაატარა რეგისტრაციაში, აღნიშნულია, რომ:

**"ამ ინსტრუქციის მეორე მუხლში მითითებული ორგანიზაციები და დაწესებულებები, რომლებმაც დადებული ხელშეკრულებების (მემორანდუმების) შესაბამისად მიიღეს გრანტი და მას საკუთარი საჭიროებისთვის იყენებენ, ადგენენ შემდეგ ბუღალტრულ გატარებას:**

**ფულადი ფორმით მიღებულ გრანტებზე;**

**ა) თანხის შემოსავალში აღება**

**დებეტი 115 "ხაზინაში გახსნილი გრანტების ანგარიში"**

ანუ საუბარია იმაზე, რომ თანხებმა სახელმწიფო ხაზინაში გახსნილ ანგარიშზე უნდა მოიყაროს თავი.

ახლა ჩავხედოთ იმ ორგანიზაციებს, რომლებიც ზემოთ მოხსენიებულ მერე მუხლშია მითითებული. ამ მუხლის მესამე პუნქტში ასეთ ორგანიზაციებად დასახელებულია:

**"საქართველოს რეზიდენტი, ან არარეზიდენტი არასამეწარმეო იურიდიული პირი, მისი წარმომადგენლობა, ფილიალი, განყოფილება,"** ანუ ამ მუხლში საუბარია არასამთავრობო ორგანიზაციებზე.

არასამთავრობოები, რომელთაც ეს წესი ამ დღეებში აღმოაჩინეს, ეჭვობენ, რომ თუ პოლიტიკური ზეწოლის მცდელობასთან არა, აშკარა არაკომპეტენტურობასთან გვაქვს საქმე. ანუ **"ხელისუფლება არასამთავრობო სექტორს უკვე თავის ნაწილად მიიჩნევს, რაც საკმაოდ კომიკურია; ან მის არაკომპეტენტურობას არა აქვს საზღვარი, რაც მეტად ტრაგიკულია".**

ფინანსთა მინისტრის მოადგილემ ვასიკო გიგოლაშვილმა, რომელიც ამ საკითხს კურირებს, "24 საათთან" საუბარში განაცხადა, რომ არასამთავრობოთა შიში აბსოლუტურად მოკლებულია საფუძველს.

მისი თქმით, თავად ბრძანებულება, რომლის აღსრულების წესზეცაა საუბარი, **"სახელმწიფო ორგანიზაციების და უწყებების მიერ მიღებული გრანტების აღრიცხვას ითვალისწინებს და არა – არასამთავრობო სექტორის მიერ მიღებულის".**

ხოლო ამ წესში ზემოთ მოყვანილი "მეორე მუხლის მესამე პუნქტის" აღმოჩენას, ანუ იმას, რომ ჩამონათვალში არასამთავრობოებიც მოხვდნენ, იმით ხსნის, რომ იუსტიციის სამინისტრომ **"გრანტის მიმღებთა ჩამონათვალის შევსება მოითხოვა".**

მიუხედავად ამ ცვლილებისა, ვასიკო გიგოლაშვილის განცხადებით, თავად საბუღალტრო გატარების ნომერი, რომელიც წესშია მოყვანილი, ცხადყოფს, რომ საუბარი სახელმწიფო უწყებებზეა, რადგან არასამთავრობო ორგანიზაციები მსგავსი ნომრებით არ სარგებლობენ.

მოკლედ, იგი მზადაა, თავი დადოს და არასამთავრობოებს დაუმტკიცოს, რომ არავითარ ზეწოლაზე საუბარი არ არის და მათი შეშფოთების საფუძვლად მხოლოდ გაუგებრობა იქცა.

# „კავკასიის ავიახაზებმა„ OPIC-ის კრედიტი მიიღო

*ამერიკის შეერთებული შტატების საზღვარგარეთის კერძო ინვესტიციების კორპორაციამ (OPIC) ორიოდე დღის წინ ქართულ-ამერიკული ავიაკომპანია "კავკასიის ავიახაზებისთვის" 4.6 მილიონი დოლარის სესხის გამოყოფის შესახებ განაცხადა. ეს სესხი ავიაკომპანიას, რომლის დამფუძნებლებს შორის "სამგორი ჯგუფი", რამდენიმე ქართველი კერძო პირი და საქართველოს ლობისტი აშშ-ში, სენატორი პოლ ჯოელიც არიან, "ამბრეირის" ფირმის იმ ორი 30-ადგილიანი თვითმფრინავის გამოსყიდვაში დაეხმარება, რომლებითაც იგი ამჟამად ასრულებს რეისებს. გარდა ამისა, კომპანია რეისების გეოგრაფიის გაფართოებასაც გეგმავს.*

ზვანცა კვინიკაძე

"კავკასიის ავიახაზებისთვის" კრედიტის გამოყოფის გადაწყვეტილება OPIC-ის მცირე ბიზნესის ცენტრმა მიიღო. OPIC-ის პრეზიდენტის პიტერ უოტსონის განცხადებით, ამ გადაწყვეტილების მიღებისას ორგანიზაციამ გაითვალისწინა, რომ ეს პროექტი ხელს შეუწყობს რეგიონული ეკონომიკური თანამშრომლობის განვითარებას, ახალი სამუშაო ადგილების შექმნასა და ტექნოლოგიების გაცვლას ამერიკულ და რეგიონულ კომპანიებს შორის.

ავიაკომპანია "კავკასიის ავიახაზები" შარშან ნოემბრიდან ასრულებს რეგულარულ რეისებს თბილისი-ერევნისა და თბილისი-ბაქოს მიმართულებით და ბილეთის ფასი შესაბამისად 60 და 100 დოლარს შეადგენს. "კავკასიის ავიახაზების" გენერალური დირექტორის გიორგი ღლონტის განცხადებით, აქამდე ავიაკომპანიას ორივე თვითმფრინავი იჯარით ჰქონდა აღებული, OPIC-ის კრედიტი კი მათი გამოსყიდვის საშუალებას მისცემს. თავიდან ბიზნესის დაწყება "კავკასიის ავიახაზებმა", ძირითადად, ამერიკული გიგანტის "ლოკჰიდ მარტინისა" (ერთი მილიონი დოლარი) და ასევე ამერიკული კომპანია "პასიფიკ აილანდ ავიეიშენისგან" მიღებული კრედიტებით შეძლო.

ცხადია, რომ ავიაკომპანია ამერიკული მხარის ასეთ სერიოზულ მხარდაჭერას დიდწილად აშშ-ში საქართველოს ლობისტს, სენატორ პოლ ჯოელს უნდა უმადლოდეს, რომელიც ამავე დროს, როგორც ავიაკომპანიის მეწილე, მისი ლობისტიც გახდა. "კავკასიის ავიახაზებში" 60 პროცენტი ქართულ, ხოლო 40 პროცენტი ამერიკულ მხარეს ეკუთვნის. ქართველ მეწილეებს შორის არიან კომპანია "სამგორი ჯგუფი" და რამდენიმე კერძო პირი, ხოლო ამერიკული მხარის კუთვნილი წილიდან ნახევრის მფლობელი სენატორი პოლ ჯოელია.

OPIC-ის კრედიტის წყალობით, "კავკასიის ავიახაზები" უკვე რეგულარული თბილისი-ბაქოსა და თბილისი-ერევნის რეისებისთვის თბილისი-სოჭისა და თბილისი-მინერალური წყლების მარშრუტების დამატებასაც გეგმავს. ასევე მოსალოდნელია, რომ ზაფხულისთვის თბილისიდან ბათუმის მიმართულებითაც დაიწყოს ფრენები.

# „მეტრომედია" „მაგთის" წილის გაყიდვას აღარ აპირებს

*ამერიკული კომპანია "მეტრომედია", რომელიც საქართველოში საკომუნიკაციო სფეროს რამდენიმე კომპანიის, მათ შორის: "მაგთიკომის", "საქართველოს ტელეკომის", საკაბელო ტელევიზია "აიეტისა" და რადიოსადგურების – "ფორტუნასა" და "ფორტუნა პლიუსის" თანამფლობელია, როგორც ჩანს, ფინანსურ კრიზისს თავს აღწევს. გუშინ კომპანიის ხელმძღვანელობამ განაცხადა, რომ აპირებს ძირეულად გადახედოს თავისი აქტივების გაყიდვის პროგრამას, რომელიც შარშან შეიმუშავა და რომელიც, ცხადია, მის ქართულ კომპანიებსაც ეხებოდა.*

მნიშვნელოვანია, რომ "მეტრომედიამ" შეწყვიტა სატელეკომუნიკაციო კომპანიებში თავისი ძირითადი წილის გაყიდვის მიმართულებით მუშაობა და ახლა პრიორიტეტად აცხადებს ამ კომპანიების შემდგომ განვითარებაზე ზრუნვას. ამ კომპანიებს შორის არის რუსეთში მოქმედი "პეტერსტარი" და BCL და საქართველოს ერთ-ერთი GSM ოპერატორი "მაგთიკომი", რომლებშიც "მეტრომედია" შესაბამისად 71, 100 და 34- პროცენტიან წილებს ფლობს. ამავე დროს კომპანია განაგრძობს საკაბელო ტელევიზიებისა და რადიოსადგურების კომპანიებში თავისი წილებისთვის მყიდველების ძიებას.

"მეტრომედიის" პრეზიდენტი მარკ ჰაუფი აღნიშნულ სიახლეებს იმ მნიშვნელოვანი პროგრესით ხსნის, რომელსაც კომპანიამ ბოლო ორი თვის მანძილზე ფინანსური პრობლემების დაძლევის მხრივ მიაღწია. ჰაუფის განცხადებით, "მეტრომედიის" დავალიანება სხვადასხვა კრედიტორების მიმართ თითქმის მესამედით შემცირდა, რაც მნიშვნელოვანწილად კომპანიის ერთ-ერთ დანაყოფთან - Adamant-თან დაკავშირებული გარიგების წარმატებით განხორციელებამ განაპირობა. ამ გარიგებით "მეტრომედიამ" ხუთი მილიონი დოლარის ნაღდი ფული მიიღო. "მეტრომედია" კიდევ არაერთი მნიშვნელოვანი ფინანსური ღონისძიების განხორციელებას გეგმავს, რომელიც, კომპანიის პრეზიდენტის თქმით: **"რეალურ ბაზას შექმნის იმისთვის, რომ ჩვენი ძირითადი ბიზნესი კი არ შევკვეცოთ, პირიქით – მის განვითარებაზე ვიზრუნოთ და აქციონერებს მივცეთ საშუალება, აქციების ღირებულების შემდგომ ზრდაში მიიღონ მონაწილეობა".**

თებერვალში "მეტრომედიამ" საკუთარი საკაბელო ტელევიზიების ქსელისა და რადიოსადგურების ბიზნესის პოტენციური გაყიდვის პროცესში თავის ექსკლუზიურ წარმომადგენლად დანიშნა საკმაოდ გამოცდილი კომპანია Communications Equity Associates (CEA). მას ცენტრალური და აღმოსავლეთი ევროპის 14 ქვეყანაში "მეტრომედიის" 11 საკაბელო ტელევიზიისა (400 ათასი აბონენტი) და 22 რადიოსადგურისთვის, რომელთა შემოსავალი 15 მილიონ დოლარს აღემატება, შესაბამისი კლიენტები უნდა მოეზიდა.

# კონტროლის პალატამ ფინანსთა სამინისტროს დარღვევები აღმოუჩინა

მაია ურუშაძე

*გუშინ პარლამენტის საფინანსო-საბიუჯეტო და გადასახადებისა და შემოსავლების კომიტეტებმა ერთობლივად განიხილეს კონტროლის პალატის ხმაურიანი დასკვნა 2002 წლის ბიუჯეტის შესახებ მთავრობის მიერ წარმოდგენილი ანგარიშის თაობაზე. "24 საათი" უკვე წერდა, რომ კონტროლის პალატამ მთავრობის ანგარიში მკაცრად გააკრიტიკა და დააფიქსირა 116-მილიონლარიანი გარღვევა, რასაც დაჟინებით უარყოფდა სამთავრობო ეკონომიკური ბლოკი.*



რას უპასუხებს მინისტრი! - აინტერესებთ ხელქვეითებს.

ლევან ხერხეულიძის ფოტო

კონტროლის პალატამ, რომელსაც მთავრობის მიერ გაწეული ფისკალური პოლიტიკის აუდიტი ევალება, ფინანსთა სამინისტროს მიერ 2002 წლის ბიუჯეტის შესახებ კანონის თექვსმეტი მუხლის დარღვევა გამოავლინა.

**"ჩვენი დასკვნით, ფინანსთა სამინისტროს მიერ წარმოდგენილი ანგარიში 2002 წლის ბიუჯეტის შესრულების შესახებ არასრული და არაზუსტია. მთავრობის ანგარიში არ ასახავს რეალობას, არ წარმოაჩენს სახელმწიფო ბიუჯეტში შემოსავლებისა და გაწეული ხარჯების კანონიერებას, ეს კი ბიუჯეტის შესრულებისას კანონის დარღვევებითა და ადმინისტრირების გაუარესებითაა განპირობებული,"** – ასეთია კონტროლის პალატის თავმჯდომარის სულხან მოლაშვილის პოზიცია, რომელსაც არ ეთანხმება ფინანსთა სამინისტრო.

როგორც ფინანსთა მინისტრის მოადგილე ვასილ გიგოლაშვილი აცხადებს, **"2002 წელს საგადასახადო შემოსავლების გეგმა გადაჭარბებით შესრულდა, ხოლო გარღვევა კი იმის ბრალია, რომ ბიუჯეტმა ვერც აჭარიდან კუთვნილი 46 მილიონი ლარი მიიღო და ვერც ევროკომისიის 56 მილიონი ლარის ოდენობის გრანტი."**

გუშინ მოლაშვილის მოხსენებამ დეპუტატები არ დააკმაყოფილა. **„კონტროლის პალატა დარღვევებზე საუბრობს, ფინანსთა სამინისტრო კი დადებით ტენდენციებზე. რომელს ვენდოთ?"** – დეზორიენტირებულნი ჩანდნენ პარლამენტარები და იმის გარკვევას ცდილობდნენ, თუ ვის უნდა დაეკისროს პასუხისმგებლობა ბიუჯეტის გარღვევისათვის. **"ჩვენ ფინანსთა სამინისტროს მიერ წარმოებულ ფისკალურ პოლიტიკას შეფასებას ვუკეთებთ და რეკომენდაციებს ვუწევთ მთავრობას, რომ დარღვევები თავიდან აიცილოს. რაც შეეხება პასუხისმგებლობის საკითხის დასმას, ეს პარლამენტმა უნდა გააკეთოს,"** – განმარტა კონტროლის პალატის თავმჯდომარემ სულხან მოლაშვილმა.

კონტროლის პალატის დასკვნის გაცნობის შემდეგ საფინანსო-საბიუჯეტო კომიტეტის თავმჯდომარემ ზაზა სიორიძემ მთავრობის მიერ 2002 წელს გაწეული მუშაობა "არასაკმარისად" შეაფასა. **"შარშან კანონდარღვევის იმდენად სერიოზული ფაქტები არ გამოვლენილა, რომ კომიტეტმა ვინმეს პასუხისმგებლობის ან იმპიჩმენტის საკითხი დააყენოს. ამიტომ ჩვენი წინადადებაა, მთავრობის ანგარიში დამტკიცდეს, მაგრამ მთავრობის საქმიანობა დადებითად არ შევაფასოთ,"** - განაცხადა მან.

კონტროლის პალატაში მიიჩნევენ, რომ მიუხედავად სხვადასხვა საფინანსო ორგანიზაციების რეკომენდაციებისა, წლევანდელი ბიუჯეტიც შეცდომებითაა დაგეგმილი და იმედოვნებენ, რომ მომავალში ამ შეცდომებს თავიდან აგვაცილებს „საბიუჯეტო სისტემების შესახებ" კანონის მიღება.

კონტროლის პალატის მიერ გაკრიტიკებული მთავრობის ანგარიში პარლამენტის პლენარულმა სხდომამ 15 მაისამდე უნდა დაამტკიცოს (ან არ დაამტკიცოს), ორშაბათს კი პარლამენტის ბიუროს ამ ანგარიშის შესახებ თავისი ერთობლივი დასკვნა საფინანსო-საბიუჯეტო და შემოსავლების კომიტეტებმა უნდა წარუდგინონ.

# „ეი-ი-ეს თელასის" პრობლემებმა ლეიბორისტებსაც კი გული მოულბო

პირველი გვერდიდან

**"სახელმწიფოს ასეთი ქმედება მიუღებელია, რადგან მას თავად აქვს ჩვენი ვალი, რომელსაც არ იხდის და ჩვენგან კი დავალიანებების დაფარვას მკაცრად ითხოვს. სახელმწიფო არ ასრულებს აღებულ ვალდებულებებს, არ იხდის ელექტროენერგიის საფასურს და არც შეღავათებს ანაზღაურებს",** - განაცხადა "ეი-ი-ეს თელასის" მომხმარებელთა უფლებების დაცვის დეპარტამენტის ხელმძღვანელმა. "ეი-ი-ეს თელასი" არც 1,7 მილიონი ლარის დავალიანებას აღიარებს, მით უმეტეს, რომ: **"ჩვენ არც ერთი შედარების აქტზე ხელი არ მოგვიწერია",** - აღნიშნა ფანცულაიამ. მისი განმარტებით, ეს თანხა ათჯერ მეტია იმაზე, რასაც ითვალისწინებს სახელმწიფოსა და "ეი-ი-ეს თელასს" შორის გაფორმებული ორმხრივი ხელშეკრულება, რომლის თანახმად, საგზაო ფონდის გადასახადი კომპანიაში შემოსული თანხების 0,1 პროცენტის სახით არის განსაზღვრული. **"ასეთი მოთხოვნით მთავრობა ხელშეკრულების პირობებს არღვევს. ასეთ პირობებში შეუძლებელია საქმიანობის გაგრძელება, რაც სერიოზულ პრობლემებს შექმნის დედაქალაქის ელექტრომომარაგებაში",** - თქვა "ეი-ი-ეს თელასის" მომხმარებელთა უფლებების დაცვის დეპარტამენტის ხელმძღვანელმა. სადისტრიბუციო კომპანიაში იმასაც აცხადებენ, რომ საგზაო ფონდის თანამშრომლებმა მათ არაერთხელ წარუდგინეს გაუგებარი წარმოშობის ანგარიშფაქტურები და გადასახადის გადარიცხვა გაურკვეველ კერძო ანგარიშებზე მოითხოვეს, რაზეც კომპანიამ უარი განაცხადა. ფანცულაიამ ამ საკითხთან დაკავშირებით დეტალების დაზუსტებისგან თავი შეიკავა.

"ეი-ი-ეს თელასში" ხელისუფლების მიერ სადისტრიბუციო კომპანიის მიმართ გატარებულ ქმედებებს იმით ხსნიან, რომ საქართველოს ხელისუფლება ვერ ახერხებს ქვეყანაში ნორმალური ბიზნესგარემოსა და ინვესტორთა მუშაობისათვის ნორმალური პირობების შექმნას. ამის მაგალითად კი ასახელებენ "ბრითიშ მედითერანიან ეარვეიზისა" და "თურქეთის ავიახაზების" გარშემო ატეხილ ხმაურს.

"ეი-ი-ეს თელასს" სოლიდარობა საქართველოს ლეიბორისტულმა პარტიამაც კი გამოუცხადა და „ეი-ი-ეს თელასის" ანგარიშებიდან საგზაო ფონდის მიერ დადებული ყადაღის მოხსნა მოითხოვა. ლეიბორისტების ვარაუდით, სახელისუფლებო ბლოკთან დაახლოებული საგზაო ფონდის ხელმძღვანელობის მიერ თელასის საბანკო ანგარიშების დაყადაღება შესაძლოა, ამ კომპანიის მხრიდან ელექტროენერგიის ტარიფის გაზრდაზე პრეტენზიების წამოყენების საბაბი გახდეს. ლეიბორისტები აცხადებენ, რომ საგზაო ფონდი და საგზაო დეპარტამენტი ქვეყანაში კორუფციული პირამიდის მნიშვნელოვან ნაწილს წარმოადგენენ, სადაც მილიონობით კრედიტი და გრანტია დალექილი. ლეიბორისტებმა პროკურატურას საგზაო ფონდში არსებულ კორუფციულ მაქინაციებთან დაკავშირებით სისხლის სამართლის საქმის აღძვრა მოსთხოვეს.

# თბილისის ბიუჯეტი 800 ათასი ლარით გაირღვა

სოფო კვინტრაძე

დედაქალაქის საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარე, "ნაციონალური მოძრაობის" წევრი კობა ბექაური აცხადებს, რომ აპრილის თვეში თბილისის ბიუჯეტი 800 ათასი ლარით გაირღვა. ბექაურის ინფორმაციით, გასული თვის ბიუჯეტი 15 მილიონი ლარით იყო დაგეგმილი, მაგრამ მთავრობამ მხოლოდ 14 მილიონი ორასი ათასი ლარის მობილიზება მოახდინა. გარღვევა, ძირითადად, საგადასახადო შემოსავლებზე მოდის. საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარის განცხადებით, საბიუჯეტო დეფიციტის გამო ვერ მოხერხდება ისეთი მნიშვნელოვანი ვალდებულებების შესრულება, როგორიცაა ჯანდაცვის, განათლების, სოციალური სფეროს დაფინანსება. საკრებულო არ აპირებს ბიუჯეტის გარღვევა უყურადღებოდ დატოვოს. "ნაციონალური მოძრაობის" წევრს სერიოზული ეჭვი აქვს, რომ თანხები, რომელიც მთავრობამ ბიუჯეტს დააკლო, ახალი სახელისუფლებო ბლოკის საარჩევნო კამპანიის დაფინანსებას მოხმარდება. ამიტომ მომავალ კვირას საფინანსო-საბიუჯეტო კომისია საგანგებო სხდომას მოიწვევს, სადაც დედაქალაქის ეკონომიკური გუნდისა და საგადასახადო სამსახურების პასუხისმგებლობის საკითხს დააყენებს. **"საგადასახადო ინსპექციას ყველანაირი ბერკეტი აქვს, რომ გადასახადები ამოიღოს. მაგრამ თუ პენსიებისა და ხელფასებისთვის განკუთვნილ თანხებს მთავრობა თავის საარჩევნო კამპანიას მოახმარს, ამის გამო ჩვენ მათ პასუხს მოვთხოვთ,"** – განუცხადა კობა ბექაურმა "24 საათს".



# ახალ სამშვიდობო გეგმას ახალი სისხლისღვრა მოჰყვა

შოთა უტიაშვილი

გუშინ, ისრაელისა და პალესტინის ლიდერებს ახალი სამშვიდობო გეგმა წარუდგინეს. დოკუმენტი, რომელიც ცნობილია, როგორც "საგზაო რუკა", აშშ-მ, რუსეთმა, ევროკავშირმა და გაერო-მ შეიმუშავეს. იგი დაპირისპირებული მხარეებისაგან სერიოზულ კომპრომისებზე წასვლას მოითხოვს და 2005 წლისათვის დამოუკიდებელი, სუვერენული პალესტინის შექმნას ისახავს მიზნად.

გეგმა პალესტინელების მხრიდან ტერორიზმზე დაუყოვნებლივ და უპირობო უარის თქმას, ტერორისტული ორგანიზაციების დაშლას, მათგან იარაღის ამოღებას და ტერორისტების დაპატიმრებას ითვალისწინებს.

ამავე დროს, ისრაელმა უნდა შეწყვიტოს პალესტინურ დასახლებებზე თავდასხმა, აყაროს ყველა უკანონო დასახლება, რომელიც პალესტინის ტერიტორიაზე 2001 წლიდან მოყოლებული განათავსა, შეწყვიტოს ახალი დასახლებების მშენებლობა და ეტაპობრივად გაიყვანოს ჯარები ოკუპირებული ტერიტორიებიდან.

ეს გეგმის პირველი ეტაპია. მეორე ეტაპზე ნავარაუდევია პალესტინის დროებითი სახელმწიფოს შექმნა დროებითი საზღვრებით. თითოეული ეტაპისათვის ექვსი თვეა განკუთვნილი.

მესამე ეტაპი ორ წელიწადს გასტანს და იგი პალესტინის სრულუფლებიანი სახელმწიფოს შექმნით უნდა დასრულდეს. მაშინვე უნდა მოხდეს ორი სახელმწიფოს გამყოფი საზღვრის დაზუსტება.

სამშვიდობო გეგმის გამოქვეყნებას დიდხანს ელოდნენ. "კვარტეტს" იგი ჯერ კიდევ დეკემბერში ჰქონდა მზად. მისი გამოქვეყნების წინაპირობად ამერიკელები პალესტინაში ახალი მთავრობის შექმნას ასახელებდნენ. ამერიკა და ისრაელი აცხადებენ, რომ არაფატი სამშვიდობო პროცესს უნდა ჩამოსცილდეს და რომ მოლაპარაკებებს მხოლოდ ახალ პრემიერ-მინისტრთან, აბუ მაზენთან აწარმოებენ. მართლაც, გეგმის ოფიციალური პრეზენტაცია მაზენის დანიშვნიდან რამდენიმე საათის შემდეგ გაიმართა.

გეგმას უამრავი მოწინააღმდეგე ჰყავს, მათ შორის, პალესტინური ექსტრემისტული ორგანიზაციები და ებრაელი კონსერვატორები. მას ბევრი ძველი სამშვიდობო გეგმების (ოსლოს შეთანხმება, მიჩელის მოხსენება) ბედს უწინასწარმეტყველებს. გეგმის გამოქვეყნების წინადღეს პალესტინელებმა სამი მშვიდობიანი ებრაელი მოკლეს, რასაც ებრაელებმა 12 პალესტინელის, მათ შორის, ორი წლის ბავშვის მოკვლით უპასუხეს. 31-თვიანი შეიარაღებული დაპირისპირების შედეგად უკვე 2800-მდე პალესტინელი და 700-მდე ებრაელი დაიღუპა.



აფეთქება ღაზის სექტორში

მხარეები ვერ შეთანხმდნენ იმაზე, ვინ უნდა გადადგას პირველი ნაბიჯი. ისრაელის მხარე აცხადებს, რომ სანამ პალესტინელები ტერორიზმზე ხელს არ აიღებენ, ისინი გეგმის შესრულებას არ დაიწყებენ. თავის მხრივ, პალესტინელებიც აცხადებენ, რომ ისრაელის მხრიდან კომპრომისული ნაბიჯების გადადგმის გარეშე, ისინი ვერ შეძლებენ, ექსტრემისტული ორგანიზაციები ცეცხლის შეწყვეტაზე დაიყოლიონ.

წინააღმდეგობის საგანია თავად შეთანხმების ტექსტიც. პალესტინის ადმინისტრაცია აცხადებს, რომ შეთანხმების ყოველი სიტყვა (განსაკუთრებით, თარიღები) განუხრელად უნდა შესრულდეს. ისრაელის მხარე კი ფიქრობს, რომ "საგზაო რუკა" მოლაპარაკებების საფუძველს წარმოადგენს და მხარეებს უნდა მიეცეთ საშუალება, მასში საჭირო ცვლილებები შეიტანონ.

როგორც აღინიშნა, გეგმის მთავარი განმხორციელებლები - არიელ შარონიცა და აბუ მაზენიც მნიშვნელოვან საშინაო წინააღმდეგობებს ელიან. ისრაელის მმართველ კოალიციაში შემავალმა კონსერვატიულმა პარტიებმა განაცხადეს, რომ თუ ისრაელი პალესტინის ტერიტორიაზე დასახლებების მშენებლობას შეწყვეტს, ისინი კოალიციას დატოვებენ. სამშვიდობო შეთანხმებას სკეპტიკურად უყურებენ გასამხედროებული პალესტინური დაჯგუფებებიც, რომლებიც ამბობენ, რომ ცეცხლის შეწყვეტას არ აპირებენ.

ერთიანი აზრი "საგზაო რუკის" ავტორთა შორისაც არ არსებობს. ისრაელს საერთოდ სურს, რომ პროცესს, ამერიკის გარდა, სამივე დანარჩენი სპონსორი ჩამოაშოროს, რადგან ისინი (ევროკავშირი, გაერო და რუსეთი) გამოკვეთილად ანტი-ებრაულ პოზიციას იკავებენ.

მიუხედავად უამრავი წინააღმდეგობისა, ორი ფაქტორის გამო დიპლომატებისა და ექსპერტების ერთი ნაწილი გეგმას ოპტიმისტურად უყურებს. პირველი ფაქტორი ერაყში ახლახან დამთავრებული ომია, რომელმაც რეგიონში ამერიკის გავლენა სერიოზულად გაზარდა, მეორე კი სამშვიდობო პროცესიდან არასაიმედო არაფატის ჩამოცილება გახლავთ. ბოლო 30 წლის განმავლობაში ეს პირველი შემთხვევაა, როდესაც პალესტინაში არაფატის ალტერნატიული პოლიტიკური ცენტრი შეიქმნა. თუმცა, არაფატი ჯერ კიდევ დიდ გავლენას ინარჩუნებს.

ბევრი გამოთქვამს ეჭვს იმასთან დაკავშირებით, რამდენად მოინდომებს ბუში ისრაელზე ზეწოლის განხორციელებას. მით უმეტეს, რომ ექსპერტთა აზრით, ებრაული ლობის გავლენა ბუშის ადმინისტრაციაზე დღეს განსაკუთრებით ძლიერია.

ასევე გაურკვეველია, რა პოზიციას დაიკავებენ სხვა არაბი ლიდერები, რომლებიც პალესტინის ადმინისტრაციას ყოველწლიურად ასეულობით მილიონი დოლარით ეხმარებიან. მათი პოზიცია სამშვიდობო გეგმის განხორციელებისათვის ასევე ძალიან მნიშვნელოვანია.

თავად პალესტინელები აცხადებენ, და მათ ამაში ბევრი ეთანხმება, რომ ყველაფერი ამერიკაზეა დამოკიდებული. თუ ბუში მშვიდობის მიღწევას მართლაც მოინდომებს, მას ამისათვის გაცილებით უკეთესი საშუალებები ექნება, ვიდრე მის წინამორბედებს ჰქონდათ.

# ცენტრალურ აზიაში რეგიონული უშიშროების კიდევ ერთი ორგანიზაცია იქმნება



კმაყოფილი პრეზიდენტი

შუა აზიაში უსაფრთხოების რეგიონული ორგანიზაციების ნამდვილი ბუმია. კოლექტიური უშიშროების ხელშეკრულების ორგანიზაციის შექმნიდან (მოიცავს რუსეთს, სომხეთს, ბელარუსს, ყაზახეთს, ყირგიზეთს და ტაჯიკეთს) სულ რამდენიმე დღე გავიდა, და კიდევ ერთი ორგანიზაციის შექმნის შესახებ გამოცხადდა, რომლის მიზნებიც პირველისაგან დიდად არ განსხვავდება.

„შანხაის ექვსეული მუდმივმოქმედ საერთაშორისო ორგანიზაციად გარდაიქმნება, რომლის მიზანიც რეგიონში სტაბილურობისა და უსაფრთხოების შენარჩუნება იქნება. ორგანიზაცია ხელს შეუწყობს თანამშრომლობას პოლიტიკურ, ეკონომიკურ, ჰუმანიტარულ და უსაფრთხოების საკითხებში," – განაცხადა ამ ორიოდე დღის წინ რუსეთის თავდაცვის მინისტრმა იგორ ივანოვმა.

შანხაის ექვსეულში ჩინეთი, რუსეთი, ყაზახეთი, ყირგიზეთი, ტაჯიკეთი და უზბეკეთი შედიან. თავიდან მას ცენტრალურ აზიაში რუსეთ-ჩინეთის კონდომინიუმის (თანამფლობელობა) შექმნის მცდელობად მიიჩნევდნენ, თუმცა ჯერჯერობით იგი უფრო პრეზიდენტების სადისკუსიო კლუბად ჩამოყალიბდა. 28-29 მაისს მოსკოვში დაგეგმილ სამიტზე იგი რეგიონულ ორგანიზაციად გარდაიქმნება. ძნელი სათქმელია, უსაფრთხოების საკითხებზე მომუშავე ეს უკვე მერამდენე ორგანიზაციას აფუძნებს რუსეთი. ასევე ძნელი სათქმელია, მოახდენს თუ არა რაოდენობა ხარისხის კომპენსაციას.

# ერაყში აფეთქების შედეგად 7 ამერიკელი ჯარისკაცი დაიჭრა

1 მაისს ერაყის ქალაქ ფალუჯაში მომხდარი აფეთქების შედეგად, ბაზაზე მყოფი 7 ამერიკელი ჯარისკაცი დაიჭრა. ეს სწორედ ის ქალაქია, სადაც საპროტესტო გამოსვლებისას ამერიკელებმა 15 ადამიანი მოკლეს, - იუწყება "როიტერი".

"თავდასხმა რამდენიმე ადამიანის აღშფოთების გამოხატულება იყო იმის გამო, რაც ქალაქში ამ კვირას მოხდა", - განაცხადა კაპიტანმა ალან ვოთმა მომხდარის შესახებ კომენტირებისას.

დაჭრილი ამერიკელი ჯარისკაცები სასწრაფოდ ევაკუირებულნი იქნენ. ვოთის თქმით, მათ სიცოცხლეს საფრთხე არ ემუქრება.

თავდასხმის შემდეგ, ჯარისკაცებმა ერაყელებს ცეცხლი გაუხსნეს, მაგრამ არავინ დაშავებულა.

ფალუჯას მერმა თაჰა ბადავი ჰამიდ ალ-ალვანიმ, რომელიც სადამ ჰუსეინის დამხობის შემდეგ ადგილობრივმა უხუცესებმა აირჩიეს, მომხდარი აფეთქება დაგმო.

"ნებისმიერი, ვინც არ უნდა იყოს იგი, ამერიკელი, თუ ერაყელი, რომელიც ძალადობას მიმართავს, ბოროტია", - თქვა ალვანიმ. მან საგანგებოდ მოუწოდა ერაყელებსა და რელიგიურ ლიდერებს, რათა არსებული დაძაბულობა განმუხტონ.

თუმცა, მერის მოადგილემ ზიად მეხლიფმა აღნიშნა, რომ "თუ ამერიკელები კიდევ ერთხელ დაუშვებენ შეცდომას და არაადეკვატურად მოახდენენ რეაგირებას, მაშინ, მათდამი ზიზღის აღკვეთა, პრაქტიკულად, შეუძლებელი იქნება". სუნიტი მუსლიმებით დასახლებულ 270 000-იან ქალაქში ამერიკელთა ყოფნამ, რომლებმაც ერაყის ყოფილი მმართველი პარტიის - "ბაასის" შენობაში დაიდეს ბინა, ვითარება ძალზე დაძაბა.

*როიტერი*

# ამერიკული სამხედრო ბაზები შავი ზღვისაკენ მოიწევენ

შოთა უტიაშვილი

დროა, ამერიკული სამხედრო ბაზები დასავლეთ ევროპიდან აიბარგონ და კონტინენტის სამხრეთ-აღმოსავლეთ ნაწილში გადავიდნენ, – განაცხადა აშშ სენატის ევროპის საქმეთა ქვეკომიტეტის თავმჯდომარემ ჯორჯ ალენმა.

მისი თქმით, ერაყის ომის დროს, ბულგარეთსა და რუმინეთში მდებარე სახელდახელოდ მოწყობილმა სამხედრო ბაზებმა თუ ჩვეულებრივმა აეროდრომებმა წარმატების მიღწევაში არანაკლებ მნიშვნელოვანი როლი შეასრულეს, ვიდრე დასავლეთ ევროპაში მდებარე ბაზებმა.

გერმანიაში მდებარე უმსხვილესი ამერიკული სამხედრო ბაზები ერაყის ფრონტიდან სამი ათასი კილომეტრითაა დაშორებული, მაშინ, როდესაც შავი ზღვის დასავლეთ სანაპიროდან ბაღდადამდე ზუსტად ამის ნახევარი მანძილია.

"ეს ქვეყნები უფრო ახლოა საფრთხის კერებთან, – ამბობს სენატორი ალენი, – 11 სექტემბრის შემდეგ ნათლად გამოჩნდა, სად მდებარეობს ამგვარი კერები". სამხრეთ აღმოსავლეთ ქვეყნების, პირველ რიგში კი - რუმინეთისა და ბულგარეთის, სტრატეგიული მნიშვნელობა რუკაზე თვალის ერთი გადავლებითაც ჩანს.

მეორე არგუმენტი იმაში მდგომარეობს, რომ, მაგალითად, გერმანიისაგან განსხვავებით, სამხრეთ-აღმოსავლეთ ევროპაში ამერიკელი ჯარისკაცების გამოჩენას საპროტესტო ტრანსპარანტებით არავინ ხვდება. ამ ქვეყნებში არა მხოლოდ მთავრობები, არამედ საზოგადოებრივი აზრიც გამოკვეთილად პრო-ამერიკულია. აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი ამერიკის სამხედრო კამპანიას ერაყში და სპარსეთის ყურეში სამხედრო პერსონალიც გაგზავნეს. მართალია, ეს პერსონალი უფრო ხშირად რამდენიმე სამხედრო ექიმით, ინჟინრით, ან რამდენიმე ათეული კომანდოთი შემოიფარგლებოდა, მაგრამ სამაგიეროდ, აღმოსავლეთ ევროპელებმა ამერიკელებს მნიშვნელოვანი დახმარება საჰაერო სივრცის გახსნით გაუწიეს. დასავლეთ ევროპაში დისლოცირებული პირადი შემადგენლობისა და იარაღის დიდი ნაწილი სპარსეთის ყურეში სწორედ აღმოსავლეთ ევროპის გავლით მოხვდა.



გარდა ამისა, - აღნიშნავს სენატორი, - აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებში ბაზების გადატანა ფინანსური თვალსაზრისითაც მომგებიანი იქნება. იქ მათი შენახვა გაცილებით უფრო იაფი დაჯდება.

სამხრეთ-აღმოსავლეთ ევროპაში ბაზების გადატანას ბევრი ამერიკელი ექსპერტი უჭერს მხარს. ცივი ომის დროს, მხოლოდ გერმანიაში 80 ათასი ამერიკელი ჯარისკაცი იყო განთავსებული, რომელთა ერთადერთ ფუნქციას შესაძლო საბჭოთა აგრესიის მოგერიება შეადგენდა. მას შემდეგ, რაც წითელმა არმიამ ცენტრალური ევროპა დატოვა, ეს საფრთხეც აღმოიფხვრა. "საფრთხის ახალი კერები ახლო აღმოსავლეთში, სამხრეთ და ცენტრალურ აზიაში მდებარეობს, შესაბამისად, ახალი ბაზები ახალი საფრთხის კერების სიახლოვეს უნდა განლაგდეს," – აცხადებენ ექსპერტები. 11 სექტემბრის შემდეგ, ამერიკული ბაზები ზემოთჩამოთვლილი რეგიონების ბევრ სახელმწიფოში გამოჩნდა, მაგრამ მათ ხშირად არამეგობრულ გარემოში უწევთ არსებობა. აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნები კი ამერიკისადმი ძალზე ლოიალურად არიან განწყობილნი და თანაც, ახლო მომავალში ნატო-ს წევრები ხდებიან.

მართალია, კავკასიაში ამერიკული სამხედრო ბაზების განთავსებაზე ჯერ საუბარი არ მიდის, მაგრამ თუ სამხრეთ ან ცენტრალურ აზიაში დესტაბილიზაციის ან ტერორიზმის აღორძინების საფრთხე გაჩნდა, მაშინ ეს საკითხი რეალურად შეიძლება დადგეს დღის წესრიგში. თუმცა, შავი ზღვის სანაპიროს ქვეყნებში ამერიკული სამხედრო ბაზების გამოჩენა კავკასიაში არსებულ სამხედრო ბალანსზე ისედაც იქონიებს ზეგავლენას.

# ძვირფასო პრეზიდენტო ბუშ!

*"ნიუ-იორკ თაიმსში" გამოქვეყნდა ამ გაზეთის მიმომხილველის თომას ფრიდმანის ღია წერილი პრეზიდენტ ბუშისადმი, რომელიც ერაყში არსებულ ვითარებასა და ამერიკის მომავალ პოლიტიკას ეძღვნება. .მიუხედავად იმისა რომ წერილი ალეგორიული ფორმისაა, იგი ერაყის მომავალი მოწყობისა და ირანზე შესაძლო გავლენის თაობაზე ძალზე საინტერესო მოსაზრებებს შეიცავს.*

**პრეზიდენტ ბუშს, თეთრი სახლი ბაღდადის ბუნკერში მყოფი სადამ ჰუსეინისაგან**

შენ ნამდვილად ჩამიშხამე დაბადების დღე... ჰო, შენ გაიმარჯვე და შენი ჯილდო ერაყია. მაგრამ, მზად ხარ ამისთვის? მე ასე არ მგონია. მე მგონია, რომ საბოლოოდ ჩაფლავდები. თუმცა, რადგან ჩემი ხალხი საკმაოდ დაიტანჯა, მე რამდენიმე რჩევას მაინც მოგცემ - როგორ მართო ეს ქვეყანა, ვიდრე იგი სრულ ქაოსს მოუცავს:

ერაყი ის იყო, რაც იყო, ნაწილობრივ იმიტომ, რომ მე ასეთი ვიყავი, მე კი ცუდი ბიჭი ვიყავი. მაგრამ მე ნაწილობრივ იმიტომ ვიყავი ასეთი, რადგან ერაყი ის იყო, რაც არის – რკინის მუშტის გარეშე ძალზე რთული სამართავი. მე ვიცოდი, რომ ერაყელებს მე არ ვუნდოდი. შენ მალე მიხვდები, რომ მათ არც შენ უნდიხარ. აქ ყოველთვის ერთი მნიშვნელოვანი საკითხი იდგა: უნდათ კი მათ ერთმანეთი? შეძლებენ ქურთები, შიიტები და სუნიტები რკინის მუშტის გარეშე ერთად ცხოვრებას? მათ სამართავად მტკიცე ხელი სჭირდებათ. შენ ზუსტად უნდა იცოდე, რად გინდა აქციო ეს ადგილი, რადგან, დამიჯერე, თუ შენ არ გააკეთებ ამას, სხვები იხელთებენ დროს.

თუ გსურს აქ თვითმმართველი ხელისუფლება შექმნა, უნდა გააცნობიერო, რომ "შოკი და შიში" მხოლოდ ომის საწარმოებლად კი არ არის აუცილებელი, არამედ ამ ადგილის სამართავი ყოველდღიური ინსტრუმენტია. რატომ დაგჭირდა ორი კვირა იმ ტიპის თავიდან მოსაშორებლად, რომელმაც თავი ბაღდადის მერად გამოაცხადა? სხვებს აღარ იკითხავ? ახლა შიიტი კლერიკალები და შეიარაღებული ბანდები ქვეყანაზე კონტროლის მოპოვებას ცდილობენ. შენ გეგონა, რომ ჩემს არმიას დაამარცხებდი და შემდეგ მათზე დაყრდნობით ამ ადგილის მართვას შეუდგებოდი. სინამდვილეში მთელი არმია დაიშალა, შენ კი საკმარისი ჯარი არ გყავს, რომ უსაფრთხოების ვაკუუმი შეავსო. ასე რომ, როდესაც ზოგჯერ შენს ბიჭებს ცეცხლს გაუხსნიან, ისინი პანიკაში ვარდებიან და უმისამართოდ ისვრიან. მე ერაყს რკინის მუშტით ვმართავდი, შენ კიდევ ამას ღილაკზე რკინის თითის დაჭერით ცდილობ. არ დაიჯერო. ეს ნორვეგია ხომ არ გგონია, ძმაკაც!

როდესაც ჩემი არმია დაშალე, შენ ამავდროულად ამ ქვეყნის ყველაზე მნიშვნელოვანი სეკულარული ინსტიტუტი დაანგრიე. ახლა კი სასულიერო პირები თავისუფალი ადგილის დაკავებას ცდილობენ. ზოგიერთები კარგები არიან, ზოგიერთები - არა. შიიტები ერაყის 60 პროცენტს შეადგენენ. თუ შენ აპირებ, რომ ხალხს აქ მართვის უფლება მისცე, ეს იმას ნიშნავს, რომ ერთ მნიშვნელოვან შეკითხვას უნდა გასცე პასუხი: ვინ არის პირველი ერაყელი შიიტების საზოგადოებაში? ამ პასუხზე არა მარტო ერაყის მომავალია დამოკიდებული, არამედ, გარკვეულწილად, ირანისაც.

რატომ? გახსოვდეს, შიიზმის ნამდვილი სასულიერო და აკადემიური ცენტრი ერაყული ქალაქი ნაჯაფია და არა - ირანული ქალაქი ყუმი. ყუმი იმიტომ გახდა მნიშვნელოვანი, რომ ჩემი შიიტები შევავიწროვე, ხომეინიმ კი შიიტური თეოკრატია დაამყარა ირანში.

ერაყელი შიიტების სასულიერო ლიდერების უმრავლესობა ნაჯაფში, დიდი ხანია, რაც ეწინააღმდეგება ხომეინის მოსაზრებას, რომ შიიტი სასულიერო პირები ხელისუფლებაში უნდა იყვნენ. ისინი ფიქრობენ, რომ ამან ირანში სასულიერო წრეები გარყვნა, ხალხი გააღიზიანა და ახალგაზრდა შიიტები რელიგიისაგან გააუცხოვა. ახლა, ნაჯაფში ბრძოლა მიმდინარეობს იმ ერაყელ შიიტ ლიდერებს შორის რომლებიც თვლიან, რომ საჭიროა მეჩეთისა და სახელმწიფოს ერთმანეთისაგან გამიჯვნა, და პროირანელ სასულიერო პირებს შორის, რომელთაც ერაყის ხომეინის სტილით მართვა სურთ. სწორედ ამიტომ არიან ირანელები ასე დაინტერესებულები აქ მიმდინარე პროცესებით. მათ იციან, რომ, შესაძლოა, ნაჯაფი შიიზმის ცენტრი გახდეს და ის იმ ერაყელმა აიათოლებმა გააკონტროლონ, რომლებიც დარწმუნებულები არიან იმაში, რომ კლერიკალურ წრეებს პოლიტიკაში არაფერი ესაქმებათ. მაშინ ირანელი სასულიერო წრეების ხელისუფლებაში ყოფნის პრეტენზიას სერიოზული საფრთხე შეექმნება.

ამჟამად, ეს ძალაუფლებისათვის მიმდინარე ყველაზე მნიშვნელოვანი ბრძოლაა ახლო აღმოსავლეთში. ახლა ნაჯაფში მყოფი ერაყელი სასულიერო პირები სუსტები არიან. თუმცა, შენ მათ ლიდერებად ასე უბრალოდ ვერ გადააქცევ. ისინი თავად უნდა გამოჩნდნენ. შენ მხოლოდ ამის პირობები უნდა შექმნა.

ყოველთვის გახსოვდეს: ეს არაბული ქვეყანაა. ერაყელებს სურთ, პირველხარისხოვანი არაბები იყვნენ და არა მეორეხარისხოვანი ამერიკელები. თუ შენ გსურს, რომ აქ ლეგიტიმური, ზომიერი პოლიტიკური ცენტრი შექმნა, შენ მათ უნდა დაეხმარო, რომ ისინი არაბულმა სამყარომ და მედიამ ცნოს. მათ არ სურთ, რომ ისინი ვინმეს ამერიკელების ფინიები ეგონოს. ისინი აქ "ფოქს ნიუზს" არ უყურებენ.

პრეზიდენტო ბუშ, შენ ალბათ გიკვირს, რატომ არ გავაკეთე უფრო მეტი იმ ომის თავიდან ასაცილებლად, რომელმაც ჩემს პოლიტიკურ კარიერას წერტილი დაუსვა. რაზე ვფიქრობდი? ვის ვუგდებდი ყურს? პასუხი ერთია: მე მხოლოდ ჩემს გულისთქმას ვუჯერებდი. ჩემს შეცდომებს ნუღარ გაიმეორებ.

## რუსთავში „იეღოვას მოწმეებისა" და „ჯვარი"-ს სასამართლო პროცესი დაიწყო

*რუსთავის საქალაქო სასამართლოში „იეღოვას მოწმეებისა" და პატრიოტული კავშირის „ჯვარი"-ს პროცესი დაიწყო. საქმეს მოსამართლე გიორგი ჩემია განიხილავს. სახელმწიფო ბრალმდებლის პროკურორ ზურაბ მატკავას განცხადებით, „ჯვარის" ლიდერს პაატა ბლუაშვილს და ამ ორგანიზაციის წევრებს: ზაალ ქავანაშვილს, მამუკა ჭუბაბრიას, ალექსანდრე აბზიანიძეს, ბესო ცხოვრებაძეს და რეზო ბასილაშვილს ბრალად ედებათ 1998-2001 წლებში „იეღოვას მოწმეებისათვის" რელიგიური აღმსარებლობის ხელის შეშლა, მათ სახლებში ძალით შეჭრა, დარბევა და რელიგიური ლიტერატურის განადგურება.*

მაია მოსიაშვილი

საქმე შვიდ ეპიზოდიანია, აქედან ექვსი რუსთავშია დაფიქსირებული, ხოლო ერთი მარნეულში. „იეღოველების" ინტერესებს ადვოკატები ჭაბაშვილი და ციმინტია იცავენ, ბრალდებულებისას კი სახაზინო ადვოკატები, რადგან მათ თავად თქვეს უარი ადვოკატის დახმარებაზე იმ მოტივით, რომ თავს დამნაშავეებად არ სცნობენ.

პირველ სხდომაზე ბრალმდებელმა ექვსივე საბრალდებო დასკვნა წაიკითხა. ხოლო მას შემდეგ, რაც ბრალდებულებმა მოსამართლეს განუცხადეს, რომ დამნაშავენი არ არიან, პროკურატურამ სასამართლო გამოძიების დაწყება და ორი წლის წინ მომხდარი ერთი ეპიზოდის განხილვა მოითხოვა:

გამოძიების დასკვნით, 2001 წლის 7 აპრილს რუსთავში მცხოვრებ მზია ბობოხიას საცხოვრებელ ბინაში 40-მდე იეღოვას მოწმე შეიკრიბა რიტუალის შესასრულებლად. მათ მაგნიტოფონი ჰქონდათ ჩართული, მღეროდნენ და ძლივს გაიგონეს შემოსასვლელი კარის ზარის ხმა. მასპინძელმა კარი გააღო და ორი უცხო პირი ოთახში შევიდა, მათ თან შეჰყვა ათიოდე კაცი. დაუპატიჟებელმა სტუმრებმა დამხვდურთ მუქარა და გინება დაუწყეს და კრების სასწრაფოდ დაშლა მოითხოვეს. იეღოვას მოწმეთა უმრავლესობას ქალები და ბავშვები შეადგენდნენ, მათ სასწრაფოდ დატოვეს ბინა და იქ მამაკაცი „იეღოველებიღა" დარჩნენ: კვირია არდოტელი, ბაკურ ალავიძე, დათო და ირაკლი კიკილაშვილები. ამ უკანასკნელთ ფიზიკური შეურაცხყოფა, როგორც თავად აცხადებენ, პაატა ბლუაშვილმა მიაყენა - ალავიძეს მარჯვენა ყურის არეში გაარტყა, არდოტელი სკამებში გადაჩეხა, ირაკლი კიკილაშვილს სცემა, ხოლო მის ძმას თავში ჩაიდანი ჩაარტყა. დაზარალებულები ხელს მხოლოდ ბლუაშვილს ადებენ. მათ ამ ინციდენტის შედეგად სხეულის მსუბუქი დაზიანება მიიღეს, - ასკვნის პროკურატურა. გამოძიებამ დაადგინა მატერიალური ზარალის ოდენობაც - 595 ლარი. დაუპატიჟებელმა სტუმრებმა 175 ლარის ღირებულების რელიგიური ლიტერატურა დაწვეს, დაამტვრიეს ოთახში მოწყობილი ტრიბუნა, შესაწირი ყუთი, სკამები და ხმის გამაძლიერებელი საშუალებები.

დაზარალებულთა დაკითხვის შემდეგ მოსამართლემ სხდომა დაასრულა და შემდეგი პროცესი 8 მაისისათვის დანიშნა.

სასამართლო პროცესის პარალელურად რუსთავის სასამართლოს შენობის წინ „ჯვარის" მომხრეების მიტინგი მიმდინარეობდა. „ძირს იეღოვას სექტა", „ძირს თავისუფლების ინსტიტუტი", „გაუმარჯოს ჯვარს", - ასეთი შინაარსის ტრანსფარანტები ეჭირათ მომიტინგეებს. მსგავსი წარწერები იმ დილით რუსთავის ცენტრალურ ქუჩასაც ამშვენებდა, თუცა ისინი ოპერატიულად, საგულდაგულოდ გადაღებეს.

## მოკლედ

**თბილისი.** გუშინ დილიდან თბილისის მერიის ადმინისტრაციულმა ინსპექციამ გამსახურდიას გამზირზე უსახური სარეკლამო აბრების ჩამოხსნა დაიწყო. მალე იგივე აღმაშენებლისა და გურამიშვილის გამზირებზე გაკეთდება. **ინტერ-პრესი**

■ ■ ■

**თბილისი.** არასამთავრობო ორგანიზაცია "საქართველოს სოციალური აღორძინების ფონდმა" 1500 მრავალშვილიან და სოციალურად დაუცველ ოჯახს ჰუმანიტარული დახმარება გადასცა. ამგვარი აქციები გაგრძელდება. **ინტერ-პრესი**

■ ■ ■

**თბილისი.** გაეროში საქართველოს წარმომადგენლის მოადგილემ გიორგი ვოლსკიმ თხოვნით მიმართა კოლუმბიის უნივერსიტეტის ავერეელ ჰარიმანის ურთიერთობათა ინსტიტუტს, უნივერსიტეტში ქართული ენის სწავლება გააგრძელოს. **მედია-ნიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** თბილისის საკრებულოს ინტერფრაქციული ჯგუფის წევრები და სოციალურ საკითხთა კომისიის თავმჯდომარე 9-10 მაისს ლიკანში დედაქალაქის განათლების სისტემის განვითარების პროგრამაზე იმსჯელებენ. **მედია-ნიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** თბილისში ოფიციალური ვიზიტით მყოფი საფრანგეთის ქალაქ ნანტის ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების პედაგოგთა დელეგაცია, ქართველ კოლეგებს 2004 წლისთვის ნანტში დაგეგმილი სტაჟირების გასავლელად ამზადებს. **მედია-ნიუსი**

„ხალხის პირისპირ" - ეს არის ტელევიქტორინა, რომლისთვისაც თქვენ, მაყურებლები შეადგენთ კითხვებს და მოიგებთ ფულს, თუ თქვენი შეკითხვა ჩაჭრის სტუდიაში მონაწილე კონკურსანტს.

ხალხის პირისპირ

შეავსეთ ბლანკი, ამოჭერით და გამოგვიგზავნეთ. შეკითხვების მიღება უფასოა. (გთხოვთ, გაეცნოთ ქვემოთ მოყვანილ წესებს).

შეკითხვები არ მიიღება გაზეთის ქსეროასლით

| შეკითხვის ტექსტი | პასუხის ტექსტი |
| --- | --- |
| 1 | |
| 2 | |
| 3 | |
| 4 | |
| 5 | |

სახელი და გვარი
ბინის მისამართი:
სამსახურის ტელეფონის ნომერი:
ბინის ტელეფონის ნომერი:
მობილური ტელეფონის ნომერი:

ხელმოწერის გარეშე კითხვა არ მიიღება.

# ყრილობაზე კოალიციის პროექტზე - ლატარეა სპრინტის ეფექტურ გამოყენებაზე იმსჯელეს





გოგიტა ბუხაიძის ფოტო

ტრიბუნაზე და პარტერში

მაკა ჯაიანი

*"არ გვინდა! არ გვინდა!" - ასე შეეგებნენ ტრიბუნისკენ დაძრულ ვახტანგ რჩეულიშვილს ფილარმონიაში შეკრებილი შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ადამიანები და ვეტერანები. ექვსთვიანი ინტერვალის შემდეგ, გუშინ მათ თავიანთი მეორე ყრილობა გამართეს.*

პარლამენტის რიგით მეხუთე ვიცე-სპიკერი თავყრილობის ბოლო გამომსვლელი იყო. სცენაზე ასულ რჩეულიშვილს აუდიტორია, როგორც ჩანს, შეეშალა. აგრესიულად განწყობილ დარბაზს მეტად მრავლისმეტყველი ღიმილით გადმოხედა ზემოდან და ნაცადი ტონით უპასუხა, ვისაც არ გინდათ, წადითო. ეს "იაღლიში" მომენტალურად გასწორდა. ხალხმა გაოცება ვერ მოასწრო, ისე მოჰყვა ბატონი ვახტანგი იმის მტკიცებას, თუ როგორ უნდა, უნარშეზღუდულ ადამიანებს პარლამენტში მეორე წარმომადგენელიც ჰყადეთ და როგორ აპირებს ამ მიზნით თავისი პარტიის გამსვლელ სიაში ბავშვობის მეგობრის, დავით წულეისკირის შეყვანას.

ეს, აშკარად პოლიტიკური გადახვევა, გამონაკლისი გახლდათ საქართველოს შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა და ვეტერანთა კოალიციის მეორე ყრილობისთვის, სადაც მოწვეულ სახელმწიფო მინისტრს მხარს უმშვენებდა საარჩევნო ბლოკის - "ერთიანი საქართველოსთვის" - სპიკერი, ირინა სარიშვილი. დარბაზის ფაქტობრივი გულგრილობის მიუხედავად ტრიბუნიდან მაინც ჟღერდა სიტყვები მთავრობის გულისხმიერებაზე.

"შევარდნაძე მოგვიყვანეთ, აქ, შევარდნაძე!" "პენსია მოგვიმატეთ, პენსია!" - ეს რეპლიკები გუშინ მიკროფონს მიახლოებული მთავრობის წევრების მისამართით ისმოდა. დამფუძნებელი ყრილობისგან განსხვავებით, წელს ადგილები პარტერშიც კი თავისუფალი იყო. არადა, სათქმელი გაცილებით მნიშვნელოვანი გახლდათ - ფინანსთა სამინისტრომ როგორც იქნა, მოიწონა კოალიციის მიერ შარშან წარმოდგენილი ანტიკორუფციული პროექტი, რომელიც რეალიზებული საწვავის რეალური რაოდენობის დადგენის პირობას იძლევა. ეს ასე ხდება: ბენზინგასამართ სადგურში მძღოლი იძენს 50-თეთრიან მოგებიან სპრინტს, მონაგებს იქვე ანაღდებს, წაგების შემთხვევაში კი, ბენზინს, საერთო ღირებულებაზე 75 თეთრით ნაკლებ ფასში ისხამს. 25 თეთრს იგებს ბენზინგასამართი სადგურიც, რომლისგანაც საგადასახადო სამსახურები სპრინტის თითო ტალონს 1 ლარის ფასად იბარებენ. ამ გზით ფიქსირდება რეალიზებული ბენზინის რაოდენობაც.

გუშინ გამომსვლელი, მთავრობის ყველა წარმომადგენელი ერთხმად ამტკიცებდა, ეს პროექტი სახელმწიფო ბიუჯეტს დამატებით 150 მილიონ ლარს შესძენსო. ფინანსთა მინისტრის მოადგილემ, ლევან ჩრდილელმა ამ მოდელის სწრაფად დანერგვის სურვილიც გამოთქვა, თუმცა, იქვე დაამატა, ჯერ რამდენიმე საკანონმდებლო ინიციატივა იქნება მისაღებიო. მოქმედ კანონებში ცვლილებების შეტანამდე, პროექტი პრეზიდენტის სიტყვას ელის. 6000 ადამიანი დასაქმდება, კარგი საქმე გაკეთებაო, - ამბობდნენ სცენაზე. როდის, ჩვენ რომ დავიჟლიტებითო? - კითხულობდნენ პარტერიდან. დარბაზის ნიჰილიზმი, რომელიც ფონად გასდევდა გამომსვლელთა სიტყვებს, ერთგვარად, შეუმჩნეველი გახდა, როცა ტრიბუნასთან პარლამენტის თავმჯდომარე მივიდა. ნინო ბურჯანაძე ის ერთადერთი პოლიტიკოსი აღმოჩნდა, რომლის საუბარი საქართველოს შეზღუდულმა ადამიანებმა და ვეტერანებმა ტყუილ სიტყვებად არ მონათლეს.

# ქუთაისურ „კომუნას" გუდრონით ებრძვიან

თეა ხოფერია

*ამ ბოლო დროს სტუდენტური მოძრაობა ქუთაისში ისე გააქტიურდა, რომ ჯერ, თბილისის ქუჩების მსგავსად ქუთაისიც "კმარას" წარწერებით დაამშვენა, გუშინ კი რადიო "ძველი ქალაქის" მხარდასაჭერად მასობრივი აქცია მოაწყო. ამან ქუთაისის თბილისთან შედარებით, უმიტინგო ცხოვრება მნიშვნელოვნად "გამოაცოცხლა", ადგილობრივი ხელისუფლება კი სერიოზულად დააფიქრა. გუშინ აქციის მიმდინარეობისას მერიას სამართალდამცავი ორგანოების თანამშრომელთა კორდონი იცავდა.*

აკაკი წერეთლის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტისა და სტუდენტთა გაერთიანება "სტუდენტური კომუნას" წარმომადგენლების ნაშრომის წაშლა უცნობებმა ერთ ღამეში შეძლეს. ქუთაისის ცენტრალურ მოედანზე დაწერილი "კომუნას" წაშლა ძველი ასფალტის მომტვრევითა და ახლის დაგებით მოხერხდა, ქალაქის სხვა ადგილებზე დაწერილ წარწერებს კი მარტივად გაუსწორდნენ - ზოგან შავი საღებავით, ზოგან გუდრონით წაშალეს.

სტუდენტთა მასობრივი აქცია, მიმდინარე კვირაში ქუთაისელთა მეორე მნიშვნელოვანი მოვლენა იყო. მისი ორგანიზატორი სტუდენტთა თავისუფალი გაერთიანება **"სტუდენტური კომუნა" იყო. სტუდენტურმა მოძრაობამ დევიზით - დაგვიბრუნეთ "ძველი ქალაქი", რომელშიც 300-მდე სტუდენტი იღებდა მონაწილეობას, მსვლელობა ქუთაისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეზოდან დაიწყო და მერიის შენობასთან დაასრულა. სტუდენტთა პროტესტი ადგილობრივი ხელისუფლების მიმართ იყო მიმართული.**

**"ჩვენ ქალაქში არსებული ერთადერთი რადიოსდგურ "ძველი ქალაქის" წინააღმდეგ გაჩაღებულ ბარბაროსულ კამპანიის წინააღმდეგნი ვართ. აშკარაა, რომ მათ ინტერესებში არ შედის ამ პრობლემის მოგვარება. რადიოს მაუწყებლობის შეჩერებით, ხალხს ობიექტური ინფორმაციის მიღების ერთადერთი წყარო წაართვა. თუ ამ ბრძოლაში რადიო "ძველი ქალაქი" მარტო დარჩება, მისი დამარცხება იმთავითვე გარდაუვალია. სწორედ ამიტომ მივმართავთ საზოგადოებას, განსაკუთრებით კი სტუდენტ-ახალგაზრდობას, არასამთავრობო ორგანიზაციებს, ჟურნალისტებს, პოლიტიკურ პარტიებს და ა. შ. შემოუერთდნენ მოძრაობას. გადავარჩინოთ "ძველი ქალაქი" და ერთად ვაიძულოთ ხელისუფლება გაატაროს შესაბამისი ღონისძიებები, რომ არ მოხდეს 8 წლიანი გამოცდილების მქონე რადიოკომპანიის განადგურება",** - ასეთი განხადება გაავრცელა "სტუდენტურმა კომუნამ" ქუთაისში.

როგორც აქციის ერთ-ერთმა ინიციატორმა, აკაკი წერეთლის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის მე-2 კურსის ეკონომიკის ფაკულტეტის სტუდენტმა თემურ გოშეიშვილმა განაცხადა, ამ აქციას პირველი დადებითი შედეგები უკვე მოყვა: სტუდენტებთან მოლაპარაკებებზე ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლები წამოვიდნენ. თუკი უახლოეს მომავალში დამოუკიდებელი რადიოს ინტერესები არ იქნება დაცული, სტუდენტები სხვა უფრო ფართო მასშტაბიანი აქციების მოწყობით იმუქრებიან.

# მძღოლებს „ლეიბორისტები" გამოექომაგნენ

ეთერ მამულაშვილი

*"თბილტრანსის" თანამშრომლების (მძღოლების) სამოცდაათამდე ოჯახი შესაძლოა ერთ დღესაც ღია ცის ქვეშ აღმოჩნდეს. მათი ხუთსართულიანი საერთო საცხოვრებელი კორპუსი, რომელიც ე.წ. მერვე პოლკის დასახლებაში მდებარეობს, დღითიდღე ინგრევა. შარშანდელი მიწისძვრა სახლისთვის ცეცხლზე ნავთის დასხმას ჰგავდა. გუშინ მერიამ და "ლეიბორისტულმა" პარტიამ მძღოლები და მათი ოჯახები მოინახულეს.*

ეს ის მძღოლები არიან, რომლებიც დაახლოებით სამი ათეული წლის წინათ ქალაქის მთავრობამ რაიონებიდან თბილისში სამუშაოდ ჩამოასახლა და მუდმივი საცხოვრებელი სახლების საკუთრებაში გადაცემის პირობით ხელშკრულებებიც გაუფორმა. დედაქალაქში ჩამოსული "თბილტრანსის" მძღოლების რიცხვი მაშინ ხუთასს აღემატებოდა.

ოდნავ შეცვლილი სახით ხელშეკრულებების პირობების შესრულება სახელმწიფომ მხოლოდ ამ სამიოდე წლის წინათ დაიწყო და რამდენიმე ოჯახს საკომპენსაციო თანხები დაურიგა, მაგრამ 402 მძღოლი, შესაბამისად მათი ოჯახიც, ჯერ კიდევ ნათესავ-ახლობლებთან ან დროებით თავშესაფარში ცხოვრობს. 1998 წელს სახელმწიფომ შიდა ვალად მილიარდზე მეტი ლარი აღიარა, აქედან ცხრა მილიონი "თბილტრანსის" მძღოლებზე მოდის. წლევანდელი ქალაქის ბიუჯეტი უსახლკარო მძღოლთა დასახმარებლად მხოლოდ 700.000 ლარს ითვალისწინებს. მერიის ტრანსპორტის საქალაქო სამსახურის თავკაცი ოთარ ჭიპაშვილი ვარაუდობს, რომ ამ თანხით დიდი-დიდი 30 ოჯახის დაკმაყოფილება მოხერხდეს.

ის სამოცდათი ოჯახი, რომელზედაც ზემოთ ვსაუბრობდით, დაახლოებით 15-20 წლის წინ ზემოთაღნიშნულ საერთო საცხოვრებელში დროებით შეასახლეს. მაცხოვრებლები ამბობენ, რომ თავის დროზე საერთო საცხოვრებელი ავარიულ მდომარეობაში იყო, მაგრამ მალე აქედან გაყვანის იმედით მაშინ არცერთ ოჯახს კრინტი არ დაუძრავს. სარდაფიდან დაწყებული სახურავით დამთავრებული შენობის ყველა წერტილი დაბზარულია, უფრო მეტიც შენობის ყველა სართულზე ცენტრალური კედლები რამდენიმე სანტიმეტრის სიღრმეზეა დახეთქილი. წვიმის დროს ოთახები და დერეფნები ტაშტებით და ვედროებით ივსება. ზოგი ჭირი მართლაც, რომ მარგებელია - ერთთვიანი უწყლოობის დროს, კორპუსის მაცხოვრებლები შემონახულ წვიმის წყალს მშვენივრად ხმარობდნენ. ყოველი კარის მოხურვა მეზობლებს ჭერიდან და კედლიდან ბათქაშის ჩამოფშვნის ფასად უჯდებათ. მეხუთე სართულზე კიბით ასვლაც დიდი გმირობის ტოლფასი ყოფილა. საფეხურების ერთი მხარე დაწეულია, მოაჯირი კი მხოლოდ ორ სართულზეღაა შემორჩენილი. თითქმის ყოველთვე, კორპუსში როგორც წესი, საკანალიზაციო და წყალგაყვანილობის მილები სკდება. მეზობლების თქმით შესაბამისი სამსახურები სარემონტო სამუშაოებს შეტყობინებიდან რამდენიმე კვრის მოგვიანებით და იმასაც უხარისხოდ ატარებენ. ყოფილა შემთხვევა, როცა საკანალიზაციო მილის მორიგი დაზიანების შემდეგ, თითქმის მთელი ერთი თვე კორპუსის ქვედა ნაწილი ფეკალური წყლით გაიჟღინთა, რამაც შენობის საყრდენი კედლები საგრძნობლად შეასუსტა.

ისან-სამგორის გამგეობის ბიუჯეტში წელს 36.000 ლარია გათვალისწინებული ამ სახლის აღდგენა გამაგრებაზე, აქედან 16.000 უკვე დაიხარჯა საკანალიზაციო მილის შეკეთებაზე. მაცხოვრებლები თვლიან, რომ კორპუსის გამაგრებისთვის გამოყოფილი ფული წყალშია გადაყრილი და შენობიდან სასწრაფოდ გაყვანას ან საკომპენსაციო თანხების დარიგებას მოითხოვენ. მათ მოთხოვნებს მხარს "ლეიბორისტებიც" უჭერენ.

# დაბანილი ხელები - უსაფრთხოების სტრატეგიის კომპონენტი

თამარ დვალი

*გუშინ აჭარის წარმომადგენლობაში შეკრებილი საზოგადოება, ატიპური პნევმონიის სახელმწიფო უსაფრთხოების სტრატეგიაზე საუბრობდა. სახელმწიფო სანიტარული ზედამხედველობის უფროსის მოადგილის გია მახათაძის თქმით, ამ ვირუსისაგან თავდაცვის საუკეთესო საშუალება ხელების მრავალჯერადი დაბანა და მინიმუმ ოთხფენიანი დოლბანდია.*

"რაც შეეხება სახელმწიფო სტრატეგიას, გაძლიერებულია სანიტარული კონტროლი, განსაკუთრებით კი, მწვავე რესპირატორული დაავადებებით დამძიმებული ქვეყნებიდან შემოსულ მგზავრებზე. თბილისის აეროპორტის განყოფილებაში ყოველდღიურად მორიგეობს ორი ექიმი, მორიგეობს სპეციალიზირებული ტრანსპორტი რომელიც, საეჭვო პირის გამოვლენის შემთხვევაში, ინფექციური პათოლოგიის, შიდსისა და კლინიკური იმუნოლოგიის ცენტრში ავადმყოფის დროულ ჰოსპიტალიზაციას მოახდენს. იმ მგზავრებზე, რომლებიც ინფიცირებული ქვეყნიდან არ მოდიან მკაცრი კონტროლი არ ხორციელდება", - განაცხადა მახათაძემ.

დაავადებათა კონტროლის ეროვნული ცენტრის ხელმძღვანელის, პაატა იმნაძის თქმით, საქართველოში ჩინეთიდან 94 ადამიანი შემოვიდა. აქედან, 38 საქართველოს მოქალაქეა. ისინი ექიმმა შეამოწმა და არცერთს ვირუსის ნიშნები არ შეემჩნეოდათ. მიუხედავად ამისა, იმნაძე საქართველოს მოქალაქეებს ურჩევს ქვეყნიდან გამგზავრებისაგან თავი შეიკაონ.

ზემოთ ჩამოთვლილი ღონისძიებები ვირუსის გავრცელებამდე ხორციელდება. რაც შეეხება ვირუსის გავრცელების შემდგომ სამუშაოებს, ქვეყანა ამისთვისაც მზად ყოფილა. თუმცა მზადყოფნასთან ერთად ღმერთის დიდი იმედი აქვთ, რომ ეს ვირუსი საქართველოში მაინც ვერ შემოაღწევს. "ჩვენს მიერ გატარებული სამუშაოები იმის საფუძველს გვაძლევს, რომ ქვეყანაში ვირუსი არ გავრცელდება. ზაფხული ახლოვდება და სადეზინფექციო სამუშაოები ისედაც განხორციელდება. იმის საშუალებაც არსებობს, რომ ინფიცირებულები ცალკე კლინიკაში მოვათავსოთ. სამწუხაროდ წამალი არ არსებობს, რომელიც ამ ვირუსს კლავს. ამ დროს იზოლირება არ გავრცელების საუკეთესო საშუალებაა. ქვეყანაში ბოლო მონაცემებით ახალი შემთხვევები თითქმის აღარ ფიქსირდება. შეიძლება ითქვას, რომ უკვე გადავრჩით და საშიშიც აღარაფერია", -განაცხადა იმნაძემ.

# პატიმრები სამართლიანობას და კანონიერებას ითხოვენ

თამარ კაციტაძე

საქართველოს ყველა სასჯელაღსრულების დაწესებულებაში მეორე დღეა ოთხი ათასამდე პატიმარი შიმშილობს. როგორც აქციის მონაწილენი აცხადებენ, თუ მათი მოთხოვნები არ დაკმაყოფილდება, ისინი შიმშილობას არ შეწყვეტენ. აქციის მონაწილეთა ძირითადი მოთხოვნები კი შემდეგია: წინასწარ პატიმრობაში მყოფი პატიმრები სამართალდამცველი ორგანოებისგან სისხლის სამართლის და საპროცესო კანონმდებლობის დაცვას მოითხოვენ; უკვე მსჯავრდებულებს კანონით მინიჭებულ ვადაზე ადრე გათავისუფლება უნდათ, ხოლო ავადმყოფ პატიმრებს ციხის რესპუბლიკურ საავადმყოფოში გადაყვანა სურთ.

**"ახალი ამბავი ხომ არ არის, რომ ქურდობისთვის დაპატიმრებულს ბოლოს მკვლელობისთვის ასამართლებენ, რომ დაკავებულებს დენზე აერთებენ და სასურველ ჩვენებებს აწერინებენ, ვადაზე ადრე გათავისუფლებაში პატიმარმა ფული უნდა გადაიხადოს, "რეზბალნიცაზე" ჯანმრთელი მსჯავრდებულები არიან და გაჭირვებული ავადმყოფი პატიმარი საავადმყოფოში არავის გადაჰყავს, მომაკვდავ პატიმარს არავინ ათავისუფლებს... პატიმრები ინდივიდუალურად ყოველთვის აპროტესტებდნენ ზემოთ ჩამოთვლილ განუკითხაობას, მაგრამ მათ ყურადღებას არავინ აქცევდა. ახლა ყველა გაერთიანდა და პროტესტს გამოხატავენ იმაზე, რაც ქვეყანაში ხდება,"** – აღნიშნა გუშინ გამართულ პრესკონფერენციაზე ადვოკატმა ეკა ბესელიამ. თუმცა, ჟურნალისტებთან შეხვედრის მთავარი მიზეზი, ადვოკატის თქმით, ის "ჭორები" გახდა, რომელიც პატიმართა მხრიდან დაწყებულ აქციას მოჰყვა და ე.წ. კანონიერ ქურდებს უკავშირებენ. **"ბევრი ამბობს, რომ პატიმრების აქციას ვიღაც გარედან მართავს, მაგრამ ეს სიმართლე არ არის. პატიმრებმა თავად გაუკეთეს ორგანიზება ამ აქციას და ამის შესახებ დაახლოებით ერთი თვის წინ წერილობით აცნობეს არასამთავრობო ორგანიზაციებს, სახალხო დამცველს, უწმინდესსა და უნეტარესს ილია მეორეს, მასმედიას და ა.შ. პატიმრები ჯერ კიდევ ერთი თვის წინ თხოულობდნენ პრობლემების მოგვარებას, მაგრამ მაშინ არავინ მიაქცია ყურადღება, დღეს კი რაღაც ხმებს ავრცელებენ,"** – ამბობს ადვოკატი და იმ გზებზე საუბრობს, რომლითაც პატიმართა დღევანდელი პრობლემები უნდა გადაიჭრას.



ეკა ბესელია

ბესელიას აზრით, არასამთავრობო ორგანიზაციების, ადვოკატების და სამართალდამცველი ორგანოების წარმომადგენლებისგან კომისია უნდა შეიქმნას, რომელიც შეხვდება პატიმრებს და თითოეული მათგანის პრობლემებს შეისწავლის. **"ვფიქრობთ, ამგვარი კომისია ქვეყანაში შექმნილ განუკითხაობას ფარდას ახდის და პატიმრებსაც ბევრ პრობლემას გადაუჭრის,"** – ამტკიცებს ბესელია და ირწმუნება, რომ თუ პატიმართა მოთხოვნები არ დაკმაყოფილდება, აქციას მომავალში დაკავებულთა ახლობლებიც შეუერთდებიან.

## მომზადდა კანონპროექტი რომის სტატუტთან საქართველოს მიერთებისთვის

*იუსტიციის სამინისტრომ რატიფიცირებისთვის მოამზადა "სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოსთან საქართველოს თანამშრომლობის შესახებ კანონის" პროექტი. გარდა ამისა, საქართველოს მოქმედ კანონმდებლობაშიც გარკვეული ცვლილებები შევა.*

იუსტიციის სამინისტროს პარლამენტთან ურთიერთობისა და კანონშემოქმედების დეპარტამენტის უფროსის გიორგი გოგიბერიძის განცხადებით, რომის სტატუტთან რატიფიცირების პროცესის დაჩქარებისთვის საკანონმდებლო პაკეტი უმოკლეს ვადაში მომზადდა და რეკომენდაციების მისაღებად სხვადასხვა უწყებაში დაიგზავნა.

კანონპროექტის მომზადებისას ქართველმა ავტორებმა რომის სტატუტის წესდების მოთხოვნები გაითვალისწინეს და რომის სტატუტთან მიერთებული ქვეყნების საკანონმდებლო გამოცდილება შეისწავლეს, რომელთაც საერთაშორისო სისხლის სამართლის სასამართლოსთან ურთიერთობა კანონით აქვთ მოწესრიგებული.

კანონპროექტით, საერთაშორისო სასამართლოსთან თანამშრომლობას აწარმოებს საქართველოს იუსტიციის სამინისტრო, რისთვისაც სამინისტროში უნდა შეიქმნას საერთაშორისო სასამართლოსთან თანამშრომლობის სამსახური.

რომის სტატუტის ნორმებთან შესაბამისობაში მოსაყვანად ცვლილებები შევა საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსსა და სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსში, პატიმრობის შესახებ და სააღსრულებო წარმოებათა შესახებ კანონებში.

საერთაშორისო სისხლის სამართლის სასამართლო იხილავს ოთხი სახის დანაშაულს: გენოციდს, ადამიანურობის წინააღმდეგ ჩადენილ დანაშაულს, საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართლის ნორმების განზრახ დარღვევას შეიარაღებული კონფლიქტის დროს და ომის წარმოების წესების დარღვევას. ამიტომაც აუცილებელი გახდა საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსში ამ დანაშაულთა დეფინიციისა და სანქციების საერთაშორისო ნორმებთან შესაბამისობაში მოყვანა.

მას შემდეგ, რაც იუსტიციის სამინისტროს მიერ დამუშავებული საკანონმდებლო ცვლილებების პაკეტის თაობაზე სხვადასხვა უწყებები შენიშვნებს გამოთქვამენ, პროექტი ხელახლა დამუშავდება და პრეზიდენტის კანცელარიას გადაეგზავნება. კანონპროექტის მიღების პროცედურის დასრულების შემდეგ საქართველოს პარლამენტს სამართლებრივი საფუძველი ექნება, მოახდინოს რომის სტატუტთან რატიფიცირება.

# სამართალდამცველები მექრთამე ჩინოვნიკებთან დაპირისპირებას ვერ ბედავენ

პირველი გვერდიდან

დაიმსახურა და თუ მათი მუშაობის შედეგებს დანარჩენი რეგიონების მიღწევებსაც შევადარებთ, იმერლებისთვის ღირსების ორდენებიც უნდა დაერიგებინათ. 2002 წელს თბილისში მხოლოდ 4 მექრთამეობის ფაქტია გამოვლენილი. სამეგრელომ, ქვემო ქართლმა, კახეთმა და სამცხე-ჯავახეთმა პირი შეკრეს და მხოლოდ ორ-ორი მექრთამე გამოავლინეს. მათ ცოტათი ჩამორჩა შიდა ქართლი, სადაც მექრთამეობის მხოლოდ ერთი ფაქტია დაფიქსირებული. ხოლო აჭარაში, მცხეთა-მთიანეთში, გურიაში, რაჭა-ლეჩხუმსა და ქვემო სვანეთში მექრთამეობის შესახებ არავის არაფერი სმენია. ახლა კი იმის შესახებ, თუ რა ხარისხობრივი მაჩვენებელი გააჩნია მექრთამეობის გამოვლენილ ფაქტებს იმერეთში. მხარეში პოლიციის გამოვლენილი მიერ საჯარო მოხელეთა მხრიდან ქრთამის ყველაზე დიდი ოდენობა 110 დოლარია, ხოლო ყველაზე მეტად კორუმპირებული ჩინოვნიკია ბაღდათის რაიონის სააღსრულებო ბიუროს აღმასრულებელი მამუკა ბიწაძე. არსებობს სხვა ფატქებიც, მაგალითად:

**"იანვრის თვეში საბაჟო წესების დარღვევის ფაქტზე მხილებულ იქნა მინდია დავითის ძე ჟიჟიაშვილი, რომელმაც გერმანიიდან საქართველოში, საბაჟო კონტროლის გვერდის ავლით, სარეალიზაციოდ შემოიტანა 3112 ლარის ღირებულების საყოფაცხოვრებო დანიშნულების ნივთები, რომლის საბაჟო გადასახადი შეადგენდა 1154 ლარს. აღნიშნული ნივთების შემოტანისას ჟიჟიაშვილს სარფის საბაჟოს მებაჟემ ზვიად ჯემალის ძე ვარშალომიძემ ქრთამის სახით გადაახდევინა 60 ევრო,"** - განაცხადა ჩვენთან საუბრისას კორუფციასთან და ეკონომიკურ დანაშაულთან მებრძოლი იმერეთის განყოფილების უფროსმა ბადრი ტურაბელიძემ. მექრთამეობაში იმხილება ქუთაისის საქალაქო სანიტარიული ზედამხედველობის ინსპექციის ექიმი, ინსპექტორი შოთა ვაშაყმაძეც, რომელმაც 2003 წლის 3 მარტს მოქალაქე ვასილ კიკვიძეს საზკვების ობიექტზე ჰიგიენური დასკვნის მიცემისთვის ქრთამად გამოართვა 45 ლარი.

მექრთამოების ფაქტები ქვემდებარეობით ქუთაისის საოლქო სასამართლოს განსახილველია. ჩვენ გადავამოწმეთ და აღმოჩნდა, რომ იმერეთის პოლიციის მიერ გასულ წელს გამოვლენილი 11 ფაქტიდან სასამართლომდე მხოლოდ ექვსმა მიაღწია. დანარჩენი საქმეები კი პროკურატურაში სხვადასხვა მიზეზით შეჩერდა. **" სახელს და გვარს არ გეტყვით, მაგრამ საქმე ეხებოდა არქიტექტურაში ყველაზე დაბალი რანგის ჩინოვნიკს, რომელმაც ვიღაცას ნახაზის შედგენაში 100 ლარი გამოსძალა. ასევე არის პედაგოგი, რომელსაც იმდენად მძიმე ოჯახური მდგომარეობა ჰქონდა, რომ იძულებული გახდა, ატესტატის გაცემაში აეღო 150 ლარი; ამიტომ ვთვლი, რომ მექრთამეობის და კორუფციული დანაშაულის სერიოზული საქმე სასამართლოში არ შემოსულა,"**- განაცხადა ჩვენთან საუბრისას ქუთაისის საოლქო სასამართლოს თავმჯდომარემ მამუკა მამალაძემ. უდავოა, რომ კორუფციის მაღალი მაჩვენებელი ყველაზე მეტად ქვეყნის ეკონომიკის განვითარებას აფერხებს, ამის მაგალითად ოლქის პროკურორისთვის გაგზავნილი ერთ-ერთი სამტრედიელი მეწარმის წერილიც გამოდგება (მეწარმის გვარს შეგნებულად არ ვასახელეთ, რადგან იგი დღესაც ეწევა სამეწარმეო საქმიანობას): **"საწარმოში ვამზადებ ნახევრად შებოლილ ძეხვს, რომელსაც რეალიზაციას ვუკეთებ ქუთაისის მიმდებარე რაიონებში... ძალიან ბევრი შემწუხებელი მყავს - საგადასახადო ინსპექცია, ვეტსამსახური, ეკოპოლიცია, სანეპიდსადგური, ნებართვებისა და ადგილობრივი სალიცენზიო მოსაკრებლების სასამსახური და სხვა... ყველა ზემოთ ჩამოთვლილი სამსახური პატივისცემას ითხოვს, ზოგი ძეხვს მართმევს, ზოგი - ფულს. ეს ჩემთვის უკვე აუტანელი გახდა..."** შემდეგ მეწარმე კონკრეტულ ფაქტს აღწერს და დეტალებში ჰყვება, როგორ სძალავდნენ ერთ-ერთი რაიონის ცენტრალური ბაზრის ნებართვებისა და ადგილობრივი მოსაკრებლების სამსახურის თანამშრომლები ქრთამს; დასასრულს კი დასძენს **"ისეა ჩემი მდგომარეობა, რომ გამოსავალი აღარ მაქვს: ან მეწარმეობას უნდა შევეშვა, ანდა ვიმუშაო და ჩემი ნაწვალები სხვამ წაიღოს... მეტი გზა აღარ დამრჩენია, თქვენ მოგმართავთ, გთხოვთ, ჩემს მიერ გამოთქმულ გულისტკივილს უყურადღებოდ ნუ დატოვებთ."**

საბოლოოდ კი მხოლოდ სამტრედიის რაიონის გამგეობის ნებართვებისა და ადგილობრივი სალიცენზიო მოსაკრებლების სამსახურის ინსპექტორი დაისაჯა, რომელმაც ქრთამად. მეწარმისგან მხოლოდ 40 ლარი აიღო. როგორც მოვაჭრეები აცხადებენ, მექრთამე ინსპექტორის სამსახურიდან დათხოვნას იქ არსებული კორუფციული გარემო არ შეუცვლია.

სამართალდამცავები მსხვილ ჩინოვნიკებთან შეჯახებას ვერ ბედავენ (ან არ უნდათ). პირად საუბარში ზოგიერთი მათგანი აცხადებს: **"რეგიონის მაღალი თანამდებობის პირებზე ინფორმაციას ვფლობთ; კარგად ვიცით, ვინ სად ზის წილში და ქრთამად რა თანხასაც იღებს, მაგრამ მათი გამოვლენისათვის სახელმწიფოსგან პოლიტიკური ნება, ხოლო ჩვენი ზემდგომებისგან სურვილია საჭირო. მე რომ ბობოლებს შევეჭიდო, ზურგი მჭირდება, მხოლოდ პირადი ინიციატივით მოქმედების დაწყების შემთხვევაში დასჯილი ისევ მე აღმოვჩნდები"**.

საქართველოს ხელისუფლება კი, ჯერჯერობით, 45-ლარიანი მექრთამეების გამოვლენით იწონებს თავს.

## სამართალდამცველები 2 წლის წინ გატაცებულთა შესახებ საუბარს გაურბიან

ორი წლის წინ პანკისის ხეობაში გატაცებული ბერის - მამა ბასილ მაჩიტაძის ნათესავებმა ხელმოწერების შეგროვება დაიწყეს, რომელთაც შემდეგ პრეზიდენტსა და პარლამენტის თავმჯდომარეს გაუგზავნიან.

გატაცებული ბერის ოჯახის წევრები ხელისუფლებას უმოქმედობაში ადანაშაულებენ და ფართომასშტაბიანი საპროტესტო აქციების დაწყებით იმუქრებიან. მამა ბასილის ერთ-ერთი ახლო ნათესავის თემურ გოგუაძის განცხადებით, ბასილ მაჩიტაძის ოჯახის წევრთა ინიციატივით დაწყებული ხელმოწერების შეგროვება საქართველოს ყველა რეგიონში მოხდება.

მისივე თქმით, ამჟამად უკვე 5000-მდე ხელმოწერაა შეგროვებული თბილისში, რუსთავში, საგურამოში, კასპში, ხაშურსა და ბაღდათში.

თემურ გოგუაძემ არ გამორიცხა, რომ ბერის გატაცება პოლიტიკური მოტივით განხორციელდა. **"ტერიტორია, საიდანაც მამა ბასილი გაიტაცეს, ჩეჩენი ეროვნების პირებს აქვთ შესყიდული, რომლებსაც ხელს არ აძლევდათ იქ ქრისტიანი სასულიერო პირების ცხოვრება,"** - განაცხადა მან.

საქართველოს საპატრიარქოსგან 1997 წელს განდგომილი ბერი ბასილ მაჩიტაძე 1998 წლიდან მთა-თუშეთში განდგომილ ცხოვრებას ეწეოდა. 2001 წლის 1 ნოემბერს იგი საჯიხვეს მთიდან გაიტაცეს. აღნიშნული მთა პანკისის ხეობიდან დაახლოებით 70 კილომეტრში მდებარეობს. გამტაცებლები მისი გათავისუფლების სანაცვლოდ თავდაპირველად მილიონს, შემდეგ კი 2 მილიონ დოლარს ითხოვდნენ, თუმცა მათ ბერის ახლობლებთან კონტაქტი 2002 წლის ნოემბრის შემდეგ აღარ დაუმყარებიათ. კარგა ხნის განმავლობაში სამართალდამცველები ირწმუნებოდნენ, რომ მათ გატაცებული ბერის ადგილსამყოფელი იცოდნენ, გამტაცებელთა კვალზეც იყვნენ გასულნი და მძევალი უახლოეს დღეებში გათავისუფლდებოდა. სამართალდამცველთა დაპირებებში 2 წელიწადი გავიდა, ახლა უკვე კანონდამცველებსაც უჭირთ გატაცების შესახებ საუბარი. იგივე სიტუაციაა ასევე 2 წლის წინ გატაცებული ლევან კალაძის საქმესთან დაკავშირებითაც.

*ინტერ-პრესი*

### მოკლედ

**თბილისი.** ავჭალის არასრულწლოვანთა კოლონიის დირექტორი გიორგი ასათიანი არასრულწლოვან მსჯავრდებულთა მიერ შიმშილობის დაწყების შესახებ გავრცელებულ ინფორმაციას კატეგორიულად უარყოფს.

"მსგავსი აქცია დაწესებულებაში არ მიმდინარეობს. მსჯავრდებულებმა გუშინაც და დღესაც თავისი ულუფა მიიღეს. არასრულწლოვანები გაძლიერებულ კვებაზე იმყოფებიან. ჩვენთან სიმშვიდეა და რატომ ავრცელებენ ასეთ ხმებს, ძალიან მიკვირს," - განაცხადა გიორგი ასათიანმა. ამჟამად კოლონიაში 21 არასრულწლოვანი პატიმარი იხდის სასჯელს. **"24 საათი"**

■ ■ ■

**თბილისი.** ელიავას ბაზრობის მიმდებარე ტერიტორიაზე მოკლული ახალგაზრდა აღმოჩნდა საგარეჯოს რაიონში მცხოვრები შოთა ტურიაშვილი. დიდუბე-ჩუღურეთის რაიონის პროკურორის ირაკლი წერეთლის განცხადებით, შოთა ტურიაშვილი გუშინ, ღამით, სავარაუდოდ, ორმა ან სამმა პირმა მოკლა. მას ცეცხლსასროლი იარაღიდან ნასროლი 6 ტყვია აქვს მოხვედრილი, უმეტესობა - თავის არეში; ასევე აღენიშნება დანით მიყენებული ორი ჭრილობა. პოლიციამ შემთხვევის ადგილიდან "მაკაროვის" ტიპის ცეცხლსასროლი იარაღი, ტყვიის გულები და მასრები ამოიღო. მკვლელობის მიზეზი, ჯერჯერობით, უცნობია. **ინტერ-პრესი**

■ ■ ■

**თბილისი.** სენაკის რაიონის პოლიციამ და სამეგრელო-ზემო სვანეთის სამხარეო შს მთავარი სამმართველოს ნარკომანიისა და ნარკობიზნესის წინააღმდეგ ბრძოლის განყოფილების თანამშრომლებმა დააკავეს სენაკში მცხოვრები, 44 წლის ვეფხია ქობალავა, რომელსაც ჩამოართვეს 30 ცალი აბი „ტრამალი". დადგინდა, რომ ქობალავამ ნარკოტიკული ნივთიერება შეიძინა სერგო ლომაიას კუთვნილ აფთიაქში, საიდანაც ამოიღეს 700 ცალი აბი „ტრამალი". ლომაია დაკავებულია. **მედია-ნიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** ქუთაისის საოლქო სასამართლოს თავმჯდომარემ შალვა ხაჭაპურიძემ გააუქმა ქუთაისის საოლქო პროკურატურის გადაწყვეტილება ტელეკომპანია „ოდიშის" დარბევის ფაქტზე აღძრული სისხლის სამართლის საქმის შეწყვეტის შესახებ.

პროკურატურამ აღნიშნული გადაწყვეტილება ორი კვირის წინათ მიიღო. საქმე ეხება 2002 წლის სექტემბერში ტელეკომპანია „ოდიშის" დარბევის ფაქტს. ამ დანაშაულში ეჭვმიტანილი იყო სამეგრელო-ზემო სვანეთის რეგიონის პოლიციის უფროსის ყოფილი მოადგილე რობერტ ჩიქობავა, რომელიც პროკურატურამ უდანაშაულოდ ცნო და მის მიმართ საქმე შეწყვიტა. ქუთაისის საოლქო სასამართლომ მიიჩნია, რომ საქმე არასათანადოდ არის შესწავლილი და პროკურატურას ხელახალი გამოძიების ჩატარება დაავალა. **მედია-ნიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** მესტიის რაიონის სოფელ ჭუბერში მცხოვრები ნუგზარ გვიჩიანის საცხოვრებელი სახლის ეზოში „ფ-1" ტიპის ხელყუმბარა აუფეთქდა დმანისში მცხოვრებ, 39 წლის ანტონ ჩხვიმიანს. აფეთქების შედეგად ადგილზე გარდაიცვალა ანტონ ჩხვიმიანი და მის გვერდით მყოფი, მესტიის რაიონის სოფელ იფარაში მცხოვრები, მესტიის შს რაიგანყოფილების ბეჩოს ქვეგანყოფილების პასუხისმგებელი მორიგის თანაშემწე, 33 წლის მევლუდ მიქიანი. **მედია-ნიუსი**

■ ■ ■

**გორი.** თბილისი-სენაკის საავტომობილო გზის გორის მონაკვეთი ერთი საათის განმავლობაში პარალიზებული იყო. ამის მიზეზი გახდა "კამაზის" მარკის სატვირთო ავტომანქანის აფეთქება. "კამაზი" 20 ტონამდე პურის ფქვილით იყო დატვირთული, რომელიც გორის წისქვილკომბინატიდან რეალიზაციის მიზნით მიჰქონდათ საჩხერეში. აფეთქებას მსხვერპლი არ მოჰყოლია. ხანძრის ჩაქრობას გორისა და ქარელის სახანძრო სამსახურებმა დაახლოებით ერთი საათი მოანდომეს. წინასწარი ვერსიით, ავტომანქანის ავზის აფეთქების მიზეზი ტექნიკური გაუმართაობა გახდა. **ინტერ-პრესი**

■ ■ ■

**ქუთაისი.** სტუდენტურმა გაერთიანება "კომუნამ" ქუთაისში ადგილობრივი რადიოკომპანია "ძველი ქალაქის" მხარდასაჭერად მიტინგი გამართა. მოგვიანებით 300-მდე სტუდენტმა ქალაქის მერიასთან გადაინაცვლა და ადგილობრივი ხელისუფლება უმოქმედობაში დაადანაშაულა. რადიო "ძველმა ქალაქმა" ქუთაისში მაუწყებლობა შვიდი წლის წინ დაიწყო. ორი თვის წინ დაუდგენელმა პირებმა იგი ორჯერ დაარბიეს. მას შემდეგ რადიოკომპანიამ მაუწყებლობა ველარ აღადგინა. მომხდართან დაკავშირებით ხუთი ადამიანია ეჭვმიტანილი, მაგრამ პოლიციას ჯერ არც ერთი მათგანი არ დაუკავებია. **ინტერ-პრესი**

# თბილისელი ნარკოდილერები მილიონობით დოლარის ქონებას ფლობდნენ

*გუშინწინ მოსკოვის საოლქო სასამართლომ "პეტროვის კარტელის" სახელით ცნობილ ნარკოდილერთა საქმის განხილვა 21 მაისისთვის გადადო. ბრალმდებელმა ერთ-ერთი განსასჯელის მოძებნა და დაკავება მოითხოვა. საუბარია ვლადისლავ დოლგიზე, რომელიც პატიმრობიდან თავდებით გაათავისუფლეს, მაგრამ იგი არც ერთ სასამართლო სხდომაზე არ გამოცხადებულა; სასამართლო პროცესი კი უკვე მეოთხედ ჩატარდა.*

ინგა ალავიძე

მოსკოვის საოლქო სასამართლოში 2 კვირის წინ დაიწყო ბოლო წლებში რუსეთის სამართალწარმოებისთვის ერთ-ერთი ყველაზე რეზონანსული საქმის განხილვა. ასამართლებენ ნარკომაფიის 4 წევრს. ისინი აშშ-ს, ევროპას, აფრიკას და, ფაქტობრივად, მთელ მსოფლიოს კოკაინით ამარაგებდნენ. განსასჯელთაგან 3 თბილისელია.

რუსეთის პროკურატურის მტკიცებით, განსასჯელები ნარკოტიკებით ვაჭრობიდან მილიონობით დოლარის მოგებას ღებულობდნენ. უხეში გათვლით, მათი წლიური შემოსავალი 2 მილიარდ დოლარს აღწევდა.

რუსეთის სპეცსამსახურებმა ნარკომაფიოზთა დაკავებამდე მათ მიერ მოსკოვის ახლოს (ხიმკისა და მიტიშჩიში) მოწყობილი საწყობებიდან ამოიღეს ტრაილერი, რომელშიც კოკაინი იყო გადამალული. დიდ ბრიტანეთში მიმავალი ნარკოტვირთი სოლიდური ღირებულების აღმოჩნდა. მისი ღირებულება შავ ბაზარზე 60 მილიონ დოლარს აღწევს. სამართალდამცველებმა ნარკოდილერები მას შემდეგ დააკავეს, რაც ამერიკის პოლიციამ მათი პარტნიორის, კოლუმბიელი ნარკობარონის დაპატიმრება მოახერხა. რუსეთის მილიციამ დააკავა 5-კაციანი ჯგუფი, რომელსაც საქართველოს ყოფილი მოქალაქე ვადიმ პეტროვი ხელმძღვანელობდა. რუს კანონდამცველთა ინფორმაციით, პეტროვი თბილისიდან მოსკოვში 90-იანი წლების დასაწყისში ჩავიდა. იგი მოსკოვში შეხვდა ძველ ნაცნობებს - ვადიმ ლავრიონოვსა და მიხეილ სვანიძეს. რუსეთის მილიციის ინფორმაციით, ლავრიონოვიც და სვანიძეც საქართველოდან არიან. ჯგუფს შეუერთდა ოლეგ ტიტოვი, ნატიკ ბაბაევი და ვლადისლავ დოლგოვი. რუსეთის მილიციის ინფორმაციით, პეტროვს, სვანიძესა და ლავრიონოვს რუსეთის ორგანიზებული დანაშაულებრივი დაჯგუფების "სოლნცევოს" ლიდერები მფარველობდნენ.

პეტროვის დაჯგუფება მხოლოდ ნარკოდილერობას არ ეწეოდა. ჯგუფი სპეციალურად მოწყობილ ლაბორატორიაში თავად აწარმოებდა სინთეტიკურ ნარკოტიკულ ნივთიერებას "მანდრაკს", რომელიც რეალიზაციისთვის იგზავნებოდა რუმინეთსა და აფრიკაში. რუსეთის მილიციამ მათი ლაბორატორიიდან ამოიღო "მანდრაკსის" პარტია, რომლის ღირებულებაც ნარკობაზარზე 70 ათასი დოლარია. სამართალდამცველებმა პეტროვის ჯგუფს ჩინური დანადგარიც ჩამოართვეს, რომელიც ნარკოტიკული ნივთიერების წარმოებისთვის გამოიყენებოდა. ასევე ჩამოართვეს 3 ტონა ფსიქოტრონული მედიკამენტი "მეტაკვალონი", რომლის გამოყენებითაც "მანდრაკსს" ამზადებდნენ.

სვანიძე, ლავრიონოვი და ბაბაევი მოსკოვში დააპატიმრეს, ხოლო ჯგუფის ლიდერი ვადიმ პეტროვი მონაკოში, 300 ათას დოლარად შეძენილ საკუთარ ვილაში აიყვანეს. მისი რუსეთში ექსტრადიცია ცოტა ხნის წინ განხორციელდა.

ჯგუფის ერთი წევრის ოლეგ ტიტოვის მოხელთება რუსმა კანონდამცველებმა ჯერჯერობით ვერ მოახერხეს. არსებული ინფორმაციით, ტიტოვი ამჟამად მაიამშია, სადაც საკუთარ ფეშენებლურ ვილში ცხოვრობს.

რუსი კანონდამცველების ინფორმაციით, ნარკომაფიის წევრები სერიოზული კაპიტალის მფლობელები არიან, უცხოეთის სხვადასხვა ქვეყნებში მათი უძრავი ქონება ნახევარმილიარდ დოლარადაა შეფასებული. ჯგუფის ლიდერი ვადიმ პეტროვი მოსკოვის პრესტიჟული მაღაზიების ქსელის მფლობელია, 2 სატელეკომუნიკაციო კომპანიის პეტარონე და სერიოზული ბანკის სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარეცაა. რუსეთის შსს-ს ინფორმაციით, პეტროვი მოსკოვში 2 მილიონ დოლარად შეფასებული ბინის მფლობელია, აქვს ფეშენებლური სახლი მონაკოში, ვილები ესპანეთსა და სან-მარტინის კუნძულზე და სასახლე პარიზის გარეუბანში.

რუსეთის ხელისუფლება "პეტროვის კლანის" პროცესზე დიდ იმედებს ამყარებს, რადგან ფიქრობს, რომ საქმის მსვლელობისას მიიღებს მეტად საჭირო ინფორმაციას რუსეთში ნარკობიზნესითა და ფულის გათეთრებით დასაქმებულ სხვა დაჯგუფებებზე.

"ქართველმა მორგანმა" (ვადიმ პეტროვს რუსეთში ამ სახელით მოიხსენიებენ) პოლიტიკურ სარბიელზეც მოსინჯა ძალები. იგი 1999 წელს საპარლამენტო არჩევნებში იური ლუჟკოვის პარტიიდან იღებდა მონაწილეობას, თუმცა არ გაუმართლა.

**"ქართველი ნარკობარონის საქმიანობა დასრულდა. პეტროვის ჯგუფი საერთაშორისო არენაზე იყო გასული. ისინი ღებულობდნენ კოკაინს ლათინური ამერიკიდან, მოსკოვში აფასოებდნენ და აგზავნიდნენ დიდ ბრიტანეთში და აფრიკაში, საიდანაც ევროპაში ნაწილდებოდა. ჩვენი მონაცემებით, ამ ჯგუფის მიერ მოზამბიკაში გაგზავნილია 3 ტონა კოკაინი, რუმინეთში 3 ტონა "მანდრაკსი", მალაიზიაში 2 ტონა სხვადასხვა სახის ნარკოტიკული ნივთიერებები. ნარკოვაჭრები, რომლებიც მთელ მსოფლიოს ამარაგებდნენ ნარკოტიკით, ფულის გათეთრებაზეც მუშაობდნენ. კოლუმბიასა და დიდ ბრიტანეთს შორის მიმოქცევაში არსებულ ნარკოფულს ათეთრებდნენ. პეტროვს ნარკობაზრის დაპყრობის სერიოზული გეგმები ჰქონდა, მაგრამ "პეტროვის კარტელი" განადგურებულია,"** – აცხადებს რუსეთის შსს-ს ნარკომაფიის წინააღმდეგ მებრძოლი სამმართველოს წარმომადგენელი კონსტანტინ მაკოვსკი.

# გალატაკებული საქართველო

დავით ამაღლობელი

## ხელფასები და დასაქმება სამხრეთ კავკასიაში

ოფიციალური სტატისტიკის მონაცემებით, ჩვენს რეგიონში დასაქმების ყველაზე დაბალი მაჩვენებელი აზერბაიჯანშია, სადაც უმუშევრობის დონემ 1999 წელს 14 პროცენტი შეადგინა. ანალოგიური მაჩვენებელი სომხეთში და საქართველოში შესაბამისად 11.2 და 12.7 პროცენტია. აღსანიშნავია, რომ 1996 წლიდან დასაქმების დონე არც ერთ ქვეყანაში არ გაუმჯობესებულა. მართალია, სომხეთში უმუშევრობის დონემ კლება დაიწყო 1996 წლიდან 1998 წლის ჩათვლით, მაგრამ 1999 წელს განვითარებული მოვლენების შედეგად დასაქმების მაჩვენებელი მკვეთრად გაუარესდა და 1999-2000 წლებში უმდაბლეს დონეს მიაღწია. 2001 წელს სომხეთში უმუშევრობა 1.7 პროცენტული პუნქტით შემცირდა. აზერბაიჯანში კი 1996-1999 წლებში ადგილი ჰქონდა უმუშევრობის დონის თანდათანობით ზრდას 12 პროცენტიდან 14 პროცენტამდე. საქართველოში თავდაპირველად უმუშევრობის დონე იზრდებოდა, ხოლო 1999 წლის შემდეგ კი კლება დაიწყო. *(ნახაზი 1)*

მიუხედავად იმისა, რომ 1996 წელს თვიური საშუალო ხელფასი საქართველოში ყველაზე მაღალი იყო და შეადგენდა 23 აშშ დოლარს (სომხეთში 20.8 დოლარი და აზერბაიჯანში 22 დოლარი), 2001 წლის მონაცემების მიხედვით, საქართველო ამ მაჩვენებლით ბოლო ადგილზე იმყოფებოდა რეგიონში (საქართველო – 41 დოლარი, სომხეთი – 43 დოლარი, აზერბაიჯანი – 57 დოლარი). ხელფასების ყველაზე სწრაფ ზრდას ადგილი ჰქონდა აზერბაიჯანში, სადაც საშუალო თვიური ხელფასი 1996-2001 წლებში 159 პროცენტით გაიზარდა, სომხეთში 107 პროცენტით და საქართველოში მხოლოდ 79 პროცენტით. *(ნახაზი 2)*

აღსანიშნავია, რომ ხელფასების თანდათანობით გამოთანაბრება ხდება მხოლოდ საქართველოში, როდესაც სომხეთში და აზერბაიჯანში საპირისპირო ტენდენციებს აქვს ადგილი. მაგალითისათვის, თუ 1996 წელს საქართველოში ყველაზე ცუდად ანაზღაურებადი დარგის (სოფლის მეურნეობა) საშუალო ხელფასის წილი ყველაზე კარგად ანაზღაურებადი დარგის (მშენებლობა) საშუალო ხელფასში შეადგენდა 13.7 პროცენტს, 1999 წელს ეს მაჩვენებელი შეადგენდა უკვე 19 პროცენტს. სომხეთში ანალოგიური მაჩვენებელი 1996 წლის 17.4 პროცენტიდან 1999 წლის 13.9 პროცენტამდე შემცირდა, ხოლო აზერბაიჯანში 22.3-დან 11 პროცენტამდე.

სამივე ქვეყანაში სამუშაო ძალა ყველაზე იაფია სოფლის მეურნეობაში, ვაჭრობასა და ჯანდაცვაში. ყველაზე მაღალანაზღაურებადია საფინანსო სექტორი აზერბაიჯანში, სადაც საშუალო თვიური ხელფასი 1999 წელს შეადგენდა 143.2 აშშ დოლარს. ასევე მაღალანაზღაურებადი დარგია მშენებლობა, სადაც საშუალო ხელფასი რეგიონში 1999 წელს შეადგენდა 86 აშშ დოლარს. რაც შეეხება სახელფასო განსხვავებას ქვეყნებს შორის, უნდა აღინიშნოს, რომ საქართველოში მხოლოდ კომპიუტერული მომსახურება და მეცნიერება არის სომხეთთან და აზერბაიჯანთან შედარებით უკეთანაზღაურებადი დარგები. სომხეთის რეგიონში ყველაზე მაღალანაზღაურებადი დარგებია სოფლის მეურნეობა, ტრანსპორტი, კომუნიკაციები, ჯანდაცვა და სახელმწიფო ადმინისტრაცია, ხოლო აზერბაიჯანში მშენებლობა, მრეწველობა, ფინანსები, ვაჭრობა, განათლება და კულტურა. რეგიონში ყველაზე დიდია განსხვავება მრეწველობის დარგში, სადაც აზერბაიჯანში თითქმის 2-ჯერ მეტია ხელფასი, ვიდრე სომხეთში და საქართველოში. ასევე დიდია განსხვავება მშენებლობაში, სადაც კვლავ აზერბაიჯანი ლიდერობს. *(ნახაზი 3. ცხრილი 1: სახელფასო განსხვავებები, (1999 წ). ცხრილი 2: დასაქმება და ხელფასები, 1996-2001.)*

## სამომხმარებლო ფასები და ინფლაცია

1990-იანი წლების პირველ ნახევარში მაღალი ინფლაციის შემდეგ (1996 წლიდან) სამხრეთ კავკასიის სამივე ქვეყანაში აღინიშნებოდა ინფლაციის საგრძნობი კლება. 1996 წელს სამომხმარებლო ფასების საშუალო ინფლაციამ შეადგინა 8.6 პროცენტი. თუმცა 1996 წლიდან სამომხმარებლო ფასებს ახასიათებდათ განსხვავებული ტენდენციები თითოეულ ქვეყანაში.

კერძოდ, სომხეთში 1997 წელს სამომხმარებლო ფასები თითქმის 22 პროცენტით გაიზარდა წინა წლის 5.7-პროცენტიანი ზრდის ფონზე. 1998 წელს კი ადგილი ჰქონდა 1.3-პროცენტიან დეფლაციას. მომდევნო სამ წელს ფასების ზრდა შედარებით დასტაბილურდა და საშუალო 1.8 პროცენტი შეადგინა, ხოლო 2001 წელს კი 5.3 პროცენტამდე ავიდა.

აზერბაიჯანში 1997 წელს საპირისპირო მოვლენას ჰქონდა ადგილი და პერიოდის ბოლოს ინფლაციამ შეადგინა მხოლოდ 0.4 პროცენტი 1996 წლის 6.5 პროცენტის შემდეგ. 1998 და 1999 წლებში კი ადგილი ჰქონდა ფასების დაცემას და მხოლოდ 1998 წელს ინფლაციამ 7.5 პროცენტი შეადგინა. 2000 წლიდან კი კვლავ ადგილი ჰქონდა ფასების მატებას.

საქართველო ამ სამ ქვეყანას შორის ყველაზე სტაბილური ინფლაციით გამოირჩეოდა. მართალია, ეკონომიკის საერთო კრიზისის ფონზე ინფლაცია გაიზარდა 1998-1999 წლებში, მაგრამ საგანგაშო მატებას ადგილი არ ჰქონია. 2000-2001 წლებში სამომხმარებლო ფასების ინფლაცია საშუალოდ 4 პროცენტი იყო *(ცხრილი 3: სამომხმარებლო ფასების ინფლაცია, 1996-2001 და ნახაზი 1/4).*

ნახაზი 1




ნახაზი 2




ნახაზი 3




ნახაზი 4




ცხრილი 1: სახელფასო განსხვავებები (1999 წ)

| | სომხეთი | აზერბაიჯანი | საქართველო | საშუალო | სტ. გადახრა | ვარიაცია (%-ებში) |
|---|---|---|---|---|---|---|
| სოფლის მეურნეობა | 25.1 | 15.8 | 13.5 | 18.1 | 7.0 | 11.6 |
| მშენებლობა | 66.0 | 103.8 | 87.3 | 85.7 | 18.1 | 37.8 |
| მრეწველობა | 43.8 | 88.6 | 45.0 | 59.1 | 29.5 | 44.8 |
| ტრანსპორტი | 62.1 | 60.6 | 51.4 | 58.0 | 4.1 | 10.7 |
| კომუნიკაციები | 72.3 | 60.6 | 50.0 | 61.0 | 11.3 | 22.3 |
| ფინანსები | 131.5 | 143.2 | | 137.4 | 5.8 | 11.7 |
| ვაჭრობა | 20.6 | 28.6 | 18.6 | 22.6 | 6.0 | 10.0 |
| განათლება, კულტურა, ხელოვ. | 18.2 | 30.2 | 26.5 | 25.0 | 5.2 | 12.0 |
| კომპიუტერული მომსახურება | 34.4 | | 41.3 | 37.9 | 3.5 | 6.9 |
| ჯანდაცვა | 20.8 | 12.7 | 17.3 | 16.9 | 3.9 | 8.1 |
| მეცნიერება | 29.0 | | 35.8 | 32.4 | 3.4 | 6.8 |
| სახ. ადმინისტრაცია | 54.4 | 36.0 | 44.6 | 45.0 | 9.4 | 18.4 |

ცხრილი 2: დასაქმება და ხელფასები, 1996-2001

| | 1996 | 1997 | 1998 | 1999 | 2000 | 2001 |
|---|---|---|---|---|---|---|
| სომხეთი | | | | | | |
| რეგისტრირებული უმუშევრობა (%) | 9.3 | 10.8 | 9.4 | 11.2 | 11.7 | 10 |
| საშუალო თვიური ხელფასი (დოლარი) | 20.8 | 24.2 | 30.6 | 35.2 | 38.9 | 43 |
| აზერბაიჯანი | | | | | | |
| რეგისტრირებული უმუშევრობა (%) | 12 | 13 | 13 | 14 | * | * |
| საშუალო თვიური ხელფასი (დოლარი) | 22 | 36 | 43 | 45 | 49 | 57 |
| საქართველო | | | | | | |
| რეგისტრირებული უმუშევრობა (%) | 2.8 | 7.7 | 12.3 | 12.7 | 10.3 | 11.1 |
| საშუალო თვიური ხელფასი (დოლარი) | 23 | 32 | 31 | 35 | 38 | 41.1 |

ცხრილი 3: სამომხმარებლო ფასების ინფლაცია, 1996-2001

| | 1996 | 1997 | 1998 | 1999 | 2000 | 2001 |
|---|---|---|---|---|---|---|
| სომხეთი | | | | | | |
| ინფლაცია (%, პერიოდის საშუალო) | 18.7 | 14 | 8.7 | 0.6 | -0.8 | 3.2 |
| ინფლაცია (%, პერიოდის ბოლოს) | 5.7 | 21.9 | -1.3 | 2 | 0.4 | 3 |
| აზერბაიჯანი | | | | | | |
| ინფლაცია (%, პერიოდის საშუალო) | 19.7 | 3.5 | -0.8 | -8.5 | 1.8 | 1.7 |
| ინფლაცია (%, პერიოდის ბოლოს) | 6.5 | 0.4 | -7.6 | -0.5 | 2.2 | |
| საქართველო | | | | | | |
| ინფლაცია (%, პერიოდის საშუალო) | 39.4 | 7 | 3.6 | 19.1 | 4 | 4.6 |
| ინფლაცია (%, პერიოდის ბოლოს) | 13.8 | 7.2 | 10.7 | 10.9 | 4.6 | 3.4 |

# სომხეთის ბანკის რეზერვები გამუდმებით იზრდება

### სახელმწიფო ფინანსები სამხრეთ კავკასიაში

დავით ამაღლობელი

სამხრეთ კავკასიაში ეკონომიკის მონეტიზაცია ყველაზე სწრაფად და თანმიმდევრულად სომხეთში მიმდინარეობს. 2002 წლის მდგომარეობით, ფულის მიმოქცევის სიჩქარე სომხეთში 7.5-ს შეადგენდა. მონეტიზაციის ზრდას საქართველოშიც ჰქონდა ადგილი, თუმცა 2001 წელს ფულის მიმოქცევის სიჩქარე სომხეთის მაჩვენებელზე მაღალი იყო და 9.1-ს შეადგენდა. ფულის მიმოქცევის სიჩქარეს აზერბაიჯანში რაიმე გამოკვეთილი ტენდენცია არ გააჩნია და, მიუხედავად თავდაპირველი კლებისა, 2001 წლის მაჩვენებელი, რომელიც 13.6-ს შეადგენს, 1996 წლის მაჩვენებელს აღემატება. *(ნახაზი 1)*

რაც შეეხება ცენტრალური ბანკების საერთაშორისო რეზერვებს, ამ მხრივ აშკარა ლიდერია აზერბაიჯანი, რომლის საერთაშორისო რეზერვები თითქმის 2-ჯერ აღემატება საქართველოსა და სომხეთის რეზერვებს ერთად აღებულს. ამასთან, სომხეთის მთლიანი საერთაშორისო რეზერვები 2-ჯერ აღემატება საქართველოსას. აღსანიშნავია, რომ სომხეთი ერთადერთი ქვეყანაა, სადაც საერთაშორისო რეზერვებს მუდმივად მზარდი ტენდენცია გააჩნია. საქართველოსა და აზერბაიჯანისთვის კი, რუსეთში განვითარებული საფინანსო კრიზისის გამო, 1998 წელს რეზერვებმა იკლო. *(ნახაზი 2)*

საგადასახადო შემოსავლების წილი მთლიან შიდა პროდუქტში (მშპ) ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი მაკროეკონომიკური მაჩვენებელია, რომელიც კარგად მეტყველებს ქვეყანაში შექმნილ ფისკალურ მდგომარეობაზე. უნდა აღინიშნოს, რომ, ამ მხრივ, ქვეყნებს შორის რაიმე მნიშვნელოვან განსხვავებას ადგილი არ აქვს და სამივე ქვეყანას დსთ-ს სივრცეში ერთ-ერთი ყველაზე დაბალი მაჩვენებლები გააჩნია. *(ნახაზი 3)*

მიმდინარე ოპერაციათა სალდო სამივე ქვეყანაში უარყოფითია, თუმცა აზერბაიჯანში 2001 წელს რეკორდულად დაბალი მაჩვენებელი დაფიქსირდა და სალდომ–0.3 პროცენტი შეადგინა. სომხეთში მიმდინარე ოპერაციათა დეფიციტი უკანასკნელი 6 წლის განმავლობაში საკმაოდ მაღალი იყო და 2001 წელს მან თითქმის 13 პროცენტი შეადგინა. საქართველოში კი მიმდინარე ოპერაციათა დეფიციტი შედარებით მცირე იყო და, ამასთან, თანდათანობით იკლებდა. *(ნახაზი 4)*

ნახაზი 1




ნახაზი 2




ნახაზი 3




ნახაზი 4




| | 1996 | 1997 | 1998 | 1999 | 2000 | 2001 |
|---|---|---|---|---|---|---|
| სომხეთი | | | | | | |
| ფისკალური სექტორი | | | | | | |
| შემოსავლები და გრანტები (% მშპ-ში) | 14.9 | 15.7 | 17.1 | 19.3 | 16.5 | 17.1 |
| მ.შ. საგადასახადო შემოსავლები (% მშპ-ში) | 10.5 | 13.5 | 13.6 | 16.1 | 14.7 | 14.4 |
| ხარჯები (% მშპ-ში) | 19.2 | 18.3 | 21.9 | 26.5 | 22.8 | 21 |
| საერთო ბალანსი (% მშპ-ში) | -4.3 | -2.6 | -4.7 | -5.5 | -4.6 | -4 |
| მონეტარული სექტორი | | | | | | |
| სარეზერვო ფული (პერიოდის ბოლოს ზრდა, %) | 40.5 | 22.5 | 6.5 | 0 | 34.4 | 11 |
| ფართო ფული (პერიოდის ბოლოს ზრდა, %) | 35.1 | 29.2 | 36 | 13.6 | 25.8 | 13.6 |
| ფულის მიმოქცევის სიჩქარე (%, პერიოდის ბოლოს) | 13.8 | 12.8 | 10 | 9.1 | 7.6 | 7.5 |
| საგარეო სექტორი | | | | | | |
| მიმდინარე ოპერაციათა ბალანსი (% მშპ-ში) | -25.3 | -27.1 | -27.1 | -21.7 | -19.9 | -12.9 |
| მთლიანი საგარეო ვალი | | | | | | |
| მილიონი დოლარებში | 536 | 700 | 787 | 855 | 862 | 905 |
| %-ად მშპ-ში | 35.3 | 42.7 | 41.4 | 46.3 | 45.1 | 42.7 |
| საგარეო ვალების მომსახურება | 20.3 | 14.2 | 19 | 14.3 | 10.6 | 9.7 |
| მთლიანი ოფიციალური საერთაშორისო რეზერვები | | | | | | |
| მილიონ დოლარებში | 171 | 243 | 298 | 305 | 314 | 329 |
| საქონლისა და მომსახურების იმპორტის თვეები (თვე) | 2.3 | 2.9 | 3.9 | 3.8 | 3.8 | 3.7 |

| | 1996 | 1997 | 1998 | 1999 | 2000 | 2001 |
|---|---|---|---|---|---|---|
| აზერბაიჯანი | | | | | | |
| ფისკალური სექტორი | | | | | | |
| შემოსავლები და გრანტები (% მშპ-ში) | 17.6 | 19.1 | 19.6 | 18.5 | 21.2 | 21.8 |
| მ.შ. საგადასახადო შემოსავლები (% მშპ-ში) | 14.2 | 15.6 | 14 | 14.2 | 14.5 | * |
| ხარჯები (% მშპ-ში) | 22.5 | 20.8 | 23.7 | 23.6 | 20.9 | 19 |
| საერთო ბალანსი (% მშპ-ში) | -4.9 | -1.6 | -3.9 | -4.7 | -0.6 | 2.6 |
| მონეტარული სექტორი | | | | | | |
| სარეზერვო ფული (პერიოდის ბოლოს ზრდა, %) | 33.6 | 35.6 | -22.3 | 20.9 | 22.1 | 9 |
| ფართო ფული (პერიოდის ბოლოს ზრდა, %) | 25.8 | 29.2 | -10.6 | 5.3 | 11.1 | -1.5 |
| ფულის მიმოქცევის სიჩქარე (%, პერიოდის ბოლოს) | 13.3 | 11.4 | 11.7 | 13.2 | 15.2 | 13.6 |
| საგარეო სექტორი | | | | | | |
| მიმდინარე ოპერაციათა ბალანსი (% მშპ-ში) | -25.8 | -23.1 | -30.7 | -13.1 | -3.2 | -0.9 |
| მთლიანი საგარეო ვალი | | | | | | |
| მილიონი დოლარებში | 521 | 602 | 717 | 1,034 | 1,259 | 1,402 |
| %-ად მშპ-ში | 16.4 | 15.2 | 16.1 | 22.6 | 23.9 | 24.5 |
| საგარეო ვალების მომსახურება | 55.5 | 52.3 | 71 | 80.7 | 59.4 | 59.2 |
| მთლიანი ოფიციალური საერთაშორისო რეზერვები | | | | | | |
| მილიონ დოლარებში | 214 | 468 | 447 | 673 | 680 | 897 |
| საქონლისა და მომსახურების იმპორტის თვეები (თვე) | 1.5 | 2.7 | 2.2 | 4.2 | 4 | 5.1 |

| | 1996 | 1997 | 1998 | 1999 | 2000 | 2001 |
|---|---|---|---|---|---|---|
| საქართველო | | | | | | |
| ფისკალური სექტორი | | | | | | |
| შემოსავლები და გრანტები (% მშპ-ში) | 14.10 | 14.80 | 15.60 | 15.40 | 15.30 | 16.60 |
| მ.შ. საგადასახადო შემოსავლები (% მშპ-ში) | 10.8 | 13.1 | 12.7 | 13.8 | 14.3 | 14.6 |
| ხარჯები (% მშპ-ში) | 21.5 | 21.8 | 21.8 | 22.1 | 19.4 | 18.5 |
| საერთო ბალანსი (% მშპ-ში) | -7.2 | -6.3 | -4.9 | -5 | -2.6 | -1.7 |
| მონეტარული სექტორი | | | | | | |
| სარეზერვო ფული (პერიოდის ბოლოს ზრდა, %) | 35.9 | 32.6 | -6.3 | 18.8 | 26.4 | 9.9 |
| ფართო ფული (პერიოდის ბოლოს ზრდა, %) | 41.9 | 45.6 | -1.2 | 20.6 | 39 | 18.5 |
| ფულის მიმოქცევის სიჩქარე (%, პერიოდის ბოლოს) | 15.1 | 12.4 | 13.7 | 12.7 | 9.7 | 9.1 |
| საგარეო სექტორი | | | | | | |
| მიმდინარე ოპერაციათა ბალანსი (% მშპ-ში) | -9.1 | -10.5 | -10.7 | -8.5 | -5.4 | -6.7 |
| მთლიანი საგარეო ვალი | | | | | | |
| მილიონი დოლარებში | 1352.4 | 1515.7 | 1636.4 | 1701.0 | 1610.0 | 1685.0 |
| %-ად მშპ-ში | 44.9 | 42.6 | 58.4 | 58.0 | 52.9 | 52.2 |
| საგარეო ვალების მომსახურება | 9.2 | 6 | 17 | 14.6 | 10.5 | 8.5 |
| მთლიანი ოფიციალური საერთაშორისო რეზერვები | | | | | | |
| მილიონ დოლარებში | 158 | 173.3 | 118.4 | 132 | 109 | 159 |
| საქონლისა და მომსახურების იმპორტის თვეები (თვე) | 2.5 | 2 | 1.2 | 1.2 | 1 | 1.4 |

# ჩვენ წავალთ ჰოლანდიაში!




პირველი შეხვედრები ვაკის რაიონში






*ერთი თვეც და საქართველოს ორი საუკეთესო გუნდი როტერდამის საგზურს მოიპოვებს. აქ „ფეიენოორდის" კუთვნილ „დე კუიპის" სტადიონზე „ფოქს კიდსის" თასის გათამაშების ფინალური ეტაპი გაიმართება.*

ეს არის მსოფლიო ჩემპიონატი 13 წლამდე ასაკის ბავშვებს შორის, რომელიც ყოველწლიურად ტარდება. ასპარეზობაში მხოლოდ მოყვარული ფეხბურთელები მონაწილეობენ, მაგრამ ფინალური ეტაპის შეხვედრებს, რომელშიც 20 გუნდი მონაწილეობს, ყურადღებით აკვირდებიან ევროპის წამყვანი საფეხბურთო კლუბების სელექციონერები. ასე რომ, ბავშვებს პროფესიულ კლუბში მოხვედრისა და შესაბამისად, ფეხბურთის ნამდვილ ოსტატებად ჩამოყალიბების შანსი ეძლევათ.

სწორედ ამიტომ „ფოქს კიდსის" თასის გათამაშების შესარჩევმა ტურნირმა საქართველოში დიდი გამოხმაურება ჰპოვა. შეჯიბრებაში მონაწილეობის სურვილი 3000-ზე მეტმა ბავშვმა გამოთქვა. ეს ბუნებრივიც არის. „ფოქს კიდსის" თასი ხომ ახალი ხილია ქართველი ბავშვებისთვის, რომლებიც პოსტსაბჭოთა სივრცეში რუსი თანატოლების დარად წლევანდელ ტურნირში პირველად მოსინჯავენ ძალებს.

ჩვენი ქვეყნის ტერიტორიაზე ტურნირის ორგანიზატორები ტელეკომპანია „რუსთავი 2" და მისი პარტნიორი რეგიონული მაუწყებლობები იქნებიან. ისინი შეჯიბრებას რეგიონებში უწევენ ორგანიზებას. თბილისში კი „ფოქს კიდსის" თამაშებს ტელეკომპანია „რუსთავი 2"-თან ერთად თბილისის საკრებულოს სპორტისა და ტურიზმის სამსახური და „ფოქს კიდს თბილისის" ჯგუფი გაუძღვებიან.

საქართველოში ტურნირი სამხარეო-რეგიონული პრინციპით გაიმართება - აღმოსავლეთი, დასავლეთი და თბილისი. შემდეგ რეგიონების გამარჯვებულები თბილისში მოიყრიან თავს და სანუკვარი საგზურისთვის ბრძოლას გააგრძელებენ.

გუშინ „ფოქს კიდსის" გათამაშება




საზეიმოდ გაიხსნა ზესტაფონში, ლაგოდეხსა და თბილისის ვაკის რაიონში. პარალელურად, თბილისიდან აღმოსავლეთისა და დასავლეთის მიმართულებით ბურთებითა და საფეხბურთო ეკიპირებით დატვირთული ორი ტრაილერი დაიძრა. „ფოქს კიდსის" მანქანები მთელ საქართველოს შემოივლის და მოზარდებს დაუვიწყარ საჩუქარს მიუძღვნის. გუშინ პირველი მეოთხედფინალური შეხვედრები გაიმართა. განსაკუთრებული საზეიმო განწყობილება სუფევდა ზესტაფონში, სადაც ამ მოვლენის აღსანიშნავად კონცერტი მოეწყო. ადგილობრივმა ტელევიზიამ კი „ფოქს კიდსის" თამაშების პირდაპირი რეპორტაჟი გადასცა. დღეს და ხვალ ნახევარფინალური და ფინალური მატჩები გაიმართება და ესტაფეტა თბილისის სხვა რაიონებსა და საქართველოს სხვა ქალაქებს გადაეცემა.




ფანები



## ბერძენი რეჟისორის სიურპრიზი

### ეროვნული ჰიმნი და გემრიელი ჩიხირთმა




თამარ სუხიშვილი

როდესაც "საჩუქარის" ორგანიზატორები ფესტივალის ჩასატარებლად სივრცეს ეძებდნენ, სწორედ მაშინ გამოჩნდნენ ახალი მემარჯვენეები და "საჩუქარს" საკუთარი ოფისი შესთავაზეს. ასე რომ, მიხეილ თუმანიშვილის სახელობის ხელოვნების საერთაშორისო ფესტივალი გუშინ, 1 მაისს, სწორედ "ახლების" ოფისის დარბაზში გაიხსნა. გუშინდელმა დღემ ყოველგვარი ცერემონიალის გარეშე ჩაიარა – წელს ორგანიზატორებმა გადაწყვიტეს, რომ ფესტივალი პირდაპირ სპექტაკლით გაეხსნათ. ასე რომ, წარმოდგენის დაწყებამდე მაყურებლისთვის არაფერი განსაკუთრებული სიურპრიზი არ დაუხვედრებიათ, სამაგიეროდ სიურპრიზი იყო თვით სპექტაკლი – საქართველოში უკვე კარგად ცნობილი ბერძენი რეჟისორის, მიხაილ მარმარინოსის "ეროვნული ჰიმნი", რომელიც, როგორც რეჟისორმა ქეთი დოლიძემ აღნიშნა, დიდი სიკეთითაა დახუნძლული და საქართველოს სიყვარულით არის დაწერილი.

"ყოველდღიურ ცხოვრებაში არ არსებობს ისეთი წუთი, რომელიც თეატრი არ იყოს" – ამბობს მიხაილ მარმარინოსი და ცდილობს სცენაზე გადმოიტანოს ყველაფერი ის, რაც ცხოვრების გზაზე ხვდება ადამიანს: სარეკლამო ტექსტები, მოგონებები, პოლიტიკური ფრაზები, სოციალური თემატიკა, ეროვნული სამზარეულოც. სპექტაკლის სიუჟეტი თითქოს თავად ცხოვრებითაა ნაკარნახევი, იმ ქვეყნის ცხოვრებით, რომელშიც მოქმედება ხდება.

"ეროვნული ჰიმნი" (თეორემა ერთობის შესახებ) იმ საერთაშორისო პროექტის ნაწილია, რომელიც 2001 წელს დაიწყო საბერძნეთში. მერე ბერძენმა რეჟისორმა ამ წარმოდგენის იტალიური ვერსია წარმოადგინა ფლორენციაში. გუშინ კი თბილისში ქართული "ეროვნული ჰიმნის" პრემიერა შედგა. მოგვიანებით ეს პროექტი გერმანიაში, შვეიცარიასა და საფრანგეთშიც განხორციელდება. სხვათა შორის, ქართველმა მაყურებელმა ბერძნული "ეროვნული ჰიმნი" უკვე ნახა კინომსახიობთა თეატრში; ჩვენი კინომსახიობთა თეატრის დასთან ერთად კი მარმარინოსმა რამდენიმე წლის წინ დადგა "მედეა: მასალა".

"ეროვნული ჰიმნის" სპეციფიკა ძალიან საინტერესოა: ჩონჩხი უცვლელია. იცვლება მხოლოდ ტექსტი (საქართველოში – ქართული, საბერძნეთში – ბერძნული და ა.შ.), რომელსაც ამა თუ იმ ქვეყნის ცხოვრების პირობები, ხალხის ხასიათი, ეროვნული თავისებურებები განაპირობებს. ეს თავისებურებები კი ყველაზე კარგად სუფრასთან ვლინდება. სცენაზე გაშლილი სუფრა, რომელსაც მაყურებელთა ერთი ნაწილი შემოსხდომია, სავსებით რეალურია. "მართალია, თეატრში გაშლილი სუფრა ისეთი მდიდარი არ იქნება, როგორიც საერთოდ ქართული სუფრაა, მაგრამ გპირდებით, რომ ემოციურად მდიდარ სანახაობას შემოგთავაზებთ," – დაგვპირდა რამდენიმე დღის წინ პრესკონფერენციაზე ბერძენი რეჟისორი, რომლის დადგმებიც ყოველთვის გამოირჩევა ნოვატორულობით, მოულოდნელობებითა და სანახაობრიობით.

"ეროვნული ჰიმნის" პროექტი 2004 წელს ათენში ოლიმპიურ თამაშებზე დაგვირგვიანდება, სადაც ყველა ეს სპექტაკლი იქნება ნაჩვენები.

რა არის ეროვნული ჰიმნი? – ამ კითხვაზე ბერძენი რეჟისორი და ქართველი მსახიობები დღეს, ხვალ და ზეგ – 2, 3 და 4 მაისს გაგცემენ პასუხს. სპექტაკლები საღამოს 6 საათზეა დანიშნული "ახალი მემარჯვენეების ოფისში" (ბევრეთის 3, ორთაჭალა, ბაგრატიონის ძეგლთან).

ისე, როგორც გავიგე, მაყურებლისთვის მირთმეული ჩიხირთმა, მართლა, ძალიან გემრიელი ყოფილა.

## კულტურის მინისტრი მოსკოვური შთაბეჭდილებებით

ვერა ნეფარიძე

"თამაშის პირველივე წუთები ისეთი იყო, როგორც კარგი სპექტაკლი", - ვიდრე მოსკოვში ვიზიტის დეტალებზე დაიწყებდა საუბარს, სესილი გოგიბერიძემ წინა საღამოს „ლოკომოტივის" სტადიონზე მიღებული შთაბეჭდილებებით დაიწყო ბრიფინგი. რუსეთთან გუშინწინდელი საფეხბურთო წარმატების შემდეგ, მოსკოვიდან დაბრუნებული კულტურის მინისტრი საქართველო-რუსეთის კულტურის სამინისტროებს შორის გაფორმებული 2003-2005 წლების ურთიერთთანამშრომლობის პროგრამის შესახებ საუბრობდა. გუშინ კულტურის სამინისტროში ტრადიციული ბრიფინგი გაიმართა.

24 აპრილს რუსეთის კულტურის მინისტრის, მიხეილ შვიდკოის მიწვევით ქართული დელეგაცია სესილი გოგიბერიძის ხელმძღვანელობით მოსკოვში ჩავიდა. სამდღიანი ვიზიტის მიზანი იყო კულტურის სფეროში საქართველო-რუსეთს შორის დადებული ვადაგასული ხელშეკრულების (ამის შესახებ "24 საათი" თავის დროზე წერდა) განახლება. ქართულ დელეგაციას მოსკოვში შეხვედრები ჰქონდა კულტურის სამინისტროში, სადაც უნდა გაფორმებულიყო ორი ხელშეკრულება. თუმცა, მოსკოვში ყოფნისას ხელი მოეწერა მხოლოდ პროგრამას, რომელშიც ძირითადად საუბარია კულტურულ გაცვლებზე და განათლების სფეროში თანამშრომლობაზე. "რაც შეეხება კინოს, ჩვენ მზად ვიყავით, ხელი მოგვეწერა აუდიო-ვიზუალურ სფეროში თანამშრომლობის შესახებ დოკუმენტზე, მაგრამ, ვინაიდან ამ სფეროში შედიოდა მუსიკის ინდუსტრიაც და ტელევიზიაც, რომლებზეც არც ჩვენ და არც რუსეთის კულტურის სამინისტრო პასუხს არ ვაგებთ, ამიტომ გადაწყდა, რომ კინოს დარგში ხელშეკრულება მომზადდება ცალკე და ეს იქნება არა უწყებათა შორისი, არამედ სახელმწიფოთა შორისი, სამთავრობო ხელშეკრულება", - ამბობს სესილი გოგიბერიძე. ქართულ დელეგაციაში კულტურის მინისტრის გარდა შედიოდნენ ქართული კინოცენტრის ხელმძღვანელი ზაზა ურუშაძე, საგარეო საქმეთა და კულტურის სამინისტროებს ორი წარმომადგენელი.

მოსკოვში ყოფნისას უფრო კონკრეტული გეგმაც დაისახა. საშემოდგომოდ საქართველოს კულტურის სამინისტრო შეარჩევს ახალგაზრდა ხელოვანთა გარკვეულ ჯგუფს, რომლის მონაწილეობითაც მოსკოვში გაიმართება ქართული კულტურის დღეები "ახალი სახელები". სესილი გოგიბერიძის თქმით, ფესტივალის კონცეფცია იქნება ახალგაზრდა ხელოვანების წარდგენა. ეს იქნება დაახლოებით 30 კაციანი ჯგუფი, თუმცა ჯერჯერობით კონკრეტული გვარების დასახელება ამ ეტაპზე ზედმეტია. ჯერ ისიც კი არ არის გადაწყვეტილი, ზუსტად რომელი დარგების მიხედვით იქნებიან ხელოვანები შერჩეულნი. კულტურის მინისტრი წინასწარ აკეთებს მინიშნებას, და ამბობს, რომ ამ ჯგუფში იქნებიან ახალგაზრდა თეატრალები, მხატვრები და პოპ-შემსრულებლები, ალბათ, რადგანაც, სესილი გოგიბერიძის თქმით, რუსეთში "ძალიან არიან დაინტერესებულები ქართული ესტრადით". როგორც კულტურის მინისტრმა გაგვიმხილა, ეს ინტერესი შვიდკოის თბილისში სტუმრობისას გასჩენია, როდესაც რუსეთის კულტურის მინისტრზე ნუკრი კაპანაძის სიმღერამ განსაკუთრებული შთაბეჭდილება მოახდინა თურმე. სესილი გოგიბერიძის სურვილია, კულტურულ დღეებში მონაწილეობა მიიღონ ახალგაზრდა მწერლებმაც, ეს რასაკვირველია დამოკიდებულია იმაზე, ითარგმნება თუ არა მათი ნაწარმოებები რუსულად. საშემოდგომო პროექტისთვის ხარჯებს რუსეთის კულტურის სამინისტრო იღებს საკუთარ თავზე, ხოლო ქართულ მხარეს მხოლოდ მგზავრობის ღირებულების გადახდა მოუწევს. ასევე საშემოდგომოდ ნავარაუდევია მოსკოვში ერთი მსახიობის თეატრის გასტროლები, რომელიც გაზაფხულზე იყო დაგეგმილი.

სესილი გოგიბერიძემ მოსკოვში ვიზიტის დადებით მოვლენად განიხილა გარკვეული მოლაპარაკებების გაგრძელებაც მოსკოვისა და თბილისის კონსერვატორიების თანამშრომლობის შესახებ. ბოლო დროს თბილისის სახელმწიფო კონსერვატორიის რექტორი მანანა დოიჯაშვილიც იყო ამავე მიზნით მოსკოვში ჩასული და ამ თემაზე მოლაპარაკება ქართულ-რუსულ მხარეებს შორის მაშინ დაიწყო. საუბარია ქართველი სტუდენტების მოსკოვში სწავლებაზე, იქაური პედაგოგების ჩამოყვანასა და მასტერ-კლასებზე, ასპირანტების მივლინებაზე და ა.შ.

## დღესასწაული, რომელიც ქართველ მსმენელს მოელის

თეონა ჯაფარიძე



პაატა ბურჭულაძე

დღესასწაულის ადგილი – ზაქარია ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო აკადემიური თეატრი.

დრო – 2003 წლის 17 ივნისი.

გალა-კონცერტში, რომელიც მსოფლიო საოპერო ხელოვნების ვარსკვლავის, ქართველი ბანის – პაატა ბურჭულაძის სასცენო მოღვაწეობის 25 წლისთავს მიეძღვნება, ათი გამოჩენილი ქართველი საოპერო მომღერალი მიიღებს მონაწილეობას. თბილისში ბოლოს და ბოლოს მართლაც დადგება "ვარსკვლავთცვენის" ღამე.

ჯერ-ჯერობით კი ამ პრესტიჟული პროექტის ავტორთა ჯგუფის – "თაგისის" ოფისში საქმიანი ფუსფუსია. (ჯგუფი "თაგისი" – მსოფლიო კულტურულ ინტეგრაციას გულისხმობს) აქ ყოველ წუთს გაისმის ტელეფონის ზარი მსოფლიოს სხვადასხვა წერტილიდან:

"გამარჯობათ, ანი ლაღიძე ვარ საქართველოდან." - ტელეფონით ესაუბრება კონცერტის ორგანიზატორი ანი ლაღიძე ნატა ჭყონიას, მსოფლიო საოპერო წრეებში ნათელა ნიკოლის სახელით ცნობილ ქართველ მეცო-სოპრანოს. როგორც მათი საუბრიდან შევიტყვე, ნატა ჭყონია იტალიაში გუშინ დაბრუნებულა გერმანიიდან, დრეზდენის "სემპერ ოპერაში" გასტროლიდან.

"თაგისის" ოფისში არ წყდება სატელეფონო ზარები: ცოტა ხანში მეორე მეცო-სოპრანოს – თეა დემურიშვილს ესაუბრებიან, რომელიც, როგორც აღმოჩნდა, ორ დღეში სევილიაში, მუსორგსკის "ქორწილში" იმღერებს. ბადრი მაისურაძე მოსკოვიდან თელ ავივში დაბრუნებულა, ლადო ათანელს კი მილანიდან ნიუ იორკში, მეტროპოლიტენ ოპერისაკენ აუღია გეზი, სადაც ჯერ კიდევ მარტში მისი დებიუტი შედგა ვერდის ტრავიატაში ჟერმონის პარტიით. ნიუ იორკის მეტროპოლიტენ ოპერიდან კი "ნაბუქოში", ზაქარიას პარტიის შესრულების შემდეგ ახლახან დაბრუნდა თავად პაატა ბურჭულაძე და ის ახლა ბერლინში ისვენებს. აქვე შევიტყვეთ, რომ თბილისს დღესდღეობით მსოფლიოში ყველაზე აქტუალური სოპრანო მარია გულეგინაც ეწვევა. მან 1995 წელს აბიგაილის ("ნაბუქო", ვერდი) პარტიის შესრულებით გაითქვა სახელი. და მას შემდეგ ის პლაჩიდო დომინგოს და ლუჩანო პავაროტის უმშვენებს გვერდს მსოფლიოს სხვადასხვა საოპერო სცენებზე. შესაბამისად "თაგისის" ოფისში მათთან კონტაქტი არ წყდება. მსოფლიო საოპერო სცენებზე მათი მოძრაობის გრაფიკის ყოველი ნიუანსი აქ ცნობილია. ამ გადატვირთულ გრაფიკში 17 ივნისს თბილისიც ჩაჯდება.

"ეს ურთულესი პროექტია."- მეუბნება ანი ლაღიძე და დასძენს: "ვცდილობთ ამ გალა-კონცერტის ორგანიზაცია ზუსტად ისეთივე პარამეტრებით გავაკეთოთ, როგორსაც მეტროპოლიტენ ოპერაში ან პარიზის გრანდ ოპერაში რომელიმე კონცერტს უკეთებენ. პაატა ბურჭულაძის სურვილია ამ კონცერტით მსოფლიოსათვის აქტუალური გახადოს თბილისის ოპერის სცენა. ამიტომ მთავარია ხარისხი, ხარისხი და კიდევ ხარისხი."

პროექტს გაზეთი "24 საათიც" შეუერთდა, რომლის ფურცლებზეც, გალა-კონცერტამდე, შევეცდებით დრო და დრო უახლესი ექსკლუზიური ინფორმაცია შემოგთავაზოთ უცხოეთში მოღვაწე ათი საოპერო ვარსკვლავისა და მსოფლიოს საუკეთესო ბანის შესახებ.

## ღამისა და სიზმრების ნამსხვრევები

რამდენიმე დღეა საფრანგეთის ქალაქ დიში ახალგაზრდა ქართველი მხატვრის მარიამ ფარცხალაძის გამოფენა მიმდინარეობს. "ღამისა და სიზმრების ნამსხვრევები" (ასე ჰქვია გამოფენას) დის მედიათეკის საგამოფენო დარბაზში 7 მაისამდე გაგრძელდება. თავის პირველ პერსონალურ გამოფენაზე ახალგაზრდა მხატვარმა ცხრამეტი, კანვრის მეთოდით შავ გამჟღავნებულ ფოტოფურცელზე დამზადებული ნამუშევარი წარადგინა. ადგილობრივმა დამთვალიერებელმა მათში, შესაძლოა, თანამედროვე კორსიკელი მხატვრის ჟან-პოლ მარშისის ზეგავლენა დაინახონ. სწორედ ამ მხატვარის ნამუშევრებმა მოახდინა საფრანგეთში ახალჩასულ ქართველ მხატვარზე უდიდესი ზეგავლენა. "მარშისი მუშაობს ცეცხლით, კვამლით და სანთლის ნაღვენთით. ისეთი გრძნობა მაქვს, თითქოს მეც ცეცხლთან მქონდეს საქმე. მართალია, ფურცლები, რომლებზეც ვმუშაობ შავია, მაგრამ შიგნით ცეცხლისა და მზის ფერებია", - ამბობს მარი ფარცხალაძე საკუთარ და კორსიკელი მხატვრის ნამუშევრებზე.

მარი ფარცხვანაძემ თბილისში დაამთავრა სამხატვრო აკადემია (მონუმენტური მოხატვის ფაკულტეტი), რის შემდეგაც მუშაობდა მარი ბროსეს სახელობის ქართულ-ფრანგულ საავტორო სკოლაში, სახვითი ხელოვნების მასწავლებლად. სწორედ იქ ყოფნისას გაუძლიერდა საფრანგეთში მოხვედრის სურვილი. შარშან იგი უკვე პარიზში გაემგზავრა. რამდენიმე ხნის წინათ მარი ფარცხალაძე მეგობრების მიპატიჟებით გადავიდა პატარა ქალაქ დიში (დრომის დეპარტამენტში). ეს არის მთებში ჩაფლული, რომაული პერიოდის ქალაქი, 5 ათასი მაცხოვრებლით; ცნობილია შუშხუნა ღვინით – Clerette de Die და ფესტივალით Est-Ouest, აღმოსავლეთი-დასავლეთი. სხვათა შორის, ფესტივალი ხუთი წლის წინათ საქართველოს მიეძღვნა (ფესტივალზე, თურმე, ყოველ წელს ირჩევენ აღმოსავლეთ ევროპის ერთ-ერთ ქვეყანას). რაც შეეხება მარის, მან წინა ზაფხულს მონაწილეობა მიიღო დიში, ჩრესტსა და მონტელიმარში გამართულ სხვადასხვა ჯგუფურ გამოფენებში. ქართველ მხატვარს მონაწილეობა მიღებული აქვს საქართველოში გამართულ ჯგუფურ გამოფენებშიც, პერსონალური გამოფენა კი აქ არასდროს ჰქონია.

## უცნაური კოლექციონერი

ირინე სანებლიძე

*პროფესიონალი მოდელიორობისგან სოფო ივანიძე ჯერ ძალიან შორსაა; მას წინ სტუდენტობის მთელი ხუთი წელი აქვს. ძნელი სათქმელია, როგორი დიზაინერი დადგება მისგან, მაგრამ სოფოს უცნაურმა გატაცებამ და ნიჭმა ის სხვებისგან გამორჩეული უკვე გახადა.*



პლასტილინის ფეხსაცმელები

ერთხელ, დაახლოებით სამი წლის წინ, სოფოს მამას მალაზიაში პლასტილინი ხურდაში მისცეს... დღეს სოფო ვერც კი იხსენებს, რისი გამოძერწვა დაიწყო, როცა ბოლოს პატარა ფეხსაცმელი შერჩა ხელში, რომელიც თოჯინასაც კი ძლივს მოერგებოდა. ძერწვის პროცესი და პირველი ხელნაკეთი სოფოს ისე მოეწონა, რომ მას მერე სულ პლასტილინშია ამოგანგლული. თავიდან თურმე, „საშინელება" გამოსდიოდა, მაგრამ მალე ჰობიმ ისე გაიტაცა, რომ ფეხსაცმლის ერთ-ერთ სამკერვალოშიც კი დაიწყო სიარული; მას აინტერესებდა, როგორ იკერება ნამდვილი ფეხსაცმელი. მას შემდეგ, რაც თითოეული დეტალი კარგად შეისწავლა, სოფო, უბრალოდ, ვეღარ ჩერდება და პლასტილინისგან ცალ-ცალ ფეხსაცმელს ამზადებს. სოფომ ხელნაკეთი თანდათან დახვეწა და ახლა ის დღეში რამდენიმე მინიატურულ ფეხსაცმელს ძერწავს, უფრო სწორად - პლასტილინით კერავს, შემდეგ კი, მეტი ეფექტურობისთვის, ლაქით აპრიალებს. სოფოს ფეხსაცმლები აკურატულადაა დაგვირისტებული, თითოეულ მათგანს არც ქუსლი აკლია და არც სარჩული, სამარკო ნიშანიც ("S") აქვს და ძირზე სიმბოლურად ზომაც აწერია.

სოფოს რატომღაც, მაინცდამაინც ფეხსაცმლის გამოძერწვა სურს და სხვა არაფრის; ასე დაიწყო ძერწვა და არც არაფრის შეცვლა სურს. მოდელებს და იდეებს სოფო ხანდახან ჟურნალებიდან „იპარავს", უფრო ხშირად კი თავად იგონებს. თავიდან სოფო ითვლიდა ფეხსაცმლებს, შემდეგ იმდენი დაუგროვდა, რომ სათვალავი აერია და თვლაც შეწყვიტა. დღეს მას მინიატურული ფეხსაცმლის ორასზე მეტი ნიმუში აქვს, რომელსაც ზაფხულობით მაცივარში ინახავს.

სოფო აპირებს, რომ ჰობი ნაწილობრივ სპეციალობადაც გაიხადოს და ტანსაცმლის და ფეხსაცმლის დიზაინერი გახდეს. გატაცებამ, გარკვეულწილად განსაზღვრა კიდეც სოფოს პროფესიული არჩევანი - ის სამხატვრო აკადემიის ტანსაცმლის დიზაინის ფაკულტეტის პირველი კურსის სტუდენტია. სოფოს „მხატვრობა", მისი თქმით, დაიწყო ჩვეულებრივად, როგორც ხდება ხოლმე... ბავშვობაში ჯერ რაღაცეებს ჯღაპნიდა, მერე ყვავილებს, ხეებს, ბაღებს, გოგოებს და ბიჭებს ხატავდა. ცოტა ხანში ოჯახის წევრებმა და ახლობლებმა დედისერთას „შემოქმედებას" მეტი ყურადღება დაუთმეს, სერიოზულად შეხედეს, აქაოდა, მამაც თვითნასწავლი მხატვარი ჰყავს - ბავშვი გენეტიკურად ნიჭიერიაო და სოფო მოსე თოიძის სახელობის სამხატვრო ლიცეუმში გადაიყვანეს.

სხვა მხრივ სოფო თითქოს, არაფრით განსხვავდება თანატოლებისგან. ისევე ვცხოვრობ და ვერთობი, როგორც სხვებიო. როგორ-მეთქი, რომ აღარ მოვეშვი, გაეცინა და ცოტა დაბნეულმა მითხრა: რა ვიცი, ხან მეგობრებთან ერთად ვარ, ხან მუსიკას ვუსმენ, გააჩნია, რა ხასიათზე ვარო. ასევე ხასიათით არჩევს მუსიკას და კითხულობს: „ძველებიდან" ტიციან ტაბიძის და ლადო ასათიანის ლექსები მოსწონს, „ახლებიდან" კი - რატი ამაღლობელი.

განსხვავებულ და განსაკუთრებულ ადამიანად სოფო არ თვლის თავს, უბრალოდ ჰობისგან თავისუფალ დროს ის „სხვა რაღაცეებს" უთმობს და უხარია, რომ საქართველოში ერთადერთი, უცნაური კოლექციონერია.

# შეავსეთ ანკეტა და გამოგვიგზავნეთ

გთხოვთ, შეავსოთ გარკვევით. ბლანკი უფასოა.

სამაუწყებლო კომპანია "რუსთავი 2" არ არის ვალდებული, გაცნობოთ მიიღებთ თუ არა მონაწილეობას შოუში "ხალხის პირისპირ". თქვენი შერჩევის შემთხვევაში, დაგიკავშირდებათ გადაცემის კოორდინატორი ამ ანკეტის შევსებით თქვენ ეთანხმებით შოუს "ხალხის პირისპირ" წესებსა და პირობებს.

ანკეტა გამოგვიგზავნეთ ფოსტით ან მოიტანეთ მისამართზე:

სამაუწყებლო კომპანია "რუსთავი 2",
ტელევიქტორინა "ხალხის პირისპირ",
ვაჟა-ფშაველას 45, 300077 თბილისი

კონკურსანტები ტელევიქტორინისთვის "ხალხის პირისპირ" შეირჩევიან ანკეტის საფუძველზე, ამიტომ გთხოვთ, ყურადღებით შეავსოთ ანკეტა.

სახელი და გვარი

ოჯახური მდგომარეობა:
დაქორწინებული, დაუქორწინებელი, გაყრილი, ქვრივი

მისამართი:

შვილები: (თუ გყავთ)

საფოსტო ინდექსი:

განათლება:
საშუალო, უმაღლესი, ტექნიკური

საკონტაქტო ტელეფონის ნომრები:

პროფესია:

ასაკი:

სამუშაო ადგილი

დამხმარე კატეგორია: (მიუთითეთ კატეგორია, რომელშიც კარგად ერკვევით, შეგიძლიათ აირჩიოთ ნებისმიერი. მაგალითად, საფეხბურთო კლუბი "არსენალი" ან ევროპის ქვეყნების დედაქალაქები, ან 60-იანი წლების მუსიკა, და ა.შ.)

შინაური ცხოველები: (თუ გყავთ)

გთხოვთ, დააკრათ ახლანდელი ფოტოსურათის, სასურველია ზომით 3/4, თუ ამ ზომის ფოტოსურათი არ გაქვთ, შეგიძლიათ დააკრათ ნებისმიერი ზომის, რომელზეც მხოლოდ თქვენ ხართ გადაღებული. ფოტოსურათზე სახე გარკვევით უნდა ჩანდეს. გთხოვთ, ფოტოსურათს უკან მიაწეროთ თქვენი სახელი და გვარი.

თქვენი ინტერესები და ჰობი:

შეხვედრიხართ თუ არა, პირადად, ცნობილ ადამიანს? ვის, სად და როდის?

როგორ გაატარებდით თქვენს იდეალურ დასვენების დღეს?

გიყვართ თუ არა მოგზაურობა? (თუ გიმოგზაურიათ საქართველოს გარეთ და სად?)

არჩევანი რომ გქონდეთ, რომელ ცნობილ ადამიანთან ისურვებდით შეხვედრას, სად წახვიდოდით მასთან ერთად და რატომ?

რომელი სატელევიზიო გადაცემები მოგწონთ და რატომ?

არჩევანი რომ გქონდეთ, სად წახვიდოდით სამოგზაუროდ და რატომ?

რომ შეგეძლოთ მხოლოდ ერთი რამის შეცვლა საკუთარ გარეგნობასა ან ხასიათში, რას შეცვლიდით და რატომ?

რომელია თქვენი საყვარელი მწერალი და საყვარელი ლიტერატურული ნაწარმოები?

გაქვთ თუ არა მიზანი, რომლის მიღწევაზეც ოცნებობთ?

რომ შეგეძლოთ მხოლოდ ერთი ნატვრის ასრულება, რას ინატრებდით და რატომ?

როგორი მუსიკა გიტაცებთ და თავად გაქვთ თუ არა მუსიკალური ნიჭი?

მიგიღწევიათ ან გაგიკეთებიათ თუ არა ისეთი რამ, რითაც ამაყობთ?

თქვენი აზრით, რომელ ზღაპრულ პერსონაჟს ჰგავხართ ყველაზე მეტად და რატომ?

რა ჟანრის ფილმები მოგწონთ და რომელია თქვენი საყვარელი ფილმები?

გაქვთ ან გქონიათ თუ არა რაიმე მეტსახელი? კონკრეტულად რა?

ფილმში რომ გადაღოთ თქვენზე, რომელი ცნობილი მსახიობი შეასრულებდა თქვენს როლს?

გამოსულხართ თუ არა ტელევიზიით? (თუ კი, როდის და რა ამპლუაში?)

გაქვთ თუ არა უჩვეულო ნიჭი? (მაგალითად, შეგიძლიათ თუ არა სტვენით ბეთჰოვენის "მთვარის სონატის" შესრულება, ან ასკინკილით მარათონული დისტანციის გავლა?)

ყველაზე უხერხული სიტუაცია თქვენს ცხოვრებაში:

რატომ გინდათ მიიღოთ მონაწილეობა ჩვენს თამაშში?

უჩვეულო ან საინტერესო რამ თუ გადაგხდენიათ თავს? კერძოდ რა?

ყველაზე ცუდი სამუშაო თქვენს ცხოვრებაში:

დღეს რომ მოგცენ 2000 ლარი, რას გააკეთებდით?

ფეხბურთი

# კმაყოფილი შვეიცარიელები და სკეპტიკოსი გერმანელები

როცა საქართველოში, მალტაზე, ლატვიასა და ანდორაში ოფიციალური მატჩები მიმდინარეობდა და მეტოქეები თავდაუზოგავად ცდილობდნენ, ევროპის ჩემპიონატის საკვალიფიკაციო ქულების მარაგი კიდევ უფრო გაემდიდრებინათ, მსოფლიოს დანარჩენ ქვეყნებში ეროვნული ნაკრებები ამხანაგურად აგორებდნენ ბურთს და წინასაჩემპიონატო რეპეტიციას გადიოდნენ.

უამრავი ამხანაგური მატჩიდან განსაკუთრებულ ყურადღებას იპყრობდა ორი: გერმანიისა და სერბია-ჩერნოგორიის და შვეიცარია-იტალიის. პირველი იმით იყო საინტერესო, რომ გერმანიის ნაკრები ოლივერ კანისა და მიხაელ ბალაკის გარეშე თამაშობდა და სკეპტიკოსები რუდი ფიოლერს სრულ კრახს უწინასწარმეტყველებდნენ. მეორე მატჩი კი გულშემატკივარებსა და სპეციალისტებს ერთი ფაქტორის გამო აღელვებდათ: როგორ გაუმკლავდებოდა საკუთარ მოედანზე მეათე ჯგუფის ლიდერი შვეიცარიის ნაკრები მეორე შემადგენლობით მოთამაშე "სკუადრა აძურას", შეძლებდა თუ არა კიობი კუნის გათამამებული "ნატი" ჯოვანი ტრაპატონის "ესკადრის" სათადარიგო ჯარისკაცების დაძლევას.

"შალკეს" ამბიციური მეკარის, ფრანკ როსტისთვის 30 აპრილი უმნიშვნელოვანესი დღე იყო. უკვე ერთი წელიწადია, როსტი ეროვნულ ნაკრებში ადგილის მოპოვებისთვის იბრძვის. გასული წლის ზაფხულში, როცა გერმანელები მსოფლიო ჩემპიონატის ფინალში გავიდნენ და ოლივერ კანი ლამის ეროვნულ გმირად იქცა, როსტი პირველი იყო, ვინც ბუნდესნაკრების კაპიტანს აუჯანყდა - ბუნდესლიგაში სხვა მეკარეებიც თამაშობენ და ზოგჯერ კანზე უკეთესადაცო. ამ თავხედობამ მაშინ ბევრი გააბრაზა, მაგრამ როსტმა მიზანს მიაღწია - საზოგადოების ყურადღება მიიპყრო. ოლივერ კანის პირადმა მწვრთნელმა, ზეპ მაიერმა "შალკეს" მეკარეს "შემწვარი ძეხვი" შეარქვა და პირდაპირ განაცხადა, კანისა და ბუტის დონემდე როსტს ბევრი უკლიაო, მაგრამ რუდი ფიოლერი უფრო დაკვირვებული კაცი აღმოჩნდა და როცა მეკარის მოძებნა დასჭირდა, დასახმარებლად სწორედ "მეამბოხე" როსტს უხმო. ოლივერ კანისა და იენს ლემანის ტრავმამ როსტს ნაკრებში მოხვედრის შანსი მისცა და მანაც თავი არ შეირცხვინა. ის მჭლე გამარჯვება, რომელიც გერმანიის ნაკრებმა ოთხშაბათს დუისბურგში მოიპოვა, სწორედ როსტის შესანიშნავი თამაშის დამსახურებაა. სერბები სახიფათოდ უტევდნენ მასპინძელთა კარს. ისე მოხდა, რომ მატჩის მთავარი გმირი გახდა არა გოლის ავტორი სებასტიან კელი, არამედ კარში ფხიზლად მდგომი ფრანკ როსტი. "ასეთი გერმანიის ნაკრები არავის სჭირდება. ამ აბსურდულ მატჩში ერთადერთი ნათელი წერტილი ფრანკ როსტი იყო. დანარჩენებზე ლაპარაკიც კი არ ღირს", - ასეთი მკაცრი შეფასება მიიღო ფიოლერის გუნდმა მატჩის მერე თანამემამულე ჟურნალისტებისგან. ვინ იცის, იქნებ ამ წარმატების შემდეგ ფრანკ როსტი ბუნდესნაკრების ძირითადი მეკარეც კი გახდეს - ოლივერ კანი ხომ ამ ბოლო პერიოდში არასტაბილურად თამაშობს...

იტალიელებთან მატჩის წინ შვეიცარიელები შესანიშნავ განწყობილებაზე იყვნენ. მთელი შვეიცარია და ირლანდია საქართველოს ნაკრებს გულშემატკივრობდა რუსების წინააღმდეგ. როცა ქართველებმა მეტოქე დაამარცხეს, შვეიცარიელებმა შვებით ამოისუნთქეს. კიობი კუნის "ნატი" ისევ პირველ ადგილზე დარჩა და იტალიელები ლიდერის ამპლუაში მიილო ჟენევის ახალ სტადიონზე. ჯოვანი ტრაპატონისთვის ეს მატჩი იმდენად მნიშვნელოვანი ნამდვილად არ იყო, რომ ჩემპიონთა ლიგის ნახევარფინალების წინ, სადაც სამი იტალიური კლუბი თამაშობს, ჟენევაში ვარსკვლავებით ჩასულიყო. შინ დარჩა ყველა ცნობილი ფეხბურთელი: ფრანჩესკო ტოლდო, ჯანლუიჯი ბუფონი, ალესანდრო დელ პიერო, ფილიპო ინძაგი, ალესანდრო ნესტა, ფაბიო კანავარო, ჯანლუკა ძამბროტა, მარკო დელვეკიო და ფრანჩესკო ტოტი. შვეიცარიელებმა ახალ სტადიონზე იხილეს ახალგაზრდა იტალიელი ფეხბურთელები, რომლებიც თავის გამოჩენის სურვილით იწვოდნენ. შვეიცარიელები ძირითადი შემადგენლობით დახვდნენ სტუმრებს. სხვა თუ არაფერი, იმ მატჩის მოგება პრესტიჟის საქმე იყო - მასპინძლები თამაშობდნენ ახალ სტადიონზე, რომელიც ოფიციალურად სწორედ ამ მატჩით გაიხსნა და, ამას გარდა, მეათე ჯგუფის ლიდერებიც იყვნენ.

თავსხმა წვიმის მიუხედავად, ჟენევის სტადიონი გადაჭედილი იყო. თავიდან თითქოს ყველაფერი კარგად მიდიოდა, ალექსანდერ ფრაიმ იტალიელებს გოლიც გაუტანა, მაგრამ ოთხ წუთში ჯერ ნიკოლა ლეგროტალიემ გაათანაბრა ანგარიში, შემდეგ კი კრისტიანო ძანეტიმ გამარჯვება მოუტანა თავის გუნდს. იტალიელმა ტიფოზებმა შთამბეჭდავი ტალღით აღნიშნეს მასპინძელთა დამარცხება, შვეიცარიელ ფანებს კი ტალღების გაკეთების სურვილი ნაკლებად ჰქონდათ, მაგრამ სტუმართა ხალისიანი განწყობა ბოლოს მათაც გადაედოთ. ბოლოს და ბოლოს, რა მოხდა საგანგაშო? მართალია, "სკუადრა აძურამ" მეორე შემადგენლობით გაიმარჯვა, მაგრამ ვის მიაჩნდა შვეიცარიული "ნატი" ევროპულ გრანდად? ალბათ, არავის. ასე რომ, გამარჯვებული გერმანელებისგან განსხვავებით, დამარცხებულ შვეიცარიელებს ვიშვიში ნამდვილად არ დაუწყიათ, - როგორ თუ ტრაპატონის სათადარიგო ფეხბურთელებმა ჩვენსავე სტადიონზე მოგვიგესო. კიობი კუნის მოკრძალებული "ნატი" ისევ ჯგუფის ლიდერია და პორტუგალიაში მოხვედრის კარგი შანსიც აქვს, ვარსკვლავებით გაჭედილი იტალიის ნაკრები კი მეორე ადგილს ძლივს ინარჩუნებს და, შესაძლოა, ევროპის ჩემპიონატზე ვერც გაემგზავროს...

ისტორიული ფოტო

## ეს იყო 14 წლის წინათ...



1989 წლის 14 ივნისი, მილანი, იტალია.
იტალიის ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტი
ლუჩიანო ნიცოლა და ფრანკო ბარეზი
იტალიის სუპერ-თასით ხელში.

# შუშაკის სამწვრთნელო-პატრიოტული რეცეპტი

მიხეილ აბაიშვილი

სულ 90 წუთში ივო შუშაკმა ისეთი პოპულარობა მოიპოვა საქართველოში, დარწმუნებული ვარ, ხვალ რომ საპრეზიდენტო არჩევნები გაიმართოს და შუშაკმა კენჭი იყაროს, გამარჯვების ერთ-ერთი სერიოზული პრეტენდენტი იქნება. ამ უცხო ტომის კაცმა მარტო საქართველოს ნაკრების ფეხბურთელებში კი არა, მთელ ქართველობაში გამოაღვიძა ეროვნული თვითშეგნება. თანაც, ეს გააკეთა არა დროშების ფრიალით, არა მფრინავ იელოველებთან და კორუფციასთან წარმატებული ბრძოლით, არა მოწოდებებითა და ლოზუნგებით, არამედ საქმით, რომლის ნამდვილი პროფესიონალიცაა და რისი კეთებაც არ ეზარება. საქართველოს ფეხბურთის ფედერაციამ, ალბათ, ტვინი აღარ უნდა იჭყლიტოს, თუ ვინ დანიშნოს ეროვნული ნაკრების მთავარი მწვრთნელის პოსტზე ხანგრძლივი ვადით, უფრო ზუსტად, სამი წლით (2006 წლის მსოფლიო ჩემპიონატის შესარჩევი ტურნირის დამთავრებამდე). თუმცა, ეს ცალკე საუბრის თემაა და ამ საკითხთან დაკავშირებით "24 საათის" პოზიციას სულ მალე შემოგთავაზებთ. ახლა კი ვაქვეყნებთ შუშაკის პრესკონფერენციის ანგარიშს, რომელიც ექსპრომტად, წინასწარ დაუგეგმავად, გუშინ გაიმართა "დინამოს" დილმის საწვრთნელ ბაზაზე.

"გუშინდელ წარმატებას რამდენიმე მიზეზი ჰქონდა. ბედნიერი ვარ, რომ ძალიან მცირე დროის მიუხედავად (სულ სამი დღე გვქონდა ფეხბურთელებთან სამუშაოდ), მოვასწარით მათში პატრიოტიზმის გაღვიძება. გუნდში შეიქმნა ძალიან კარგი ატმოსფერო. ამ შეკრებამ ბიჭები ერთ მუშტად შეკრა და საბრძოლველად, უფრო ზუსტად, მოსაგებად განაწყო. ასეთი ატმოსფეროს წყალობით, ფეხბურთელებმა თავისი საუკეთესო თვისებები გამოავლინეს. გამარჯვებაში დიდი წვლილი შეიტანა გულშემატკივარმა, რომელმაც ნამდვილად შეასრულა მე-12 ფეხბურთელის როლი. ამ ფაქტორების თანხვედრამ გამოიწვია ის, რომ ჩემი ფეხბურთელები ფანატიკურად განეწყვნენ და 90 წუთის განმავლობაში თავდაუზოგავად იბრძოლეს", - აი, ასეთია შუშაკისეული გამარჯვების რეცეპტი.

თუმცა, თუ კარგი კულინარი არ ხარ, რეცეპტების ყველაზე კარგი წიგნიც ვერ გიშველის, რაც საქართველოს ნაკრების გულშემატკივარმა 11 წლის განმავლობაში საკუთარ ნერვებზე მწარედ გამოსცადა.



ივო შუშაკი

"ბიჭებთან დიდხანს არ მისაუბრია. არც ლექციები წამიკითხავს პატრიოტიზმის თემაზე. მათ ვარჯიშების დროს იგრძნეს საქმისადმი ჩემი სერიოზული დამოკიდებულება, რაც ნდობის მოპოვებაში დამეხმარა. ფეხბურთელების მხრიდან ადეკვატური რეაქცია მივიღე – მათ მხარი ამიბეს, ბოლომდე გამომყვნენ და ჩემს ყველა ჩანაფიქრს ხორცი შეასხეს. რაც მთავარია, ყველა ფეხბურთელი დაიმუხტა ამ განწყობით. მათ არა მხოლოდ წაგების უფლება აღარ ჰქონდათ, არამედ ეს აღარც შეეძლოთ. საქართველოს ნაკრების ეს გამარჯვება მთლიანად ქართულ სპორტში, ხოლო სპორტიდან ცხოვრების ყველა სფეროში უნდა გადავიდეს და ქართველებს გამარჯვების ფსიქოლოგია შეუქმნას", - მიაჩნია შუშაკს, რომელიც, იმის გარდა, რომ ბრწყინვალე მწვრთნელია, შესანიშნავი ფსიქოლოგიც აღმოჩნდა, რაც ამ პროფესიის ადამიანისთვის უმთავრესი ღირსებაა.

საუბარი იმაზე, რომ ივო შუშაკს ასეთი დიდი სიხარული ჯერ არ უგემია, სასაცილო იქნება. იგი გამოცდილი და წარმატებული მწვრთნელია. ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, შუშაკი თავის მშობლიურ ხორვატიის ნაკრებთან ერთად მსოფლიო ჩემპიონატის ბრინჯაოს პრიზიორი გახდა.

"რა თქმა უნდა, ასეთი გრძნობა განცდილი მაქვს. მე ჩემი ერის პატრიოტი ვარ და ვიცი, რას ნიშნავს ის დიდი სიხარული, რომელიც ჩემს ხალხს 1998 წელს საფრანგეთში ხორვატიის ნაკრების მიერ მოპოვებულმა ბრინჯაოს მედლებმა მოუტანა. გუშინ დავინახე, რომ ქართველმა ფეხბურთელებმაც იგრძნეს, თუ რა დიდი სიხარული მიანიჭეს საკუთარ ხალხს. ეს გრძნობა მათ არც მომავალში მისცემს მოსვენებას და უფრო მეტი თავგანწირვისკენ, მეტი წარმატებებისკენ უბიძგებს. მთავარია, ეს ერთხელ შეიგრძნო", - პატრიოტიზმით "დაავადებულებად" მოიხსენია ხორვატმა მწვრთნელმა თავისი ფეხბურთელები.

მატჩამდე ერთი უსიამოვნო რამ მოხდა: კონფლიქტურ ვითარებაში შეკრება დატოვა შოთა არველაძემ. ამასთან დაკავშირებით შუშაკმა განაცხადა: "ჯობს, თავად შოთას ჰკითხოთ, თუ რა მოხდა. ჩვეულების თანახმად, თამაშის დღეს, დილით, ბაზაზე გამოვაკარი იმ თერთმეტი ფეხბურთელის სია, რომლებსაც ძირითად შემადგენლობაში დავაყენებდი. ამ სიაში არ იყო არველაძე, თუმცა, მე დიდ იმედს ვამყარებდი მასზე და მეორე ტაიმში შეყვანით ჩემი გუნდის თამაშის გაძლიერებას ვგეგმავდი. მან წაიკითხა ეს სია, ჩემოდანი ჩაალაგა და ბაზიდან წავიდა. მხოლოდ ერთ მაგალითს მოვიყვან: მარიო სტანიჩი ერთ-ერთი ყველაზე პოპულარული და ტიტულოვანი ხორვატი ფეხბურთელია. ის თამაშობს "ჩელსიში", რომელიც ინგლისის პრემიერლიგაში ყოველთვის ჩემპიონობისთვის იბრძვის. სტანიჩი 1998 წლის ფორმაციის ხორვატიის ნაკრების წამყვანი ფიგურა იყო. მან ითამაშა ევროპის 2000 წლის ჩემპიონატის ფინალურ ტურნირშიც. სტანიჩს ნაკრებში 60-მდე თამაში აქვს ჩატარებული. თუმცა, ბელგიასთან ოფიციალურ მატჩში იგი მწვრთნელმა ძირითად შემადგენლობაში არ შეიყვანა და მხოლოდ მაშინ შეუშვა მოედანზე, როდესაც მატჩის დამთავრებამდე 10 წუთი რჩებოდა, ხორვატია კი 4:0-ს იგებდა. ვეტერანი სტანიჩი ისეთი ენთუზიაზმით ჩაერთო თამაშში, იფიქრებდით, ეს მისი სანაკრებო დებიუტიაო.

ადრეც ვთქვი და ახლაც გავიმეორებ: გამოძახება არ ნიშნავს ადგილს ძირითად შემადგენლობაში. ეს ადგილი არავის არა აქვს პრივატიზებული", - კატეგორიული, მაგრამ აბსოლუტურად სწორი პოზიცია დაიკავა შუშაკმა.

მწვრთნელმა მომავალზე საუბრისაგან თავი შეიკავა. შეკითხვას, დათანხმდება თუ არა იგი ნაკრებში ხანგრძლივი ვადით მუშაობაზე, შუშაკმა არ უპასუხა. მისი თქმით, ეს სერიოზული საკითხია და მასზე პასუხის გასაცემად დრო და დაფიქრება სჭირდება.

გუშინ რიყეზე "არტ-იმედის" კონცერტი გაიმართა, სადაც საქართველოს ნაკრებს ბადრი პატარკაციშვილის მიერ დაპირებული 100 000 ლარი გადაეცა.

# „როგორ ვაკოცე პირველად კლაუდიას"

ნინო პირველი

8 მაისს გერმანულენოვან ქვეყნებში წიგნის მაღაზიათა თაროებს ერთი ახალი ნაშრომი შეემატება. მკითხველთა წინაშე წარდგება შტეფან ეფენბერგის ავტობიოგრაფიული წიგნი სათაურით "მე ეს ყველას ვაჩვენე". 8 მაისამდე ჯერ კიდევ ერთი კვირაა, მაგრამ გერმანიაში უკვე ყველას აქვს ეფენბერგის ლიტერატურული ნიჭის შეფასების საშუალება - ცნობილმა ბულვარულმა გაზეთმა "ბილდმა" 29 აპრილს დაიწყო "ბაიერნის" ექს-კაპიტნის სკანდალურად გახმაურებული მემუარების ბეჭდვა.

"ბილდმა" ჩვეულ სტილს არ უღალატა და მკითხველს პირველად ეფენბერგის სასიყვარულო თავგადასავლები წარუდგინა გასაცნობად. რა თქმა უნდა, "ეფეს" თავისი ბიოგრაფია პირდაპირ კლაუდია შტრუნცთან ურთიერთობით არ დაუწყია. ეს ამბავი ხომ მხოლოდ ერთი წლის წინ მოხდა, მანამდე კი "ბაიერნის" ექსცენტრული კაპიტანი არაერთ სკანდალში იყო გახვეული, მაგრამ "ბილდის" ხელმძღვანელობამ მიიჩნია, რომ გერმანული საზოგადოებისთვის ყველაზე საინტერესო სწორედ კლაუდია შტრუნცთან ურთიერთობის დეტალები იქნებოდა და, ალბათ, არც შემცდარა. მართლაც, ვის არ აინტერესებს, რა მოხდა სინამდვილეში ეფენბერგებსა და შტრუნცებს შორის? მაშ ასე, დავიწყოთ:

### თავი პირველი: "ყველაფერი ასე დაიწყო"

2002 წლის გაზაფხულზე კლაუდია შტრუნცი, რომელიც ფოტომოდელად მუშაობდა, სამსახურის საქმეებზე მიუნხენში ჩავიდა და, რაკი მარტო ყოფნა ეზარებოდა, ქმრის მეგობარ შტეფან ეფენბერგს დაურეკა, ხომ არ შემხვდებოდიო. მარტინა და ბავშვები ამერიკაში იყვნენ, ეფენბერგიც მოწყენილი იყო და შეხვედრაზე უარი არ უთქვამს. კლაუდია "ეფეს" თავის მეგობრად თვლიდა, ფეხბურთელისთვის კი ეს მომხიბვლელი ქალბატონი თავისი ექს-კოლეგის მეუღლე იყო და თითქოს არავითარი საფუძველი არ არსებობდა იმისთვის, რომ მათ ერთმანეთი შეჰყვარებოდათ, მაგრამ მიუნხენის შეხვედრამ ყველაფერი შეცვალა.

"მას თომას შტრუნცთან უკვე პრობლემები ჰქონდა. ჩემი და მარტინას ურთიერთობაც გაბზარული იყო. მარტინას ამერიკაში სატრფოც კი ჰყავდა. მაშინ ჯერ არ ვიცოდი, რამდენად სერიოზული იყო მისთვის ეს გატაცება", - წერს "ეფე".

კლაუდია და შტეფანი ერთად წავიდნენ სავახშმოდ, მაგრამ არა რესტორანში, არამედ კლაუდიას სასტუმრო "არაბელა შერატონის" ნომერში. "ჩვენ ლოგინზე ვისხედით, ვლაპარაკობდით, ვიცინოდით, სუშის მივირთმევდით. ტელევიზორში ხავიერ ნაიდო მღეროდა რომანტიკულ სიმღერას "საით გინდა წასვლა"? ეს კითხვა ჩვენთვისაც ძალიან აქტუალური იყო. ჩვენ სულ უფრო და უფრო კარგად ვგრძნობდით თავს ერთად, თუმცა, ამის თქმას ჯერ ვერც ერთი ვერ ბედავდა", - იხსენებს "ეფე" კლაუდიასთან განმარტოების პირველ წუთებს.



შტეფან ეფენბერგი

მერე ყველაფერი თავისით მოხდა. "მე კლაუდიას პირველად ვაკოცე. ეს საოცარი, არაჩვეულებრივი კოცნა იყო. როცა კლაუდია აეროპორტში მივაცილე, უკვე ვიცოდი, რომ იმ დღიდან სერიოზული პრობლემა მქონდა: მე შეყვარებული ვიყავი", - ასე ამთავრებს ამ ქვეთავს "ეფე".

### თავი მეორე: "როგორ გაიგო ყველაფერი თომას შტრუნცმა"

"6 აპრილს, ბრემენის "ვერდერთან" მატჩის შემდეგ, დიუსელდორფში გავფრინდი, რათა კლაუდიას შევხვედროდი. უკვე ცხადი იყო, რომ ჩვენი ურთიერთობა სცილდებოდა ჩვეულებრივი გატაცების ფარგლებს. სასტუმროს ოთახში ჩავიკეტეთ და მთელი დღე და ღამე ერთად გავატარეთ. მეორე დღეს ადრიანად გავფრინდი მიუნხენში, რადგან 10 საათზე ვარჯიში გვქონდა. მთელი გზა კლაუდიაზე ვფიქრობდი. მიუნხენში ჩასულმა, შეტყობინება გავუგზავნე: "არაჩვეულებრივი ღამე იყო. თვითმფრინავში სულ იმ რეკლამას ვუყურებდი, სადაც შენი სახე იყო გამოსახული. მეგონა, ჩემთან იყავი." შეგახსენებთ, რომ კლაუდია ფოტომოდელი გახლდათ და მიუნხენის აეროპორტისთვისაც ხშირად იღებდნენ რეკლამებში. ნაშუადღევს, როცა ტელეფონი ჩავრთე, კლაუდიას მესიჯი ვნახე: "ძალიან გთხოვ, დამირეკე. ყველაფერი გამოაშკარავდა." ამ ცნობამ შოკში ჩამაგდო. მაშინვე უახლოეს ბენზინგასამართ სადგურს მივაშურე და არაყი ვიყიდე. ვგრძნობდი, რომ უსიამოვნება არ ამცდებოდა", - აღიარებს თავის სისუსტეს ეფენბერგი.

თომას შტრუნცს კლაუდიას საქციელში ეჭვი მაშინ შეეპარა, როცა ის განთიადისას დაბრუნდა შინ - სრულიად ფხიზელი და მხიარული. არც დაღლილობა ეტყობოდა და არც სიგარეტის სუნი ჰქონდა, თუმცა, მეუღლისთვის ნათქვამი ჰქონდა, რომ მეგობრის წვეულებაზე აპირებდა ღამის გატარებას. მაგრამ წვეულება, რომელზეც არავინ ეწეოდა და სვამდა?.. შტრუნცი ეჭვებმა შეიპყრო და შეამოწმა კლაუდიას მობილური, სადაც ეფენბერგის შეტყობინება იპოვა.

"კინაღამ გაგიჟდა. კლაუდიას უშვერი სიტყვებით ლანძღავდა და ხმამაღლა ღრიალებდა. სამზარეულოში შევიდა და ყველაფერი მილეწ-მოლეწა. რა თქმა უნდა, მეც მაგინებდა. არარაობას მიწოდებდა და ვერ გაეგო, რაღა მაინცდამაინც მე გადამეყარა კლაუდია. როცა კლაუდიამ დამირეკა და ყველაფერი მიამბო, ვანუგეშე, რომ მარტო არ დავტოვებდი. შემდეგ სახლში წავედი და აბაზანა მივიღე. სწორედ ამ დროს ტელეფონმა დარეკა. შტრუნცი იყო. "შე ღორო, რატომ "დამაწერე" ცოლი", - გადარეულივით ღრიალებდა. არაფერი მითქვამს, ვაცალე, ბოლომდე მოეოხებინა გული. რაც უნდა საოცარი იყოს, მისი შესანიშნავად მესმოდა."

ეფენბერგის მტკიცებით, არც შტრუნცი იყო უცოდველი, საყვარელი მასაც ჰყავდა და კლაუდია, ადრე თუ გვიან, მისგან მაინც წავიდოდა. "ეფესთან" ურთიერთობამ შტრუნცების ოჯახის რღვევა, უბრალოდ, დააჩქარა.

### თავი მესამე: "კლაუდიას გადაწყვეტილება"

როცა ყველაფერმა ჩაიარა, კლაუდიამ ეფენბერგს უთხრა, რომ უმჯობესი იყო, რამდენიმე დღე აღარ ენახათ ერთმანეთი, რათა ცივი გონებით შეძლებოდათ გადაწყვეტილების მიღება. ბოლოს და ბოლოს, მათ ხელში ხომ ხუთი ბავშვის მომავალი იყო - ეფენბერგს სამი შვილი ჰყავდა, კლაუდიას კი - ორი პატარა. კლაუდიას არავინ ურჩევდა "ეფესთან" ერთად ცხოვრებას. "ბაიერნის" კაპიტანს მეტისმეტად ცუდი იმიჯი ჰქონდა. მას პატივმოყვარე, ზერელე იდიოტს უწოდებდნენ და კლაუდიას ოჯახის გადარჩენას უქადაგებდნენ. მაგრამ ფრაუ შტრუნცმა სხვანაირად გადაწყვიტა.

"სამი დღის შემდეგ მან დამირეკა და შეხვედრა მთხოვა. ბევრი არ გვილაპარაკია, უბრალოდ, ვაკოცეთ ერთმანეთს. ორივეს გვახსოვდა, რომ უდიდესი პასუხისმგებლობა გვაწვა ჩვენი შვილების წინაშე. ამის მიუხედავად, დარწმუნებული ვიყავით, რომ სწორი გადაწყვეტილება მივიღეთ. გვინდოდა, სიცოცხლე ისევ მშვენიერი გამხდარიყო, ყველა დღე მშვენიერი ყოფილიყო ჩვენთვის".

რაკი კლაუდია მისგან წავიდა, თომას შტრუნცი ცდილობდა, ყოფილი ცოლისთვის, რაც შეიძლება, მეტი ტკივილი მიეყენებინა. არ აძლევდა ფულს, აღარ იხდიდა საბავშვო ბაღის გადასახადს, კლაუდიას ბავშვები ბაღში ველარ მიჰყავდა. შტრუნცმა საკრედიტო ბარათი დაუხია. ეფენბერგი იძულებული გახდა, მისთვის ბანკში ანგარიში გაეხსნა. კლაუდია დიდად მადლობელი იყო "ეფესი". ერთხელ ინტერვიუშიც თქვა, შტეფან ეფენბერგი რომ არა, მე და ჩემი შვილები ქუჩაში დავრჩებოდითო...

კლაუდიას და ეფენბერგის ურთიერთობა მყარი გამოდგა. ისინი ბავშვებივით იქცეოდნენ. ეფენბერგმა გმირულად გაუძლო უსაშინელეს ტკივილს - მარცხენა მკლავზე კლაუდიას ინიციალი "C" და საკუთარი სახელი "EFFE" ამოისვირინგა. კლაუდიამაც მიბაძა სატრფოს და თავისი და ეფენბერგის სახელების პირველი ასოები, ასევე ციფრი 51 გაიკეთა სვირინგად. 51 იმიტომ, რომ ეს ორივესთვის ბედნიერი ციფრია - მათ სურთ, 51 წელიწადს ერთად იცხოვრონ.

ის, თუ როგორ გაშორდა "ეფე" მარტინას და აპირებს თუ არა კლაუდიასთან დაქორწინებას, "ბილდის" შემდეგ ნომერში იქნება...

# “ЗА ДЕРЖАВУ ОБИДНО...”

## რუსი გულშემატკივრები გაზაევის გადადგომას მოითხოვენ


ვალერი გაზაევი

რუსული ვებ-გვერდების სპეციალურ ფორუმებზე საქართველო-რუსეთის გუშინწინდელ მატჩს განიხილავენ. ინტერნეტის მოყვარულებს შორის საფეხბურთო ბატალიების ასეთ ფორუმებში გარჩევა კარგა ხნის წინათ დანერგილი ტრადიციაა. ასე იყო 12 ოქტომბრის ჩაშლილი მატჩის წინ და მას შემდეგ. იგივე ხდება ახლაც. ვისაც ინტერნეტში შესვლის საშუალება გაქვთ, აუცილებლად დაათვალიერეთ რუსული ვებ-გვერდების ეს ფორუმები. გპირდებით: დიდ სიამოვნებას მიიღებთ.

რეპორტაჟი რუსული ინტერნეტიდან ჩვენ საქართველო-რუსეთის პირველი მატჩის შემდეგაც შემოგთავაზეთ. ზოგიერთი რუსი გულშემატკივარი მაშინ შუქის განგებ ჩაქრობაშიც კი გვადანაშაულებდა. იყო ლანძღვა-გინებაც. რუსი “ინტერნეტ-გულშემატკივრები” თითქმის იმასვე ამბობდნენ, რასაც გაზაევი და სხვა ოფიციალური პირები, თუმცა, გამოხატვის ფორმა, ცხადია, განსხვავებული იყო.

12 ოქტომბრის შემდეგ ბევრი რამ შეიცვალა. საქართველო და რუსეთი ხელმეორედ შეხვდნენ ერთმანეთს. შუქი აღარ ჩამქრალა, თავად მატჩი კი ქართველების გამარჯვებით დასრულდა. რუსი გულშემატკივრების უმრავლესობა უწინდელივით “ხაჩიკებად” და “მაიმუნებად” მოგვიხსენიებს. პირველი მატჩისგან განსხვავებით, ჩვენ ახლა “გამარჯვებული ხაჩიკები” ვართ...

გთავაზობთ ციტატებს, რომლებიც რუსი გულშემატკივრების მიერ გუშინწინდელი მატჩის შემდეგ სხვადასხვა ინტერნეტ-ფორუმში გამოთქმული აზრებიდან ამოვიღეთ. წესით, უნდა დაგაინტერესოთ.

- “ღმერთო, რამდენი ხაჩიკა გამოვიდა ღამით ქუჩებში. მახინჯებს ბედნიერება ეწვიათ... მათ მოუგეს თავიანთ ბატონებს, რომლებსაც ვერ იტანდნენ. მაგრამ, გახსოვდეთ, რომ ეს რუსული ფეხბურთის ჩავარდნაა, თქვენთვის კი საკუთარ თავზე მაღლა ახტომა, თქვენი შესაძლებლობების მაქსიმუმი. მიდით, ალეკოებო, გიორგებო და სხვებო, გაიხარეთ. მაგრამ, ამავდროულად, იმაზეც იფიქრეთ, თუ რა გელით მოსკოვში ჩვენს ჰიმნზე სტვენისა და ჩვენი ფეხბურთელების ჩაქოლვის გამო. ჯობს, საერთოდ არ ჩამოხვიდეთ!”

- “როგორ გავაკეთოთ, რომ მოსკოვში საქართველოს ჰიმნს არავინ დაუსტვინოს და პატივი ვცეთ სტუმრებს. მერე ხომ ყველასთვის ნათელი გახდება, თუ ვინ როდის ჩამოვიდა ხეებიდან”.

- “საქართველოს გულშემატკივრებო! როგორც ზრდასრულ, საღი გონების ადამიანებს, მინდა, რომ მოგილოცოთ, გამარჯვება ყოველთვის სასიამოვნოა, მაგრამ... მაგრამ თქვენთვის მილოცვის უფლებას ვერაფრით ვაძლევ ჩემს თავს... თქვენ უსტვენდით, როდესაც რუსეთის ჰიმნი გაისმოდა. კიდევ ერთხელ მინდა შეგახსენოთ, რომ საბჭოთა კავშირი აღარ არსებობს, ხოლო თქვენს სტადიონზე რუსეთის ჰიმნი ჟღერდა...”

- “დარწმუნებული ვარ, ჩვენს გუნდს ფსიქოლოგიური თვალსაზრისით საქმეები ვერა აქვს მთლად კარგად! მინდა, დავიჯერო: ეს იმის ბრალი არ არის, რომ ჩვენი ჰიმნის დროს ხალხი უსტვენდა. პირიქით, ჩვენი ფეხბურთელებისგან მე გაბრაზებას ველოდი!!! ნამდვილ სპორტულ გაბრაზებას!!! გამარჯვება – სწორედ ეს არის საკადრისი პასუხი რუსეთის დამცირების მცდელობაზე.”

- “ვულოცავ ქართველებს! გაზაევი დეგენერატია. საერთოდ, გაეგება მას ფეხბურთი?! ვის რაში სჭირდებოდა ტიტოვი, რომელიც ყველაფერს ამუხრუჭებდა... წავიდეს აქედან სემაკი, რომელსაც არაფერი გამოსდიოდა... ვის რაში სჭირდება სიჩოვის 10 წუთით გამოყვანა, მეორე ტაიმის დასაწყისში მაინც გამოეშვა მოედანზე?! კერჟაკოვი კიდევ რაღაცას აკეთებდა... თუმცა... რას ვერჩი ბიჭებს... დამნაშავე ყოველთვის მწვრთნელია – წავიდეს გაზაევი! ალბანეთისა და საქართველოს მაგალითმა ვერ დაანახა კოლოსკოვს უცხოელი მწვრთნელების უპირატესობა?”

- “სამწუხაროა, მაგრამ ქართველები ხომ უცხოები არ არიან”.

- “სირცხვილი!!! თხებო!!! დებილებო!!! უნიჭოებო!!! უნიათოებო!!! შეუძლებელია, ჩვენს ნაკრებზე რაიმე კარგი თქვა. რამდენიმე ფეხბურთელს თითქოს ჯერ კიდევ არა უშავს, მაგრამ გუნდი არაფრად ვარგა. მაგრამ, შეგვიძლია კი უკეთ თამაში? რატომ წავაგეთ? და, საერთოდ, მოვიგებდით კი ასეთი თამაშით ცარიელი ტრიბუნების წინაშე? არა მგონია, რომ საქმე გასვლით მატჩებში თამაშის არცოდნაშია. მგონი, ჩვენ, უბრალოდ, არ გვყავს კარგი ფეხბურთელები. დროა, აზიაში გადავინაცვლოთ. მართალია, იქაური დონე უფრო დაბალია, მაგრამ არა აქვს მნიშვნელობა. არა უშავს, რომ ჩემპიონთა ლიგაზე აღარ ვითამაშებთ. გვეყო ეს სირცხვილი. ასე თამაში არ შეიძლება”.

- “ამ მარცხის შემდეგ ჩვენ უფრო მეტს გვაკრიტიკებენ, ვიდრე ალბანეთთან მატჩის შემდეგ. თუმცა, ქართველები ალბანელებზე უკეთ თამაშობენ ფეხბურთს”.

- “ვესტ ჰემის” მწვრთნელი პრესკონფერენციაზე ინფარქტგადატანილი მივიდა. ჩვენი ულვაშებიანი ტარაკანი კი თბილისში პრესკონფერენციაზე არ მივიდა, ისევე როგორც მოსკოვში, ოქროს მატჩის შემდეგ. სხვათა შორის, ეგ “ჩმორი” დღემდე ფიქრობს, რომ რუსეთის ჩემპიონი “ცსკა” გახდა. არადა, საახალწლო გადაცემებში ნამდვილ გმირად მოგვევლინა. ეს ამაზრზენია, საზიზღრობაა, ეს აუტანელია!”

- “არ დაფიქრებულხართ, რატომ წავიდა კოლოსკოვი თბილისში? რუსეთის ნაკრების საქომაგოდ? ფეხბურთელების თანადგომისთვის? – მაყუთისთვის წავიდა, დიდი მაყუთის ასაღებად. რუსულ ფეხბურთზე ხომ ისიც ზრუნავს თავისებურად, სადმე ხომ უნდა იშოვოს ფული. როგორც ჩანს, თბილისში მას ეს ფული მისცეს. მანაც აიღო. ნაწილი თვითონ ჩაიჯიბა, ნაწილიც ულვაშას მისცა. ფეხბურთელებს? – არა მგონია”.

- “საინტერესოა, ეყოფა ულვაშას კაცობა, აღიაროს, რომ ეს მატჩი ჩააფლავა და ყველაფერი მსაჯობას არ დააბრალოს? ვულოცავ ქართველებს! იმედი მაქვს, შემდეგ შეხვედრებშიც ასეთივე მონდომებით ითამაშებენ”.

- “თქვენ წინ გაქვთ მოსკოვი, სადაც ისეთივე “თბილი” დახვედრა გელით, როგორითაც ჩვენს ნაკრებს დახვდით. და, საერთოდ, ხომ არ გეჩვენებათ, რომ მოილაპარაკეს?”

- “За Державу обидно...”

- “მიუხედავად იმისა, რომ რუსეთს ვქომაგობდი... ვულოცავ ყველა ქართველ გულშემატკივარს!!! დღეს თქვენი ზეიმია!”

ჭიდაობა

# თავისუფალი ევროპა

ბიბა ბურასაშვილი

*შარშან ბაქოში, თავისუფალი სტილით მოჭიდავეთა ევროპის 45-ე ჩემპიონატზე, ელდარ კურტანიძემ, დავით ოთიაშვილმა და რევაზ მინდორაშვილმა ორი ვერცხლისა და ერთი ბრინჯაოს მედალი მოიპოვეს. ამჯერად ქართველი ფალავნები კონტინენტის უძლიერესის სახელისთვის ლატვიის დედაქალაქში იბრძვიან. ევროპის 46-ე ჩემპიონატმა (1-4 მაისი) გუშინ აიღო სტარტი.*

ლატვიის სპორტის ისტორიაში რიგას, უფრო სწორად, ქვეყნის ჭიდაობის ფედერაციას, პირველად ხვდა პატივი, თავისუფალი სტილით მოჭიდავე ქალ-ვაჟთა ევროპის ჩემპიონატს უმასპინძლოს. რიგას საქართველოს ვაჟთა ნაკრებიც ეწვია.

ქართველმა ფალავნებმა ჩემპიონატისთვის მზადების სამი ეტაპი გაიარეს. ბაკურიანის, ბორჯომისა და თბილისის საწვრთნელ შეკრებებამდე სტამბულის A კატეგორიის საერთაშორისო ტურნირზეც მოსინჯეს საკუთარი ძალები. ნაკრების პოტენციური კანდიდატების შესასწავლად და ბირთვის ჩამოსაყალიბებლად გუნდის მთავარმა მწვრთნელმა, ზაზა თურმანიძემ, საქართველოს ჩემპიონატს მიმართა. ერთი სიტყვით, თურმანიძეს საკმაო დრო ჰქონდა საკუთარ სამწყსოზე დასაკვირვებლად. ვინ როგორ გაამართლებს, ამასაც მალე შევიტყობთ, მით უმეტეს, რომ კონტინენტის უმთავრესმა ასპარეზობამ უკვე აიღო სტარტი.

საქართველოს ნაკრები რიგაში სრული შემადგენლობით გაემგზავრა: ბესარიონ გუჩაშვილი (55კგ), დავით პოლოსიანი (60კგ), ოთარ თუშიშვილი (66კგ), გელა საღირაშვილი (74კგ), რევაზ მინდორაშვილი (84კგ), ელდარ კურტანიძე (96კგ) და ლექსო მოდებაძე (მძიმე წონა).

მართალია, კურტანიძე საქართველოს ჩემპიონატზე არ გამოსულა (მაშინ, მწვრთნელთა საბჭოს გადაწყვეტილებით, კურტანიძეს დასვენების საშუალება მისცეს. - რედ.), მაგრამ მსოფლიო ჩემპიონს, ევროპის ოთხგზის გამარჯვებულსა და ვერცხლის პრიზიორს, მთავარ შეჯიბრებებს მიღმა ვინ დატოვებდა, მით უმეტეს, რომ მედლის მოპოვების ერთ-ერთი რეალური კანდიდატია.

რაც შეეხება თავად შეჯიბრებას, ორთაბრძოლებს საერთაშორისო საგამოფენო ცენტრი მასპინძლობს. რიგის ევროპის ჩემპიონატი იმითაც არის საინტერესო, რომ იგი განსხვავებული ფორმატით ტარდება. თუ აქამდე შეჯიბრებები ორ დღეში მთავრდებოდა, ახლა ორგანიზატორებმა იგი ოთხ დღემდე გაწელეს. გუშინ ასპარეზობებში ჩაერთვნენ 55, 66, 84 და მძიმე წონითი კატეგორიის ფალავნები. გუშინ დაწყებული საკვალიფიკაციო ორთაბრძოლები დღეს დასრულდება. მცირე შესვენების შემდეგ კი მეოთხედფინალური ასპარეზობების ჯერიც დადგება. დღესვე გავლენ ხალიჩაზე დანარჩენი სამი (60, 74 და 96) წონითი კატეგორიის მოჭიდავეები.

ხსოვნა

# დიდების მუზეუმში დიდებას იხსენებენ

რას დავაბრალოთ, არ ვიცით, მაგრამ, რატომღაც, ჩვენში ბევრმა არაფერი იცის სპორტის სასახლეში არსებულ სპორტული დიდების მუზეუმის შესახებ. არადა, რას არ ნახავთ ამ მუზეუმში: 1677 წელს გამოცემულ იტალიელი სალვატორე ფაბრის წიგნს „ტრაქტატი იარაღის ხმარების მეცნიერებასა და ტექნიკაზე“, თბილისის „დინამოს“ ფეხბურთელთა მიერ მოპოვებულ „კარაველას“, ნინო დუმბაძის ბადროს, რომლითაც მან ერთ-ერთი რეკორდი დაამყარა, ქეთევან ლოსაბერიძის ისარს, ირინა გაბაშვილის ბურთს, უამრავი სპორტსმენის მიერ მოპოვებულ მედლებს... ერთი სიტყვით, თუ გსურთ, ქართული სპორტისა და სპორტსმენთა შესახებ რაიმე გაიგოთ, ამ მუზეუმს უნდა მიაკითხოთ.

ჰყავდა კიდეც დამთვალიერებლები მუზეუმს, ოღონდ ადრე უფრო მრავლად. სტუმართა შორის იყვნენ სოკის ყოფილი პრეზიდენტი ხუან ანტონიო სამარანჩი, ფიფა-ს ყოფილი პრეზიდენტი ჟოაო აველანჟი, ინგლისელი პარლამენტარები და მრავალი სხვა.

მუზეუმს ერთი კარგი ტრადიცია აქვს: გარდაცვლილ სპორტსმენთა მოსაგონრად ხსოვნის დღეს აღნიშნავს ხოლმე. ამ ტრადიციას კარგა ხნის წინათ ჩაეყარა საფუძველი და, ზუსტად ვერ გეტყვით, რიგით რომელი, მაგრამ მორიგი ასეთი დღე გუშინ გაიმართა.



ვის არ ნახავდით გუშინ მუზეუმში: დიდი მიხეილ მესხის, გივი ჩოხელის, ომარ ფხაკაძის მეუღლეებს, სერგო შალიბაშვილის დედას, ვლადიმერ რუბაშვილის ცოლ-შვილს, ავთო ქორიძის, სანდრო კანდელაკის შვილებს, მზია ჯუღელს, გურამ საღარაძეს, დავით გობეჯიშვილს, ნელი სალაძეს, სულიკო კორომშინაძეს, რაფაელ ჩიმიშკიანს, ქვეყნისა და ქალაქის სპორტკომიტეტის მუშაკებს და სხვებს. მუზეუმში შეკრებილებმა გაიხსენეს წარსული დღეები და ის სპორტსმენები, რომლებიც ამქვეყნად აღარ არიან.

„ეს არის იმ ხალხის დღე, ვინც გვასახელა. ეს არის ჩვენი მეგობრების დღე, რომლებიც, სამწუხაროდ, ჩვენს გვერდით აღარ არიან. არ უნდა დავუშვათ, რომ ერმა მათი სახელები დაივიწყოს. ასეთი დღეები სწორედ ამიტომ ეწყობა“, - აღნიშნა რობერტ შავლაყაძემ. „ეს დიდებული ტრადიციაა და მინდა, მადლობა გადავუხადო ყველას, ვინც ეს ტრადიცია დაამკვიდრა. ჩვენი სახელოვანი სპორტსმენები დავიწყებას არ უნდა მიეცენ, მათი სახელები ერმა უნდა უკვდავყოს. მათ ხომ საქართველოს მსოფლიოში გაუთქვეს სახელი. ისინი რომ არა, ჩვენ არ ვიქნებოდით ისინი, რაც ვართ“, - განაცხადა გურამ საღარაძემ.

ტრადიციის დამკვიდრება მუზეუმის დირექტორის ლილი ლომსაძის დამსახურებაა. 1965 წელს დაარსებულ მუზეუმში ყველა ექსპონატი სწორედ მისი დამსახურებაა. „არც ერთი ნივთი არ მიყიდია, ყველა შემოწირულია. სამწუხაროა, რომ პირობები ხელს არ გვიწყობს. შარშან, მიწისძვრისას, კედლები დაიბზარა. საბედნიეროდ, არც ერთი ექსპონატი არ დაზიანებულა. არადა, ბევრია ისეთი, რომელიც აწ გარდაცვლილმა ევროპის, მსოფლიოსა თუ ოლიმპიურმა ჩემპიონებმა აჩუქეს მუზეუმს. თითოეული მათგანი სპორტის გულშემატკივრებისთვის რელიკვიაა, რომელიც მომავალ თაობებს უნდა შევუნახოთ“.

## წუთიერი დუმილი

მიხეილ როჩიკაშვილი

# საბედისწერო დიდი პრიზი



ცხრა წელიწადია, ფორმულა 1-ს აღარ ჰყავს ლეგენდა, სახელად აირტონ სენა. იმოლას ენცო და დინო ფერარის სახელობის ტრასაზე, იქ, სადაც დიდმა ბრაზილიელმა თავის კარიერაში ერთადერთხელ ვერ შეძლო კვალიფიკაციის გავლა, მერე კი რვაჯერ მოიგო პოული, საკუთარი სიკვდილი იპოვა. არადა, გული ცუდს ეუბნებოდა, რაც ირიბად თავის შეყვარებულს გაანდო...

1984 წლის 5 მაისი. იმოლა. სან მარინოს დიდი პრიზის კვალიფიკაციის შემდეგ სასტარტო რიგში ვერ მოხვდა ფორმულა 1-ის მსოფლიო ჩემპიონატის ახალბედა ბრაზილიელი აირტონ სენა, ადამიანი, რომელსაც სპეციალისტები ფანტასტიკურ მომავალს უწინასწარმეტყველებდნენ.

მიზეზი? სარბოლ უქმეებამდე გუნდის (ტოულმენი) მეპატრონემ ტედ ტოულმენმა და მისმა პარტნიორმა ალექს ჰოკრიჯმა ინებეს, რომ მათი პილოტები სტარტზე არ უნდა გასულიყვნენ. მეორე დღეს კი გადაწყვეტილება შეცვალეს. ამის მიზეზი ის იყო, რომ გუნდმა ურთიერთობა გაწყვიტა საბურავების იტალიელ მიმწოდებელ „პირელისთან“ და ერთ დღეში ფრანგულ „მიშლენთან“ გაჩარხა კონტრაქტი.

შაბათს, დილის სესიაზე, მისთვის სრულიად უცნობ ტრასაზე, სენამ სულ რვა წრის გავლა მოასწრო და წვიმაში მე-19 შედეგი აჩვენა, კვალიფიკაციაზე კი მისი „ტოულმენის“ (მომავალში „ბენეტონი“, დღეს კი „რენო“) ძრავას (ჰარტი) საწვავის მიწოდების სისტემა დაუზიანდა, რის გამოც ბრაზილიელმა 28-ე შედეგი აჩვენა და სასტარტო 26 ადგილს მიღმა დარჩა.

„რა თქმა უნდა, შედეგით გულდაწყვეტილი ვარ, მაგრამ მთავარი ისაა, რომ გუნდი სწორედ მოიქცა. ეგ არაფერი, მთელი სეზონი წინ გვაქვს, „მიშლენის“ რეზინი კი საუკეთესოა“, - ამბობდა კვალიფიკაციის შემდეგ სენა, რომელსაც სახეზე ნაძალადევი ღიმილი ეხატა, გულში კი სულ სხვა რამ უტრიალებდა. მისთვის ეს შედეგი არ იყო, მას რბოლა სწყუროდა. თანაც, სწრაფი და ტექნიკური ტრასა ძალიან მოეწონა. თითქოს ის სპეციალურად მისთვის იყო შექმნილი...

გავიდა ათი წელი. 1994 წლის 30 აპრილი. სენა უკვე სამგზის მსოფლიო ჩემპიონია და მეოთხე ტიტულისთვის იბრძვის. სეზონი მისთვის ნავსიანად დაიწყო - პირველ სამ ეტაპზე ერთი რბოლის დასრულებაც ვერ შეძლო. არადა, ეს მიხაელ შუმახერი ქულას ქულაზე აგროვებს და უკვე ასე შორსაც მოასწრო წასვლა.

არადა, სენას პირველი სამი კვალიფიკაცია მოეგო და ახლაც, იმოლაშიც იმარჯვა. ეს მის მიერ ამ ტრასაზე მოპოვებული მერვე (!) პოულია. ევროპაში დაბრუნებასთან და ამ პოულთან ერთად ჩემპიონატში გარდატეხის შეტანის იმედიც გამოჩნდა. მაგრამ მას ტრასაზე გასვლა არ უნდოდა...

კვირას სენას სულ სხვა აზრები უტრიალებდა თავში - ჯერ კიდევ პარასკევს მძიმე ავარიაში მოჰყვა მისი პროტეჟე და მეგობარი რუბენს ბარიკელო. აირტონი გვერდიდან არ მოშორებია, სანამ არ დარწმუნდა, რომ რუბინიოს სიცოცხლეს საფრთხე არ ემუქრებოდა. მეორე დღეს, კვალიფიკაციაზე, სასიკვდილოდ დაიმტვრა ავსტრიელი როლანდ რატცენბერგერი...

იმავე დღეს სენას პორტუგალიაში, თავის მეგობარ ქალთან, ადრიანა გალიშტეუსთვის დაურეკავს: „საშინელებაა - სენა ჯერ კიდევ ვერ გამორკვეულიყო შოკიდან. „რუბინიოს ავარია?“ - ეკითხება ადრიანა. „არა, რუბინიო გადარჩა. მე იმ ავსტრიელს ვგულისხმობ, სულ ახალგაზრდაა, თავის მეორე რბოლაში აპირებდა გამოსვლას... ვიცი, რომ ის ტრასაზევე მკვდარი იყო. არადა, ამბობენ, რომ ჰოსპიტლამდე იცოცხლა. ტყუილია, ის აქვე მკვდარი იყო... იცი, არ მინდა ხვალ რბოლაში გასვლა“...

მაგრამ თვითონაც კარგად იცოდა, რომ მეორე დილით, პირველ მაისს, ტრასაზე აუცილებლად გავიდოდა. სენა ერთ-ერთი იყო იმ სამ მოქმედ პილოტთაგან, ვინც 12 წლის წინ, „ცოლდერის“ ავტოდრომზე, საკუთარი თვალით იხილა ჟილ ვილნევის ტრაგიკული ავარია. სწორედ ვილნევის სახელობისა იყო ის მოსახვევი, რომელშიც რატცენბერგერი დაიღუპა...

ალბათ, უდიდესი თვითშთაგონება დასჭირდა სენას, რომ „უილიამსის“ ბოლიდში ჩამჯდარიყო და სტარტი მიეღო. სტარტი, რომლის მიცემიდან 17 წუთის შემდეგ, რბოლის მე-7 წრეზე, მოსახვევ „ტამბურელოში“, მისი სიცოცხლე შეწყდა.

გაშლილ მოსახვევში, სადაც ბოლიდების სიჩქარე 300 კმ/სთ-ს აჭარბებს, სენამ თავის „უილიამსზე“ კონტროლი დაკარგა და, მართალია, სიჩქარის 220 კმ/სთ-მდე ჩამოგდება მოასწრო, თითქმის ფრონტალურად დაეჯახა ბეტონის კედელს. დაკიდების სისტემის ერთ-ერთმა ელემენტმა პილოტის მუზარადის მინაში შეაღწია, თავის ქალა შეულეწა და საფეთქლის არტერია გაუწყვიტა. სენამ 4 ლიტრი სისხლი დაკარგა. ადგილზე წამში მისული მედპერსონალი ნახევარ საათს ცდილობდა, ჩემპიონის სიცოცხლე გადაერჩინა. მერე ის ვერტმფრენით გადაიყვანეს ბოლონიის ჰოსპიტალ „მაჯორეში“, სადაც რამდენიმე საათის შემდეგ ექიმებმა სიკვდილი დააფიქსირეს.


ტრაგედია „ტამბურელოში“

რეკლამა

# რისი ეშინოდათ ბერძნებს?

ცნობილია, რომ ძველი ბერძნები ცდილობდნენ საქმე არ ჰქონოდათ ისეთ ხალხთან, რომელიც სიზარმაცის ან სიძუნწის გამო საკუთარ ფრჩხილებს არ უვლიდნენ. ალბათ, მათში იმდენად იყო განვითარებული მშვენიერების აღქმის გრძნობა, რომ მოუვლელი ხელები გულის სიღრმემდე შეძრავდათ. იქნებ, ბერძნებს სოკოთი დაავადების ეშინოდათ?

თუ მიზეზი ესაა, მაშინ ისინი სავსებით სწორად იქცეოდნენ. სოკოვანი დაავადებები ძალიან გადამდებია. ამიტომაც, ვის სურს იქონიოს მოყვითალო-მოყავისფრო, დეფორმირებული, აქერცლილი ფრჩხილი? გარდა იმისა, რომ ასეთი ფრჩხილი არაესთეტიკურად გამოიყურება, იგი კიდევ მუქარაა თქვენი ორგანიზმისთვის. იგი იწვევს ალერგიას და ცდილობს ჯანმრთელი კანიც დააზიანოს, რასაც არცთუ წარუმატებლად ახორციელებს.

ძველი ბერძნებისაგან განსხვავებით, თანამედროვე ადამიანი იმდენად ფაქიზი და წესიერი არაა. ჩვენთვის ურიგო არ იქნებოდა უფრო ხშირად ყურადღება მიგვექცია ფეხისა და ხელის ფრჩხილის მდგომარეობაზე. მით უმეტეს ამჟამად, როდესაც გრძელი ზამთრის შემდეგ, მუდმივად დახურული ფეხსაცმელი გვეცვა სინესტესა და სიცივეში. ასეთი გარემო კი პათოგენური მიკრობების ზრდას აქტიურად უწყობს ხელს.

ყურადღებით დააკვირდით საკუთარ ფრჩხილებს და დარწმუნდით, რომ მცირე მინიშნებაც კი არ არსებობს სოკოვან დაავადებაზე. წინააღმდეგ შემთხვევაში, უარი უნდა თქვათ აუზში, საუნაში და სატრენაჟორო დარბაზში სიარულზე და აუცილებლად უნდა მიაკითხოთ ექიმს. დიახ, მხოლოდ ექიმ-მიკოლოგს და არა ახლომდებარე აფთიაქს, რომელიმე “სასწაულმოქმედი” ნელსაცხებლის ან ლაქის შესაძენად.

დერმატოლოგები და მიკოლოგები დაუღალავად გვახსენებენ, რომ დამოუკიდებლად, სპეციალისტის ყოველგვარი კვალიფიციური დახმარების გარეშე სოკოს დაავადების აღმოფხვრა შეუძლებელია. გარე სამკურნალო საშუალებები, ფაქტობრივად, არანაირ ეფექტს არ იძლევა, რადგან სოკო არა მხოლოდ ფრჩხილის ფირფიტაში მდებარეობს, არამედ ფრჩხილქვეშა კანშიც – მატრიკსში.

ამავე დროს, ექიმების განკარგულებაშია, მართლაც, უახლესი და ეფექტური მეთოდი, რომელიც სოკოს მოსპობის შესანიშნავ საშუალებას იძლევა. კერძოდ, დღეს ძალზე პოპულარულია პულს-თერაპიის მეთოდი – სამკურნალო საშუალებების მიღება შესვენებებით. ეს მეთოდი ეფექტურია და ამავე დროს ყველაზე უსაფრთხოც. ავადმყოფთა 90!, რომელსაც პულს-თერაპიის მთლიანი კურსი აქვს განვლილი, სრულად განიკურნება. იმ შემთხვევაში, თუ თქვენ ექიმს დაავადების გავრცელების პირველ სტადიაზე მიაკითხეთ, შედეგი 100%-იანი იქნება.

აღსანიშნავია პულს-თერაპიის კიდევ ერთი უპირატესობა, რომელიც კურსის დამთავრების შემდგომ პერიოდს ეხება. კერძოდ, სოკოს საწინააღმდეგო ეფექტი მკურნალობის დასრულების შემდეგაც, კიდევ ერთი წლის განმავლობაში შენარჩუნებულია. ამასთან ერთად, დერმატოლოგები და მიკოლოგები აცხადებენ, რომ 15 წლამდე ასაკის ბავშვებისათვის სოკოს დაავადების მკურნალობის არც ერთი მეთოდი, მათ შორის პულს-თერაპია, რეკომენდებული არაა. ამიტომაც, უპირველეს ყოვლისა, ჯერ საკუთარ თავს უმკურნალეთ იმისათვის, რომ დაიცვათ შვილები.

თქვენს ფრჩხილებზე სოკოს გავრცელებას არც ერთი ზედმეტი დღე არ მისცეთ. კონსულტაციისათვის კი დერმატოლოგს ან მიკოლოგს მიმართეთ, შემდეგ კი შეგიძლიათ, საბერძნეთშიც და სხვა კურორტებზე გაემგზავროთ.

საქართველოში მუშაობს ცხელი ხაზი. დარეკეთ ტელეფონის ნომერზე 250 900 ყოველდღე 15.00 სთ-დან 18.00 სთ-მდე, შაბათ-კვირის გარდა (ყველა ზარი უფასოა) ან მიბრძანდით კანისა და ვენსნეულებათა სასწავლო კვლევით ინსტიტუტში (ნინოშვილის ქუჩა №55).

**თბილისის ილია ჭავჭავაძის სახელობის ენისა და კულტურის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფილოსოფიისა და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტი**

## ა ც ხ ა დ ე ბ ს

**სტუდენტთა მიღებას 2003-2004 სასწავლო წლისათვის.**

ფაკულტეტზე მომავალი სტუდენტების მიღების პროცესი დასრულდება 2003 წლის 10 ივნისს.
ფაკულტეტზე ჩარიცხულ სტუდენტთა სია გამოქვეყნდება არა უგვიანეს ა.წ. 15 ივნისისა.
საბუთების მიღება 2003-2004 სასწავლო წლისათვის დამთავრდება ა.წ. 15 მაისს.
მიღების წესები იხილეთ www. dphss.org ან მიაკითხეთ ინფორმაციისათვის ფილოსოფიის და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტის სამდივნოს.
**მისამართი:** თბილისი, ჭავჭავაძის 45, II სართული. ტელ. 223742

ქართულ ლიგაში გაწევრიანების მსურველებს გთხოვთ დაგვიკავშირდეთ შემდეგ ტელეფონებზე: 91-07-23; 91-07-45; ან მობრძანდეთ შემდეგ მისამართზე: წერეთლის გამზირი 118 (ყოფილი "კოსმოსი"-ს შენობა) ყოველდღე $9^{00}$-დან $20^{00}$-მდე.
"ქართული ლიგა" (საქართველოს ომის ვეტერანთა სამოქალაქო კავშირი)

**თბილისის ეკონომიკურ ურთიერთობათა სახელმწიფო ინსტიტუტი აცხადებს კონკურსს რექტორის თანამდებობის ახალი ვადით დასაკავებლად**

არჩევნებში მონაწილეობის მსურველთა განცხადებები, სათანადო საბუთებით, საორგანიზაციო კომიტეტის მიერ მიიღება კონკურსის გამოცხადებიდან ორი კვირის განმავლობაში. დამატებითი ინფორმაციისთვის მიმართეთ საორგანიზაციო კომიტეტს მისამართზე:

თბილისი, ქეთევან წამებულის ქ. 55.
ტელეფონი: 94 31 60




განათლების სამინისტროს საინფორმაციო ტექნოლოგიების ცენტრი „მზიური"
გთავაზობთ:
კომპიუტერის შემსწავლელ კურსს თემებით:
- კლავიატურაზე ბეჭდვის ათითითანი მეთოდი,
- საქმიანი დოკუმენტაციის წარმოება – MS Word,
- აღრიცხვა,საბუღალტრო-ეკონომიკური ამოცანები – MS Excel,
- ლოკალური ქსელი,ინტერნეტი,ელ-ფოსტა,
- ოპერაციული სისტემა Windows.

ცენტრში მოქმედებს სხვა კურსებიც.
მისამართი: ი. ჭავჭავაძის №25 ტელ:29-48-61

## ბინები

### იყიდება

იყიდება ერთი ოთახი აღმაშენებლის 82-ში იტალიურ ეზოში I სართულზე, გამოდგება საოფისედ. ფასი: 5600$. ტელ: 34-06-65, 34-85-40, 899 266 221.

**იყიდება 3-სართულიანი კერძო სახლი მცხეთაში, ფიქრის გორაზე - შიო მღვიმელის ქ. 4 ; 600 კვ. მ. მიწის ნაკვეთით. არის ბუნებრივი აირი, ტელეფონი თბილისის ნომრით, საცურაო აუზი და ავტოფარეხი ორი ავტომობილისათვის. სახლი აშენებულია 1992 წელს. დარეკეთ ტელეფონზე: ტელ: 94-12-12, იკითხეთ ლია.**

**იყიდება 2,5-იანი გარემონტებული სუფთა ბინა, რკინის კარით, პარკეტით, ბუნებრივი აირით, ორი აივნით, სათავსოებით, ორი სარდაფით, ავტოფარეხის ადგილით. ორხევი, მუხაძის 6/6, I სადარბაზო, III სართ. N7. ტელ: 76-87-48, 893 32-28-12, 893 20-75-91.**

